პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

22 იანვარი **სამშაბათი** 2013 №016 (13 932) ფასი. 80 თეთრი

## სუპერთასი, თასი და პირველი ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

↳3

ჩემპიონატი ცხრა მარტს განახლდება

დინამო (თბ)-ზუგდიდი
დილა-ზესტაფონი
ტორპედო-ჩიხურა

# არშემდგარი ტრანსფერები

## კაკა და ბალოტელი მილანში არ მიდიან





რა ხდებოდა მანამდე

↳9

ყველა ელოდა „მილანში" ორი ვარსკვლავის - კაკასა და მარიო ბალოტელის გადასვლას, მაგრამ გუშინ, გვიან ღამით, ორივე სავარაუდო ტრანსფერთან დაკავშირებით უარყოფითი ცნობები გავრცელდა. „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ, რომელიც პასუხისმგებელი იყო „რეალთან" მოლაპარაკებებზე, არ დაადასტურა კაკას „როსონერიში" გადასვლა. „მოლაპარაკებები კაკას საკითხზე ფინანსური მიზეზით ჩაიშალა. ვნახოთ, რა გველის ამ საქმეში უახლოეს პერიოდში", - განაცხადა გალიანიმ.

■ ■ ■

მოულოდნელად შეტრიალდა საქმე ბალოტელისთან მიმართებაში. ფეხბურთელის აგენტმა მინო რაიოლამ მკაფიოდ განაცხადა, რომ „სიტი" არ აპირებს იტალიელის გაყიდვას. „მარიო არ დატოვებს მანჩესტერს. რატომ? იმიტომ, რომ „სიტი" არ აპირებს ბალოტელიმ გაყიდვას. მასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს: არც გაყიდვაზე და არც იჯარაზე. დღეისთვის, ბალოტელის სხვა კლუბში გადასვლის ალბათობა ნულის ტოლია", - განაცხადა რაიოლამ.



## სამმაგ დუბლს ნაეთამაშა

ვიქტორი თავის გუნდში საუკეთესო მომხსნელი და ასისტენტი იყო

გუშინ, სანიკიძემ რეჯო ემილიას წინააღმდეგ: 6 ქულა+10 მოხსნა+6 პასი

↳12

## ატლანტა მწვრთნელს იცვლის?



„ატლანტა ჰოქსმა" ბოლო ათ მატჩში რვა წააგო და ჭორების მიხედვით, გუნდის გენერალური მენეჯერი დენი ფერი სერიოზულად ფიქრობს მთავარი მწვრთნელის ლარი დრიუს გაშვებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ დრიუს მაინც დაითხოვენ, მის შემცვლელებად ქუინ სნაიდერსა და მაიკ ბრაუნს მოიაზრებენ.

ამ მომენტისთვის, „ატლანტა" მეექვსე ადგილზეა აღმოსავლეთი კონფერენციის ცხრილში.

*P.S.* გუშინ, გვიან ღამით, „ჰოქსმა" შინ მიიღო „მინესოტა" და რთულ ბრძოლაში 104:96 მოუგო „მგლებს". ზაზა ფაჩულიამ 15 წუთი და 41 წამი გაატარა მოედანზე, ერთადერთი ორქულიანი ისროლა და ჩააგდო, აგრეთვე სამი შედეგიანი პასი შეასრულა.

# ლორენტეს ამბავი გაირკვა

## პირველი ივლისიდან იუვენტუსში



## სიმბოლური დაამშვენა

მამუკა გორგოძე ჰაინეკენის თასის ბოლო ტურის სიმბოლურში შეიყვანეს



↳13





↳16

# წინ მეოთხედფინალებია

ფედერერი ზედიზედ 35-ედ გავიდა დიდი სლემის ტურნირის მეოთხედფინალში

| კაცები | ქალები |
|---|---|
| 1/4 ფინალი | 1/4 ფინალი |
| ჯოკოვიჩი-ბერდიხი | აზარენკა-კუზნეცოვა |
| ფერერი-ალმაგრო | ს. უილიამსი-სტივენსი |
| შარდი-მარეი | ლი-ა. რადვანსკა |
| ცონგა-ფედერერი | მაკაროვა-შარაპოვა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

U17

# მინსკი ბელგიასთან მარცხით დავიწყეთ

**საქართველო–ბელგია 2:3**

გოლები: 1:0 კერძევაძე (6), 1:1 ბაკალი (28. პენ), 2:1 თევზაძე (50), 2:2 კანეპეელი (53), 2:3 კანეპეელი (68)

საქართველო: გოშაძე, ველიაშვილი, მალანია, მარგველაშვილი, ტაბიძე, შულაია (71. რ. ჭანტურია), თევზაძე, გოროზია (30. ჩაბრაძე), ხარაიშვილი (62. ბერიძე), ზარანდია, კერძევაძე

მწვრთნელი: გ. დევდარიანი

ბელგია: დე ბული, მარიენი (58. მატეისი), ბოსარტსი, ისკი, ბრუვერსი, ალესანდრო, კანეპეელი, ბურარი, ბაკალი (80. ნოტებუმი), დე ვალე (58. ვანდერუტი), დე მენი (58. კარლონე)

მწვრთნელი: ბ. ბროვაისი

გაფრთხილება: მარგველაშვილი, მალანია, ბაკალი, მატეისი, ველიაშვილი

გაძევება: ველიაშვილი (79)

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა მინსკის საერთაშორისო ტურნირი მარცხით დაიწყო – **გიორგი დევდარიანის** გუნდმა ბელგიასთან 2:3 წააგო. საქართველოს ნაკრები ორჯერ იყო დაწინაურებული, მაგრამ, სამწუხაროდ, უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო.

სფფ-ის ვებგვერდის ცნობით, თვალშისაცემი იყო არაობიექტური მსაჯობა – საქართველოს ნაკრების კარში პენალტი მეტად საეჭვო ვითარებაში დაინიშნა და ბელგიელთა მეორე გოლიც ბადებს ეჭვებს – სავარაუდოდ, ხარიხიდან ასხლეტილ ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთავს.

დღეს, თბილისის დროით 19 საათზე მასპინძელი ბელარუსისა და საქართველოს ნაკრების მატჩი დაიწყება. ჩვენს გუნდს ჯერ კიდევ აქვს დარჩენილი ფინალში გასვლის თეორიული შანსი.

ტურნირის პირველ დღეს სხვა შეხვედრები ასეთი ანგარიშებით დასრულდა:

| | |
|---|---|
| **ბელარუსი-ლიტვა** | **3:0** |
| **უკრაინა-მოლდოვა** | **6:0** |
| **რუსეთი-ლატვია** | **5:1** |

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ

# გიორგი ყიფიანი: ყველაფერი ვიცი – მწვრთნელმა ეს არ უნდა თქვას

**გიორგი ყიფიანმა რუსთავის „მეტალურგი" შუა გზაზე ჩაიბარა, ჩემპიონატი უკვე დაწყებული იყო და უკვე სათუო შეიქმნა „მეტალურგის" მოხვედრა ზედა ექვსეულში. საბოლოოდ, გუნდი ქვედა ექვსეულში აღმოჩნდა, თუმცა ცხოვრება ამით არ მთავრდება, საშუასეზონო პერიოდში „მეტალურგს" ისევ ყიფიანი უძღვება და რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი საშუალება აქვს, რომ საკუთარი იდეები უფრო კარგად მიიტანოს ფეხბურთელებამდე. რუსთაველთა მწვრთნელს რამდენიმე კითხვით მივმართეთ...**

**- რა იყო იმის მიზეზი, რომ „მეტალურგი" ზედა ექვსეულში ვერ მოხვდა? ამ ამოცანის წარმატებით შესრულება შეუძლებელი იყო?**

- შეუძლებელი ეს არ იყო. რაც შეეხება მიზეზებს, პირველ რიგში, საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ. როცა „მეტალურგში" მივედი, გუნდში ნორმალური მდგომარეობა იყო, გაწეული იყო სათანადო სამუშაოები. როგორც მწვრთნელს, საკუთარი შეხედულებები მაქვს და მეც ამ მიმართულებით წარვმართე მუშაობა. გუნდს დადებითი ძვრები ეტყობოდა, იყო შეცდომებიც. ძირითადი ფაქტორი მაინც უიღბლობა აღმოჩნდა. ექვსეულში ვერმოხვედრა ტრაგედია არ უნდა იყოს, მთავარია, თანმიმდევრულად ვიმუშაოთ. სეზონის მეორე ეტაპზე ჩემპიონატში ყველა მატჩის მისაგებად ვიბრძოლებთ, თასის გათამაშებიდან კი ევროსაგზურის მოპოვებას ვეცდებით.

**- საშუასეზონო პერიოდში „მეტალურგი" დატოვეს გიორგი თექთურმანიძემ, ირაკლი მაისურაძემ, დიმიტრი ტატანაშვილმა... გუნდის წინა ხაზი ალბათ ყველაზე უფრო საჭიროებს გაძლიერებას...**

- თექთურმანიძე ჩვენთან იჯარით იყო და თბილისის „დინამოში" დაბრუნდა. ტატანაშვილსა და მაისურაძეს კონტრაქტის გაგრძელება შევთავაზეთ, მაგრამ მათ სხვა გადაწყვეტილება მიიღეს. დავიმატეთ რომან ახალკაცი და ამით არ დასრულებულა ჩვენი სელექცია თავდასხმაში. ვაწარმოებთ მოლაპარაკებას სხვა ფეხბურთელებთანაც. გუნდის თამაში არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ ცალკეულ ფეხბურთელებზე, მე უფრო გუნდური თამაშის მომხრე ვარ.

**- შეკრებაზე როდის მიდიხართ?**

- 1 თებერვალს ანტალიაში გავემგზავრებით, მანამდე ორ საკონტროლო შეხვედრას ვითამაშებთ: 27 იანვარს



სტუ-სთან და 30 იანვარს „ვიტ ჯორჯიასთან".

**- „მეტალურგში" მისვლამდე „ზესტაფონში" მუშაობდით მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ. მოწინავე გუნდის დამოუკიდებლად გაწვრთნამ რა სირთულეები დაგანახათ?**

- „ზესტაფონამდე" ბოლნისის „სიონშიც" ვიყავი მთავარი მწვრთნელი და მინდა გითხრათ, რომ სირთულეები ყველგან არის. გუნდი ცოცხალი ორგანიზმია და ბევრი რამ სწრაფად იცვლება. სირთულეების არ მეშინია. ყველანაირი სამუშაო დიდ გამოცდილებას მაძლევს. ყველაფერი ვიცი - მწვრთნელი ასეთი არ უნდა იყოს. საქმეს მარტო არ ვუძღვები, სამწვრთნელო ჯგუფი გვყავს და ყველანაირად ვცდილობთ, რომ საქმეს თავი გავართვათ. ჩვენი მუშაობის შეფასება კი ჯერ ადრეა.

**- რაც „მეტალურგი" ჩაიბარეთ, ყველაზე უფრო რომელ გუნდთან გაგიჭირდათ თამაში?**

- ერთადერთი გუნდი, რომელმაც ყველა სათამაშო კომპონენტში გვაჯობა, თბილისის „დინამო" გამოდგა, 0:3 წავაგეთ.

**- რა დადებით ასპექტებს ხედავთ საკუთარ გუნდში?**

- ფეხბურთელების კარგი კონცენტრაცია დავინახე როგორც ვარჯიშებზე, ასევე თამაშებში, მწვრთნელის დავალებების შესრულებაში. ტექნიკურ წუნს რაც შეეხება, ეს მაღალი კლასის ფეხბურთელებსაც კი მოსდით. ჩვენ ავირჩიეთ მიმართულება და ვატყობ, რომ გუნდი უკვე იწყებს იმ ფეხბურთის თამაშს, რაც დავისახე.

**- და რა არის ეს მიმართულება?**

- ამაზე დიდი ხანი შეიძლება ლაპარაკი, მოკლედ გეტყვით - უპირატესობას კომბინაციურ სტილს ვანიჭებ.

**- რა ფინანსური ზურგი აქვს „მეტალურგს"? არის იმის საშუალება, რომ მომდევნო სეზონში გუნდი ისევ მოწინავეთა შორის აღმოჩნდეს?**

- რაც „მეტალურგში" მივედი, ფინანსური მდგომარეობა არ შეცვლილა. კლუბის ხელმძღვანელობის მხრიდან სრულ მხარდაჭერას ვგრძნობთ. გვაქვს გეგმა, თუ რა უნდა გაკეთდეს მაისამდე და მაისის შემდეგ. არსებობს იმის ფინანსური და ადამიანური რესურსი, რომ ეს გეგმა განხორციელდეს.

**- ახალგაზრდა ფეხბურთელების დაწინაურება - სატურნირო მდგომარეობის გარდა მწვრთნელის შედეგი ალბათ ამითაც უნდა შეფასდეს...**

- დუბლშემადგენლობიდან პირველ გუნდში სამი ფეხბურთელი გადმოვიყვანეთ და მათ თურქულ შეკრებაზე წავიყვანთ - ხაბელაშვილი, ცნობილაძე და საჯაია. ამ ახალგაზრდების განვითარებას ყველანაირად შევუწყობთ ხელს.

**- დაბოლოს, პროგნოზზეც დაგეკითხებით - მიგაჩნიათ, რომ ამ სეზონში თბილისის „დინამო" უპრობლემოდ გახდება ჩემპიონი?**

- „დინამოს" ჩემპიონობის სხვაზე მეტი შანსი აქვს - კარგი ინფრასტრუქტურა, კარგი ფეხბურთელები და მწვრთნელი, ფინანსური შესაძლებლობები... თუმცა მიმაჩნია, რომ „დილასაც" შეუძლია ჩემპიონობისთვის ბრძოლა, ძალიან კარგი კლუბია „ტორპედოც". ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი ძალიან საინტერესო იქნება, ჩემპიონობისთვის სამი გუნდი იპაექრებს.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერები

# ფრე ოქრიაშვილის გოლით



ნიკოლოზ გელაშვილი

უკრაინულმა "დნიპრომ", რომელიც სეზონის მეორე ნახევრისთვის ესპანეთის საკურორტო ქალაქ მარბელაში ემზადება, საკონტროლო მატჩი ადგილობრივ "ლინენსესთან" ჩაატარა და ფრედ, 1:1 ითამაშა. "დნიპროს" შემადგენლობაში ორივე ქართველმა ითამაშა – **ჯაბა კანკავაც** და **ალექსანდრე კობახიძეც** მოედანზე შესვენების შემდეგ გამოჩდნენ. ორივე გოლი მას შემდეგ გავიდა, რაც თამაშში ჩვენი თანამემამულეები ჩაერთვნენ.

"ილიჩევეცი" "ოდესას" დაუზავდა – 2:2. "ილიჩევეცის" შემადგენლობიდან ერთი გოლი **თორნიკე ოქრიაშვილის** ანგარიშზეა. ისიც და "ილიჩევეცში" სინჯებზე მყოფი **გიორგი ჯგერენაიაც** ძირითადში იყვნენ. მატჩის მსვლელობისას ორივე შეცვალეს.

ახლად გამოჯანმრთელებულმა **ნიკოლოზ გელაშვილმა** "ბოხუმის" ტესტ-მატჩში მიიღო მონაწილეობა. "ბოხუმმა" პოლონურ "ფლოტას" 1:0 სძლია, ხოლო ქართველი ფორვარდი მოედანზე 59-ე წუთზე შევიდა. **ალექსანდრე იაშვილს** ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სამზადისი

# დინამო თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა

## სეფიაშვილი და პარუნაშვილი სხვა გუნდებში?

**გუშინ, თბილისი–სტამბულის რეისით თურქეთში თბილისის "დინამო" გაემგზავრა. თბილისელები სეზონის მეორე ნახევრისთვის სამზადისს ანთალიაში განაგრძობენ. გუნდი სასტუმრო "ბლუ ვოტერსში" დაბინავდა.**

**თბილისიდან დუშან უჰრინმა შეკრებაზე 24 ფეხბურთელი იახლა:**

მეკარეები: გიორგი ლორია, თორნიკე ზარქუა, ლევან ტყეშელაშვილი;

მცველები: გიორგი სეთურიძე, გიორგი გველესიანი, გივი კვარაცხელია, ოთარ ხიზანეიშვილი, გიორგი შაშიაშვილი, გიორგი რეხვიაშვილი, დავით ხოჭოლავა, არჩილ ტვილდიანი, დარკო გლიშიჩი;

ნახევარმცველები: ნიკა კვეკვესკირი, ირაკლი ძარია, ჯაბა ჯიღაური, ლევან ხმალაძე, ნიკა დიასამიძე, გიორგი პაპავა, ლაშა შინდაგორიძე, კარლეს კოტო, მიკელ ალვარო;

თავდამსხმელები: ჯაბა დვალი, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი მერებაშვილი.



ჩისკო დინამოს თურქეთში შეუერთდება

კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, "დინამოს" თურქულ შეკრებაზე შეუერთდება გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **ჩისკო**. "დინამო" მოსამზადებელ ეტაპზე პირველ საკონტროლო მატჩს 23 იანვარს, ყაზახეთის ჩემპიონთან, ყარაგანდის "შახტიორთან" გამართავს.

შემადგენლობაში რამდენიმე სიახლეა. მაგალითად, "დინამო-2"-დან დაიმატეს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მეკარე **ლევან ტყეშელაშვილი. გიორგი შაშიაშვილისა** და **დიმიტრი ტატანაშვილის** დამატება კი არახალია.

დაკვირვებული თვალი შენიშნავდა, რომ ანტალიაში არ გაემგზავრნენ მეკარე **კოკა სეფიაშვილი**, ცენტრალური ნახევარმცველი **ლაშა პარუნაშვილი**, აგრეთვე გარემარბები, **რობერტინიო** და **ირაკლი ლექვთაძე**.

შევიტყვეთ, რომ სეფიაშვილს უმაღლესი ლიგის რომელიმე კლუბში იჯარით გაუშვებენ, ყველაზე მეტად კი საჩხერეს "ჩიხურა" აქტიურობს. იგივე მიზეზით რჩება თბილისში ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი პარუნაშვილი. ამ შემთხვევაში, კლუბის პოზიცია გამართლებულია, მოთამაშეს ძირითადში ჯერ ვერ ათამაშებენ, მაგრამ სათადარიგოებში მისი დასმა და უქმად ყოფნა არ სურთ და ასევე იჯარით გაშვებას უპირებენ – ჩვენი ინფორმაციით, 19 წლის დინამოელს რუსთავის "მეტალურგი" და ბათუმის "დინამო" იწვევს.

შეკრებაზე არც **ვლადიმირ ვოსკობოინიკოვი** მიდის, რომელიც უკვე გუნდის ვებგვერდზე ოფიციალურ განაცხადშიც აღარ ფიგურირებს. როგორც შევიტყვეთ, უთამაშებლობის გამო, ესტონელ თავდამსხმელს კონტრაქტის გაწყვეტა და "დინამოდან" წასვლა თავად სურს.

**მერაბ მამულაშვილი**



ალექსანდრე კოშკაძე



კობა შალამბერიძე

# აჭარული მიდი-მოდი

არგავარდნისთვის მებრძოლ ბათუმის „დინამოში" ცვლილებებია. ადრე გაუწყეთ, რომ ბათუმელებმა ორი ფეხბურთელი დაიმატეს: 30 წლის მცველი **გიგა ჟვანია** მარტვილის „მერანიდან" და 23 წლის მცველი **ჯემალ გაბუნია** ფოთის „კოლხეთიდან". ახალწვეულებს კიდევ სამი ფეხბურთელი დაემატა: 27 წლის მცველი **გიორგი ტყეშელაშვილი** ფოთის „კოლხეთიდან", 31 წლის შუახაზელი **ალექსანდრე კოშკაძე** „ზუგდიდიდან" და 28 წლის ნახევარმცველი **კობა შალამბერიძე**, რომელიც ბოლოს პოლონურ „ფლოტაში" თამაშობდა.

იყო დრო, კოშკაძე „დინამო თბილისის" ერთ-ერთი ლიდერი რომ გახლდათ, ცაციათი ძლიერი დარტყმა აქვს, ტექნიკა არ დაეწუნება, გამოცდილება ხომ თავისთავად მისი პლუსია და ვფიქრობთ, მისი სახით **გია გურულის** გაწვრთნილმა გუნდმა კარგი შევსება მიიღო.

რაც შეეხება კობა შალამბერიძეს, მას თამაშის გამწვავება რიგიანად შეუძლია და ვნახოთ, როგორ გააძლიერებს ბათუმის „დინამოს".

გიორგი ტყეშელაშვილი ფოთის „კოლხეთამდე" „გაგრას" დაცვის ბურჯი იყო და ვფიქრობთ, აჭარულ გუნდშიც ნორმალურად წარმოაჩენს თავს.

მოსულებზე ვთქვით და ახლა წამსვლელებზეც მოგახსენებთ. გუნდი დატოვეს 24 წლის მცველმა **ნიკა ხუხიამ**, 23 წლის ნახევარმცველმა **ერეკლე კილაძემ**, 21 წლის ნახევარმცველმა **პაატა ბალაძემ**, 22 წლის ნახევარმცველმა **დავით კაკულიამ**, 23 წლის შუახაზელმა **დათა სიჭინავამ**, 28 წლის თავდამსხმელმა **ირაკლი ცნობილაძემ**, 25 წლის უკრაინელმა თავდამსხმელმა **ოლექსანდრ ტიმჩიშინმა**, 20 წლის კოტდიუვარელმა ფორვარდმა **ტიერი კლოვისმა**.

ადრე ისიც გაცნობეთ, რომ გურულის გუნდიდან „დინამო თბილისში" გადავიდა 18 წლის შემტევი **ნიკა დიასამიძე** და კლუბებს შორის შეთანხმების თანახმად, დედაქალაქურ "დინამოს" ბათუმურ გუნდში ორი ფეხბურთელი უნდა გაეშვა განათხოვრებით. ლაპარაკი იყო 21 წლის **ირაკლი ლექვთაძეზე**, თუმცა შევიტყვეთ, რომ ეს ნახევარმცველი ბოლნისის „სიონში" მიდის. ერთი სიტყვით, ბათუმის „დინამო" ჯერაც მოლოდინშია, თუ რომელ ფეხბურთელებს გაუშვებს მასთან **დუშან უჰრინის „დინამო"**.

ამ დროისათვის ბათუმის "დინამოში" მხოლოდ ერთი ლეგიონერი დარჩა - 27 წლის უკრაინელი მეკარე **ივან პიცანი.**

**დავით თავართქილაძე**

სფფ-ის ალმასკომის სხდომა



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# კალენდარი და მწვრთნელები დაამტკიცეს, ლეგიონერის დამატება უფასოა

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ალმასკომის სხდომა გაიმართა, სადაც არც ხმაურიანი განცხადებები გაკეთებულა და არც მოულოდნელი გადაწყვეტილებები მიღებულა. სხდომამ დაახლოებით ერთ საათს გასტანა და ყველა დაანონსებული საკითხი მშვიდ ვითარებაში დამტკიცდა.

უპირველესად, ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების კალენდარს შევეხოთ. საშეჯიბრო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი ცვლილებების გარეშე დაამტკიცეს. საქართველოში 2012-13 წლების სეზონი 22 თებერვალს სუპერთასისთვის მატჩით განახლდება, ამას თასის მერვედფინალები მოჰყვება, ხოლო უმაღლესი ლიგის მეორე ეტაპი 9 მარტს დაიწყება.

ჩემპიონატი 18 მაისს დასრულდება, საქართველოს თასის ფინალი კი ტრადიციული 26 მაისის ნაცვლად, ხუთშაბათ დღეს, 23 მაისს გაიმართება.

დამტკიცდა ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებიც. ალმასკომზე ამ საკითხის გატანა იმიტომ გახდა საჭირო, რომ **კახა კაჭარავამ** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცის პოსტი დატოვა. ამ თანამდებობაზე **გია ცეცაძე** იმუშავებს, ასაკობრივი ნაკრებების სრული სამწვრთნელო შტაბები კი ასე გამოიყურება:

19-წლამდელები: **გია ცეცაძე, ზაზა ბაკურაძე, თემურ ლორთქიფანიძე, გრიგოლ ჭანტურია;**

18-წლამდელები: **ვასილ მაისურაძე, მერაბ კაციტაძე, თემურ ჩარკვიანი;**

17-წლამდელები: **გიორგი დევდარიანი, გიორგი მიქაძე, ირაკლი ბალაძე, ივანე ლუცენკო;**

16-წლამდელები: **ნოდარ აკობია, ჯუმბერ ბურჯანაძე, ზვიად სტურუა;**

15-წლამდელები: **გოჩა ტყებუჩავა, გიორგი ნემსაძე, ზვიად სტურუა;**

14-წლამდელები: **გოჩა ავსაჯანიშვილი, ვახტანგ იაგორაშვილი, ტარიელ კანდელაკი, აკაკი დევაძე;**

13-წლამდელები: **ოთარ კორღალიძე, ლევან ბარათაშვილი, ვასილ მიქაშავიძე, აკაკი დევაძე.**

ალმასკომის წევრობა პირადი განცხადებების საფუძველზე შეუჩერდათ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ყოფილ მინისტრს **ვლადიმერ ვარძელაშვილსა** და მის ყოფილ მოადგილეს **დავით ნამგალაურს**, ასევე **გიორგი აბესალაშვილს.**

ალმასკომმა დააკმაყოფილა თორმეტთა საბჭოს მოთხოვნა ლეგიონერების დამატებაზე გადასახადის მოხსნის თაობაზე. ამიერიდან უმაღლესი ლიგის კლუბებს თანხის გადახდა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოუწევთ, თუ შემადგენლობაში სამ ლეგიონერზე მეტი ეყოლებათ. პირველი ლიგის კლუბები კი გადასახადს ორზე მეტი ლეგიონერის შემთხვევაში გადაიხდიან.

რაც შეეხება ეროვნული ნაკრების თავკაცის, **თემურ ქეცბაიას** იდეას, რომლის თანახმადაც უმაღლესი ლიგის კლუბები ვალდებულები უნდა იყვნენ, მინიმუმ ორი 21-წლამდელი ფეხბურთელი ათამაშონ, ამის თაობაზე ფედერაცია კლუბებთან კონსულტაციებს გააგრძელებს და საბოლოო გადაწყვეტილებაც ამის შემდეგ გახდება ცნობილი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მერანი

# გია მეგრელაძე ბრუნდება!

მეორე ეტაპისათვის მზადებას შეუდგა მარტვილის "მერანი". გუნდი ამჟამად მარტვილში იმყოფება, 12 თებერვლიდან კი 10-დღიან შეკრებაზე ურეკში წავა.

უკვე ცნობილია იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებმაც გუნდი დატოვეს: **გიორგი მჭედლიშვილი** კარიერას "ვიტ ჯორჯიაში", ხოლო **გიგა ჟვანია** ბათუმის "დინამოში" გააგრძელებს. კვლავ გაურკვევლობაა **საბა ლომიასთან** დაკავშირებით, რომელიც მართალია, "ზესტაფონის" საკუთრებაა, თუმცა "მერანთან" სეზონის ბოლომდე აკავშირებს ხელშეკრულება.

რაც შეეხება ახალწვეულებს: კლუბთან კონტრაქტს დღე-დღეზე გააფორმებს საქართველოს ჩემპიონატის ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი **გია მეგრელაძე.** 34 წლის ფორვარდს, გარდა ეროვნული ჩემპიონატისა, სხვადასხვა დროს საბერძნეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და უზბეკეთის გუნდებშიც უთამაშია. ბოლო პერიოდში მეგრელაძეს ოჯახური პრობლემების გამო (მამა გარდაეცვალა), თამაშისათვის თავი განებებული ჰქონდა. თუმცა, როგორც ჩანს, ფეხბურთის სიყვარულმა ის კვლავ მოედანზე დააბრუნა.

"მერანში" მიმდინარე სხვა სიახლეების შესახებ, გუნდის მთავარი მწვრთნელი **მალხაზ ჟვანია** გვესაუბრა: "ამ ეტაპზე ფეხბურთელები ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე მუშაობენ. საწვრთნელ პროცესს ძირითადად სამტრედიაში ვატარებთ. ვფიქრობ, ჩვენი გუნდი გია მეგრელაძის დამატებით, მნიშვნელოვნად გაძლიერდა. სწორედ მეგრელაძისა და დიდავას მაგალითზე უნდა აღიზარდონ მომავალი თაობები. აქვე ვთქვათ ისიც, რომ დუბლებიდან ძირითად გუნდში გადმოვიყვანეთ: გიორგი გეგია, ინდიკო მონიავა, ცოტნე მონიავა, დათა წულაია, ლაშა ჯღამაია და მიშიკო ქაჯაია. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ბიჭების უმეტესობამ ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდროს ადგილი. გუნდი კიდევ უფრო გაძლიერებას გეგმავს. დაგვემატება რამდენიმე ფეხბურთელი. უახლოეს მომავალში გადაწყდება დათა სიჭინავას საკითხიც, რომელთანაც აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ჯერ-ჯერობით არაფერი ვიცით საბა ლომიას შესახებ, "ზესტაფონის" პასუხს ველოდებით".

შეგახსენებთ, რომ "მერანი" ქვედა ექვსეულში 10 ქულით უსწრებს გასავარდნ ზონაში მყოფ ბათუმის "დინამოს". ამის მიუხედავად, მარტვილელებს მოდუნებისა და კონცენტრაციის დაკარგვის უფლება ნამდვილად არ აქვთ, რადგან უპირატესობა არცთუ დიდია. ამიტომაც, გუნდის მიზანი ქულათა მაქსიმუმის დაგროვება უნდა იყოს.

"მერანი" პირველ საკონტროლო შეხვედრას 3 თებერვალს სამტრედიაში, ფოთის "კოლხეთთან" გამართავს.

**ბესიკ გვაზავა**



გიორგი მეგრელაძე ფეხბურთს მარტვილიდან უბრუნდება

საქართველოს XXIV ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის II ეტაპის კალენდარი

## I-VI ადგილებისათვის

**22 თებერვალი, პარასკევი**
სუპერთასი:
ზესტაფონი-დილა

**26 თებერვალი, სამშაბათი**
დ. ყიფიანის სახ. თასის
1/8 ფინალი (პირველი მატჩები)

**2 მარტი, შაბათი**
დ. ყიფიანის სახ. თასის
1/8 ფინალი (საპასუხო მატჩები)

**I წრე**

**XXIII ტური**

**9 მარტი, შაბათი**
დინამო (თბილისი)-ზუგდიდი
დილა (გორი)-ზესტაფონი
ტორპედო (ქუთაისი)-ჩიხურა (საჩხერე)

**13 მარტი, ოთხშაბათი**
დ. ყიფიანის სახ. თასის
1/4 ფინალი (პირველი მატჩები

**XXIV ტური**

**17 მარტი, კვირა**
ზუგდიდი-ჩიხურა
ზესტაფონი-ტორპედო
დინამო (თბ)-დილა

**XXV ტური**

**30 მარტი, შაბათი**
დილა-ზუგდიდი
ტორპედო-დინამო (თბ)
ჩიხურა-ზესტაფონი

**XXVI ტური**

**6 აპრილი, შაბათი**
ზუგდიდი-ზესტაფონი
დინამო (თბ)-ჩიხურა
დილა-ტორპედო

**10 აპრილი, ოთხშაბათი**
დ. ყიფიანის სახ. თასის
1/4 ფინალი (საპასუხო მატჩები)

**XXVII ტური**

**14 აპრილი, კვირა**
ტორპედო-ზუგდიდი
ჩიხურა-დილა
ზესტაფონი-დინამო (თბ)

**II წრე**

**XXVIII ტური**

**19 აპრილი, პარასკევი**
ზუგდიდი-დინამო (თბ)
ზესტაფონი-დილა
ჩიხურა-ტორპედო

**23 აპრილი, სამშაბათი**
დ. ყიფიანის სახ. თასის
1/2 ფინალი (პირველი მატჩები)

**XXIX ტური**

**27 აპრილი, შაბათი**
ჩიხურა-ზუგდიდი
ტორპედო-ზესტაფონი
დილა-დინამო (თბ)

**XXX ტური**

**4 მაისი, შაბათი**
ზუგდიდი-დილა
დინამო (თბ)-ტორპედო
ზესტაფონი-ჩიხურა

**8 მაისი, ოთხშაბათი**
დ. ყიფიანის სახ. თასის
1/2 ფინალი (საპასუხო მატჩები)

**XXXI ტური**

**12 მაისი, კვირა**
ზესტაფონი-ზუგდიდი
ჩიხურა-დინამო (თბ)
ტორპედო-დილა

**XXXII ტური**

**18 მაისი, შაბათი**
ზუგდიდი-ტორპედო
დილა-ჩიხურა
დინამო (თბ)-ზესტაფონი

**23 მაისი, ხუთშაბათი**
დავით ყიფიანის სახ.
თასის ფინალი



## VII-XII ადგილებისათვის

**I წრე**

**XXIII ტური**

**9 მარტი, შაბათი**
მეტალურგი (რუსთავი)–კოლხეთი (ფოთი)
მერანი (მარტვილი)–დინამო (ბათუმი)
ვიტ ჯორჯია (თბილისი)–სიონი (ბოლნ.)

**XXIV ტური**

**17 მარტი, კვირა**
კოლხეთი–სიონი
დინამო (ბთ)–ვიტ ჯორჯია
მეტალურგი–მერანი

**XXV ტური**

**30 მარტი, შაბათი**
მერანი–კოლხეთი
ვიტ ჯორჯია–მეტალურგი
სიონი–დინამო (ბთ)

**XXVI ტური**

**6 აპრილი, შაბათი**
კოლხეთი–დინამო (ბთ)
მეტალურგი–სიონი
მერანი–ვიტ ჯორჯია

**XXVII ტური**

**14 აპრილი, კვირა**
ვიტ ჯორჯია–კოლხეთი
სიონი–მერანი
დინამო (ბთ)–მეტალურგი

**II წრე**

**XXVIII ტური**

**19 აპრილი, პარასკევი**
კოლხეთი–მეტალურგი
დინამო (ბთ)–მერანი
სიონი–ვიტ ჯორჯია

**XXIX ტური**

**27 აპრილი, შაბათი**
სიონი–კოლხეთი
ვიტ ჯორჯია–დინამო (ბთ)
მერანი–მეტალურგი

**XXX ტური**

**4 მაისი, შაბათი**
კოლხეთი–მერანი
მეტალურგი–ვიტ ჯორჯია
დინამო (ბთ)–სიონი

**XXXI ტური**

**12 მაისი, კვირა**
დინამო (ბთ)–კოლხეთი
სიონი–მეტალურგი
ვიტ ჯორჯია–მერანი

**XXXII ტური**

**18 მაისი, შაბათი**
კოლხეთი–ვიტ ჯორჯია
მერანი–სიონი
მეტალურგი–დინამო (ბთ)

ფუტსალი




იბერიას მთავარი მწვრთნელი სერჟიო ბენატი

# ვინ ამოიღებს ბურთულას: კალაძე თუ შოთა?

## ბრაზილიური როქი: 4 წავიდა, 4?

**6 დეკემბერს ლოზანაში, უეფას აღმასკომზე გადაწყდა, რომ 2013 წლის ფუტსალის ევროპის თასის ოთხთა ფინალს თბილისი უმასპინძლებს.**

**25, 26 და 28 აპრილს თბილისის სპორტის სასახლეში დიდი ზეიმი გველის – ფუტსალის უეფას თასს ერთმანეთს შეეცილებიან საქართველოს ჩემპიონი და ევროპის ერთ-ერთი გრანდი თბილისის "იბერია სტარი", "ბარსელონა" (ესპანეთი), „დინამო" (რუსეთი) და „კაირათი" (ყაზახეთი).**

**ამ დონის ტურნირი საქართველოში არასოდეს ჩატარებულა და მასთან დაკავშირებული დეტალების მიმართ ჩვენი ინტერესი გასაგებია. უეფამ ქართული მხარის ინიციატივა გაიზიარა და ოთხთა ტურნირის ნახევარფინალური მატჩები პარასკევს, 26 აპრილს დანიშნა, ხოლო ფინალი და მესამე ადგილისთვის შეხვედრები კი –კვირას, 28 აპრილს, რათა მატჩებს უფრო მეტი გულშემატკივარი დაესწროს.**

### კენჭისყრა თბილისში

უეფას სამუშაო ჯგუფის წევრები თბილისში 29 იანვარს, ვითარების ადგილზე გასაცნობად და ინფრასტრუქტურის ინსპექტირებისთვის გვეწვევიან. ცნობილი იყო, რომ ამ დროისთვის უნდა გარკვეულიყო კენჭისყრის ჩატარების ადგილი და მატჩების დაწყების საათები, რაც ოთხთა ფინალის ჩვენების ექსკლუზიური უფლების მქონე „ევროსპორტთან" არის შესათანხმებელი.

თუმცა, "იბერიას" მენეჯერი, **გიორგი დარჯანიას** თქმით, უეფამ გადაწყვეტილება უკვე მიიღო: *"ფუტსალის ჩემპიონთა ლიგის ოთხთა ფინალის ნახევარფინალების წილისყრა 27 მარტს გაიმართება და ამ ღონისძიებასაც თბილისი უმასპინძლებს. საქართველოს ესტუმრება უეფას დელეგაცია, გუნდების წარმომადგენლები და შესაძლოა, წილისყრის პირდაპირი ტელერეპორტაჟი "ევროსპორტმა" გადასცეს".*

დარჯანიამ საინტერესო ამბავი გაიხსენა. 2012 წელს წილისწყრა "კამპ ნოუზე", "ბარსელონა" – "მილანის" მატჩის შესვენებისას ჩაატარეს, ლოტოტრონიდან ბურთულები კი ესპანური ფეხბურთის ვარსკვლავმა **დავიდ ვილიამ** ამოიღო. შესაძლოა, მსგავსი რამ საქართველოშიც მოხდეს, მაგრამ ვინ იქნება ქართველი "ვილია"?

*"ცხადია, ჩვენი სურვილია, კენჭისყრა მაღალ დონეზე, ცნობილი სახეების მონაწილეობით ჩავატაროთ. როგორც ვიცი, ორი კანდიდატურაა – კახა კალაძე, რომელმაც ორჯერ აღმართა ჩემპიონთა ლიგის თასი და შოთა არველაძე, რომელსაც ბევრ ცნობილ ევროპულ კლუბში უთამაშია. თუმცა, შესაძლოა, ბურთულები ორივემ ერთად ამოიღოს. ეს საკითხი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადასაწყვეტია"* – ამბობს დარჯანია.

### სავალდებულო შავი პარკეტი

ოთხთა ფინალის ჩასატარებლად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში სამუშაო ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელშიც შევიდნენ სფფ-ს პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა**, გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე**, ტურნირის დირექტორი **დიმიტრი ბოკერია**... ისინი არსებული პრობლემების მოგვარებას უეფასთან კოორდინაციით შეეცდებიან.

ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია თბილისის სპორტის სასახლეში პარკეტის შეცვლას ითხოვს. ამჟამინდელი კი მაღალი ხარისხის არის, მაგრამ ოთხთა ფინალის დონის ტურნირზე სხვადასხვა სახელობისთვის დახაზული საფარი შეუფერებელი იქნება. ამის მოგვარება შესაძლებელი იქნებოდა, რომ არა შემდეგი მოთხოვნა - მიღებული პრაქტიკით, ამ ტურნირს შავი ფერის საფარზე ატარებენ, რომელიც საგანგებოდ მხოლოდ ფუტსალისთვის დაიხაზება: *"საფარის საკითხი მალე გადაწყდება. როგორც ვიცი, ფედერაცია ამ პრობლემის მოგვარებაზე უკვე მუშაობს. უეფას დელეგაცია 30-31 იანვარს ჩამოდის და 2-დღიან სამუშაო შეხვედრებსა და ინსპექტირებაზე გადაწყდება, ყურადღება კიდევ რა საკითხებს უნდა მოვაქციოთ. ჟურნალისტთა და ვიპ ლოჟების გაფართოება-მოწესრიგება უეფას მედია ოფიცერს, მამუკა კვარაცხელიას აქვს დავალებული. სხვათა შორის, 2 წლის წინ უეფამ კვარაცხელია ანალოგიურ ტურნირზე ალმატიში მიავლინა, სადაც ტურნირზე აკრედიტირებული ჟურნალისტების რაოდენობით რეკორდი დამყარდა. ამ თემაზე მამუკას ველაპარაკე და დიდი სურვილი გვაქვს, რომ თბილისში რეკორდი გავაუმჯობესოთ".*

### იბერიას ახლები ფუტსალის ნბა-დან

ამასობაში, საქართველოს ჩემპიონის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები მოხდა. გუნდი ოთხმა ბრაზილიელმა ლეგიონერმა დატოვა, რომლებიც მის ძალას და წარმატებებს განაპირობებდნენ და ყველამ უკრაინას მაიშურა: ივანო-ფრანკოვსკის "ურაგანში" გააგრძელებს კარიერას **რონი**, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა აქვს და ჩვენს ეროვნულ ნაკრებში თამაში სურდა. "იბერიას" ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ სოლოდოვნიკმა** კი კიევის "ინოკიევეცში" სამი ბრაზილიელი წაიყვანა – **ბრუნო მელო, ბეტინიო** და **რომარიო**.

*"მათ ნაცვლად "იბერიაში" ასევე ოთხი ბრაზილიელი ითამაშებს. სამი უკვე ჩამოვიდა: ბრუნო დე ოლივეირა პალმა, რომლის ყოფილი კლუბი ბრაზილიური "მარეკოა"; პაულო ცეზარ დუტრა ჟუნიორი "პარანავაიდან" დავიმატეთ, ემერსონ გომეს დუ ნასიმენტო კი – "კოლეჟიო ლოდრინენსედან". ბრაზილიიდან კიდევ ერთ მოთამაშეს ველოდებით. რა თქმა უნდა, წასულები "იბერიასთვის" უდიდეს ძალას წარმოადგენდნენ და გუნდის მიღწევებში უდიდესი წვლილი შეიტანეს. მათ მიწვევები ჰქონდათ, წავიდნენ და გუნდის წინაშე გაწეული სამსახურისთვის მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. მაგრამ ბენატის შემადგენლობის დაკომპლექტებაში სრული თავისუფლება აქვს. მას აქვს დავალება, ოთხთა ფინალისთვის "იბერია" მნიშვნელოვნად გააძლიეროს. რამდენად გაამართლებენ მისი არჩეულები, მომავალი გვიჩვენებს. მაგრამ იმედიანად ვართ, რადგან ოთხივე ბრაზილიის უმაღლეს ლიგაში თამაშობდა. ევროპაში ბევრი ძლიერი ლიგაა, ესპანეთის რუსეთის, იტალიის, პორტუგალიის, მაგრამ ბრაზილიის ფუტსალის ჩემპიონატი ისევე მაღლა დგას ყველა დანარჩენზე, როგორც საკალათბურთო ნბა. ამიტომ მიმაჩნია, რომ წასულები, სულ მცირე, არანაკლებ ძლიერი მოთამაშეებით შევცვალეთ და ოთხთა ფინალსაც იმედიანად ველით"* – ამბობს დარჯანია.

და ბოლოს: ერთი კვირის წინ "იბერიას" ადმინისტრაციამ მასობრივი სინჯების დაწყება გამოაცხადა, რომელსაც კლუბის მთავარი მწვრთნელი, ბრაზილიელი **სერჟიო ბენატი** გაუძღვება. დარჯანიას თქმით, აქციის მიზანია, უახლოეს წლებში ბრაზილიელების ტოლფასი ერთი ქართული ოთხეული მაინც გაზარდონ. საქართველოს ჩემპიონის ინიციატივამ ახალგაზრდა ფეხბურთელებში უდიდესი ინტერესი გამოიწვია და ცნობილია, რომ ტესტირებაში მონაწილეობას 70-მდე მოთამაშე მიიღებს.

სატრანსფერო ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზიმბრუში ქართველებს ელიან

ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე კიშინიოვის "ზიმბრუში" ქართველების სიმრავლეა. ალბათ, მალე გუნდში კიდევ ორი ჩვენებური ჩაირიცხება. მცირე ხნის წინ ვწერდით, რომ მოლდოვის ყველაზე ტრადიციულ კლუბში გასასინჯად 20 წლის ქართველები მიიწვიეს - ლისაბონის "ბენფიკას" დუბლშემადგენლობის ყოფილი ვიცე-კაპიტანი **ბაქარ მირცხულავა** და თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი **კოტე გაბაშვილი**. შეგახსენებთ, რომ შარშან გუნდში **თორნიკე სტეფნიაშვილი** ჩაირიცხა, რომელიც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატია.

"ზიმბრუ" უკრაინული პასპორტის მქონე ქართველი საყრდენი ნახევარმცველით, **იმედა ფუტკარაძითაც** დაინტერესდა. 22 წლის ნახევარმცველი ბოლოს კიევის ოლქის პირველობაზე "ვოლოდარკაში" თამაშობდა, 2012 წლის ზაფხულში კი ასევე მოლდოვის "ოლიმპიასა" და "ისკრა-სტალში" ისინჯებოდა, მაგრამ ვერც ერთში ვერ დარჩა.

მოლდოვაში გაბაშვილი, მირცხულავა და სტეფნიაშვილი მენეჯერმა **დავით გოგოლაძემ** წაიყვანა. სიახლეებიც სწორედ მას გამოვკითხეთ.

*"ფუტკარაძეზე ვერაფერს გეტყვით. რაც ვიცი, მხოლოდ იმ ამბებზე გეტყვით. ჩასვლის შემდეგ, გაბაშვილი და მირცხულავა "ზიმბრუში" ძირითად გუნდში ვარჯიშობენ. პირველივე დღეს ორმხრივ შეხვედრაში ათამაშეს. მართალია, 2:3 წააგეს, მაგრამ გაბაშვილმა პირველივე მატჩში თავი გამოიჩინა. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა მირცხულავამ – კიშინიოველთა მთავარ მწვრთნელს, სერგეი დუბროვინს ორივე ახალწვეული ძალიან მოეწონა.*

*რამდენიმე დღეში "ზიმბრუმ" თანაქალაქელ "რაპიდთან" საკონტროლო შეხვედრა გამართა და 3:2 მოიგო. ქართველები მოედანზე მეორე ტაიმში შეიყვანეს და გაბაშვილმა გოლი კვლავ გაიტანა, ხოლო მირცხულავა დაცვაში ისევ საიმედოდ იდგა. ბოლო თამაში 19 იანვარს ასევე კიშინიოვის "აკადემიასთან" ჰქონდათ და ჩვენების ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. "ზიმბრუმ" ეს მატჩიც 3:2 მოიგო. გაბაშვილმა ამჯერად კიდევ მეტად გამოიჩინა თავი და დუბლი შეასრულა. ჰეთ-თრიქიც შეეძლო, მაგრამ პენალტი ვერ გამოიყენა. კვლავ მშვენივრად ითამაშა მირცხულავამ. ამ მატჩის შემდეგ გასასინჯი მოთამაშეებიდან ყველა გაუშვეს და მხოლოდ ქართველების დატოვება გადაწყვიტეს. ბიჭები გუნდთან კონტრაქტს უახლოეს დღეებში გააფორმებენ. სავარაუდოდ, მათ ორწლიან ხელშეკრულებას დაუდებენ და გუნდთან ერთად ანტალიურ შეკრებაზე გაემგზავრებიან. "ზიმბრუში" მოემზადება სტეფნიაშვილიც, რომელსაც კიშინიოველები დიდი იმედით უყურებენ. უკრაინაში, კრივოი როგის "კრივბასში" სწორედ ამის გამო არ გაუშვეს"* – ამბობს დავით გოგოლაძე.

გოგოლაძის თქმით, კიშინიოვის "დაჩიას" ძირითად გუნდში დუბლებიდან ოთხი მოთამაშე დააწინაურეს და მათ შორის მოხვდა **ლუკა თათხაშვილიც**. მალე ისიც თურქულ შეკრებაზე გაემგზავრება. თათხაშვილი "დაჩიაში" ერთი წლის წინ ჩაირიცხა და ევროპის ლიგის მიმდინარე გათამაშების დაწყებამდე კიშინიოვური გუნდის განაცხადშიც მოხვდა.



ბაქარ მირცხულავა



კოტე გაბაშვილი

# ქანთარია ბრესტის დინამოში ემზადება



**ზვიად ქანთარია** ბელარუსში ჩავიდა და სეზონითვის მზადებას უმაღლესი ლიგის ბრესტის "დინამოში" შეუდგა. მან უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და სრული დატვირთვით ემზადება.

ბრესტში დიდი თოვლია და გუნდი ძირითად დროს სატრენაჟორო დარბაზში ატარებს. თუმცა ბრესტელთა ბაზის ხელოვნურსაფრიანი მოედანი თოვლისგან ნაწილობრივ გაწმინდეს და მოთამაშეები წმინდა საფეხბურთო ვარჯიშებსაც შეუდგნენ.

თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების (U-17, U-19) ყოფილი თავდამსხმელი ბელარუსში ოქტომბერში იმყოფებოდა და ბრესტელებთან წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული, დარჩებოდა თუ არა კლუბში. საქმე ისაა, რომ მისი წამოსვლის დროს, ბელარუსის ჩემპიონატი დასრულებული არ იყო. 28 ტურის შემდეგ, 11-გუნდიან ჩემპიონატში "დინამო" 26 ქულით მე-10 ადგილზე იმყოფებოდა და ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე მხოლოდ 1 ქულით უსწრებდა ჟოდინოს "ტორპედოს". მოკლედ, გუნდი გავარდნის რეალური კანდიდატი იყო. გაურკვევლობას სწორედ ეს ჰქმნიდა – ბელარუსის პირველ ლიგაში ლეგიონერის აყვანის უფლება არ აქვთ.

თუმცა, ბრესტის "დინამომ" უმძიმეს მდგომარეობას თავი დააღწია, ბოლო ორ ტურში 4 ქულა მოიპოვა, საბოლოოდ, მე-8 ადგილი დაიკავა და უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა. როგორც 22 წლის ტანმაღალმა თავდამსხმელმა (188 სმ) გვითხრა, ბელარუსულ კლუბს თურქულ შეკრებაზე გაჰყვება, კონტრაქტს კი 10 თებერვლამდე გააფორმებს.

ქანთარიამ კლუბის ფორმა 13 ოქტომბერს საკონტროლო შეხვედრაში მოირგო, როდესაც ბრესტელებს ლუცკის "ვოლინი" ამხანაგური მატჩის გასამართად ესტუმრა. "დინამომ" 0:1 წააგო, მაგრამ ზვიადის დატოვება სწორედ მაშინ გადაწყვიტეს. ქართველი თავდამსხმელის გადასვლის ამბავი ბრესტელი გულშემატკივრებისთვისაც არახალია. ფანებმა ბელარუსის ყველაზე პოპულარული გამოცემის, "პრესბოლის" ფორუმზე დაწერეს, რომ ქანთარია მოსწონთ და იმედოვნებენ, რომ ახალ სეზონში გუნდს გააძლიერებს.

22 წლის თავდამსხმელი საფეხბურთო სკოლა "ბერისა" და **დემნა აბაიშვილის** გაზრდილია. თბილისის "დინამოში" დებიუტი **დუშან უჰრინი-უფროსის** დროს 17 წლის ასაკში ჰქონდა, მაგრამ კლუბი 2011 წლის მაისში დატოვა და დროებით ცხინვალის "სპარტაკში" ჩაირიცხა. თუმცა, ტრავმის გამო, სეზონი გაუცდა და ბელარუსში ერთწლიანი უთამაშებლობის შემდეგ ჩავიდა.

ქანთარიას რომ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების შანსი გააჩნია, ეს ფაქტიც მეტყველებს: კლუბიდან ახალგაზრდა თავდამსხმელი **ვლადიმერ ხვაშჩინსკი** მინსკის "დინამოში" გადავიდა. წინა ხაზში პირველ როლს ასევე ქართველ ფორვარდს, **უჩა გოგოლაძეს** უწინასწარმეტყველებენ – ასე რომ, ქართველები ერთმანეთის კონკურენტებად მოიაზრებიან.

უჩაც 22 წლის გახლავთ და ბოლო სეზონში გუნდის ძირითადი შემადგენლობის უცვლელი მოთამაშე გახდა. მეტიც, გასულ სეზონში მის მიერ ნოვოპოლოცკის "ნაფტანთან" გატანილი ულამაზესი ბურთი ბრესტელმა გულშემატკივრებმა 2012 წლის სეზონში საუკეთესოდ აღიარეს – კონტრშეტევაზე უჩამ ბურთი საჯარიმოსთან მიიღო და მარცხენათი ბურთი "ცხრიანში" ჩაახვია. სხვათა შორის, "ნაფტანის" მეკარე **ირაკლი დევაძეა**, 23 წლის ქართველი ლეგიონერი უკვე მეორე სეზონია, რაც ნოვოპოლოცკელთა შემადგენლობაში ირიცხება. თუმცა, ძირითად შემადგენლობაში ერთხელაც არ უთამაშია. საბოლოოდ, 27 შეხვედრაში 6 გოლით, გოგოლაძე "დინამოს" მეორე ბომბარდირი გახდა, საუკეთესო კი 8 გოლით ხვაშჩინსკი იყო. უჩა გოგოლაძე იმედოვნებს, რომ ახალ სეზონში 15 გოლს გაიტანს და ბელარუსის ჩემპიონატის ბომბარდირებში მოხვდება.

გვერდი მოამზადა **მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არსენალი



# უფსკრულის პირას

## არსენ ვენგერი: ამ ყველაფერთან შეგუება ძალიან ძნელია

არსენ ვენგერს ლონდონურ კარიერაში ალბათ ყველაზე მძიმე პერიოდი უდგას

**მასალა არსენ ვენგერსა და "არსენალზე" უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა შემოგვთავაზა. 63 წლის ფრანგი სპეციალისტი ჩვენს კოლეგებს "ჩელსისთან" ნაგების შემდეგ ესაუბრა.**

*"ამ ყველაფერთან შეგუება ძალიან რთულია,"* – განაცხადა **არსენ ვენგერმა** "ჩელსისთან" ნაგების შემდეგ, რადგან ბოლო წარუმატებლობებმა მისი გუნდის საჩემპიონთალიგო შანსები ეჭვქვეშ დააყენა. "არსენალს" კი ეს ტურნირი 1997/98 წლების სეზონის შემდეგ არ გამოუტოვებია. "ჩელსისთან" მარცხმა კი სერიოზულად დაფიქრების წინაპირობა მოგვცა: შეუძლიათ კი ლონდონელებს ამ სერიის გაგრძელება?

"მეთოფეები" "სტემფორდ ბრიჯს" "საუთჰემპტონთან" ფრესა (1:1) და "მანჩესტერ სიტისთან" (0:2) ნაგების შემდეგ ეწვნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მიმდინარე წელს მათ ქულაზე მეტი არ ჰქონდათ აღებული. სატურნირო მდგომარეობის გამოსწორება მათ ვერც დედაქალაქურ დერბიში შეძლეს. "ჩელსის" სასარგებლოდ მატჩი **ხუამ მატამ** და **ფრენკ ლამპარდმა** შემოატრიალეს. "არსენალი" მე-6 ადგილზეა და მეოთხეადგილოსან "ტოტენჰემს" უკვე 7 ქულით ჩამორჩება. ეს ადგილი კი ლიგის უკანასკნელ საგზურს იძლევა. ვენგერის შეგირდებს მხოლოდ ამ 7 ქულის არ უნდა ეშინოდეთ. "ტოტენჰემი" ნამდვილად არ არის ერთადერთი, ვინც ლიგაში მოსახვედრად იბრძვის. ასეთია მაგალითად "ევერტონი", რომელიც სეზონის მეორე ნახევარს, ტრადიციულად, ძლიერად ატარებს და ვინც "არსენალს" უკვე 3 ქულით უსწრებს; ასევე "ლივერპული" და "ვესტ ბრომვიჩი", რომლებიც მას ფეხდაფეხ მისდევენ, თუმცა მასზე თამაშით მეტი აქვთ ჩატარებული.

*"ცხადია, ჩვენ მეტად აღარ გვაქვს ქულების დაკარგვის უფლება, თუკი გვინდა, რომ ოთხეულში მოვხვდეთ. სატურნირო მდგომარეობა ისეთია, როგორიც არის. წინა კვირას ორი უმნიშვნელოვანესი თამაში წავაგეთ, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო გაგვირთულა და რასთან შეგუებაც ძალიან ძნელია,"* – აცხადებს ვენგერი. ყველაფრის მიუხედავად ფრანგ სპეციალისტს სჯერა, რომ, ისევე როგორც შარშანდელ სეზონში, მის გუნდი ამჯერადაც შეძლებს მიზნის მიღწევას: *"საქმე ფსიქოლოგიაშია. გუნდი ბრძოლისუნარიანია და სულიერად მისი გატეხა ძნელია. მას უნდა სჯეროდეს საკუთარი მომავლის და პოტენციალის. "სიტისთან" შეხვედრაში, მას მერე, რაც ათნი დავრჩით და დღესაც, ყველამ ვნახეთ, რომ ჩვენ შეგვიძლია მეტოქეს მოედანზე ჩვენი პირობები ვუკარნახოთ. თუმცა ამ ეტაპზე ბევრი რამის გაკეთება ნოლიდან მოგვიწევს".*

თუკი "არსენალი" პრემიერლიგაში გამოსვლას ასევე გააგრძელებს, ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მეთექვსმეტედ გასვლისთვის მას "ჩელსის" გმირობის გამეორება დასჭირდება. შარშან "ლურჯებმა" ჩემპიონატი მე-6 ადგილზე დაასრულეს, მაგრამ ტურნირის მოგების წყალობით მასში კიდევ ერთხელ გამოსვლის უფლება მოიპოვეს. "ჩელსისგან" განსხვავებით, "არსენალი" "ბაიერნს" 1/8-ფინალშივე დაუპირისპირდება. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად რთულია ეს გზა, "მეთოფეებს" ურჩევნიათ, პრემიერლიგაში მდგომარეობის გამოსწორებაზე იზრუნონ. და თუ მაინც მოხდა სასწაული, ფრანგი სპეციალისტისთვის ეს იქნება ყველაზე დიდი მიღწევა სამწვრთნელო კარიერაში.

● რუსეთის ნაკრები

# კაპელოს ნაცნობი გუნდი

6 თებერვალს რუსეთის ნაკრები ესპანურ მარბელიაში ისლანდიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. რუსეთის ნაკრების 66 წლის იტალიელმა თავკაცმა **ფაბიო კაპელომ** ორი კვირით ადრე იმ 26 ფეხბურთელის ვინაობა გაამხილა, ვისაც ის მოსამზადებელ შეკრებაზე ელის. წინასწარ ცვლილებების გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ ამის მიზეზი შეიძლება მხოლოდ ფეხბურთელების ტრავმები გახდეს. "მაესტრომ" არ მიიწვია ნაკრების ყოფილი კაპიტანი, "არსენალის" 33 წლის ვეტერანი **ანდრეი არშავინი** და მადრიდის "რეალი B-ს" 22 წლის თავდამსხმელი **დენის ჩერიშევი**. შეკრება 2 თებერვლიდან მარბელიაშივე დაიწყება.



ფაბიო კაპელომ 6 თებერვლის ამხანაგური მატჩისთვის მზადება ადრე დაიწყო

**მეკარეები:** იგორ აკინფეევი (ცსკა), ვლადიმირ გაბულოვი (ანჟი), ანტონ შუნინი (დინამო)

**მცველები:** ალექსანდრ ანიუკოვი (ზენიტი), ალექსეი ბერეზუცკი, ვასილი ბერეზუცკი, სერგეი იგნაშევიჩი, კირილ ნაბაბკინი (ყველა ცსკა), ვლადიმირ გრანატი (დინამო), ანდრეი ეშჩენკო, იური ჟირკოვი (ორივე ანჟი)

**ნახევარმცველები:** ვლადიმირ ბისტროვი, იგორ დენისოვი, ვიქტორ ფაიზულინი, რომან შიროკოვი (ყველა ზენიტი), ალან ძაგოევი (ცსკა), დენის გლუშაკოვი, ალექსანდრ სამედოვი (ორივე ლოკომოტივი), ოლეგ ივანოვი, იგორ ლებედენკო (ტერეკი), დმიტრი კომბაროვი (სპარტაკი), ალექსანდრ რიაზანცევი (რუბინი)

**თავდამსხმელები:** მაქსიმ გრიგორიევი (ლოკომოტივი), ალექსანდრ კერჟაკოვი (ზენიტი), ალექსანდრ კოკორინი (დინამო), ფიოდორ სმოლოვი (ანჟი)

● ლივერპული

# მეკარის საკითხი

## ვინ შეცვლის პეპე რეინას, თუ ესპანელი ბარსელონაში დაბრუნდება

XXIII ტურში "ნორვიჩთან" (5:0) შეხვედრაში "ლივერპულის" კარს 30 წლის ავსტრალიელი **ბრედ ჯონსი** იცავდა, სკამზე კი დუბლების 22 წლის კარის დარაჯი, უნგრელი **პეტერ გულაში** იჯდა. მიზეზი **პეპე რეინას** ტრავმაა. ესპანელმა კვირას ლივერპულის ერთ-ერთ კლინიკაში გატეხილ ცხვირზე ოპერაცია გაიკეთა. ის გუნდს ორი კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება. ინგლის ერი პრესის ცნობით, ქირურგიულმა ჩარევამ წარმატებით ჩაიარა. ექიმები გართულებას უკვე აღარ მოელიან. ასე რომ, რეინა კუთვნილ ადგილს გუნდის ძირითადში თებერვალშივე დაიბრუნებს. პეპეს ტრავმა ერთია და ჩვენი ინგლისელი კოლეგები ბოლო ხანს სულ უფრო ხშირად წერენ, რომ ფეხბურთელი სეზონის დასრულების შემდეგ კარიერას "ბარსელონაში" განაგრძობს. ცნობილია, რომ კატალონიური გრანდიდან **ვიქტორ ვალდესი** აპირებს წასვლას. რეინას სურვილს, "კამპ ნოუზე" სათამაშოდ დაბრუნდეს, 30 წლის ესპანელის მამა **მიგელ რეინაც** ადასტურებს. აი, რას ამბობს ის: *"დარწმუნებული ვარ, რომ პეპეს ძალიან უნდა "ბარსელონაში" დაბრუნება. მეც ძალიან გამეხარდება, თუკი ასე მოხდება. მითხარით, რომელ მამას არ გაუხარდება ასეთი რამ? ჩემმა შვილმა უკვე დიდი ხანია დაამტკიცა, რომ "ბარსას" დონეს შეესაბამება. მეტსაც გეტყვით, ჩემი აზრით, ის იდეალური მეკარე იქნება კატალონიელებისთვის".*



"ლივერპულიდან" პეპე რეინას წასვლაზე ბოლო ხანს ბევრს წერენ

ბრიტანული Goal.com-ის ინფორმაციით, თუკი რეინამ "ლივერპულიდან" წასვლა მოინდომა, "წითლები" მას არ დააკავებენ. ფეხბურთელს კლუბთან ხელშეკრულება 2016 წლის ივლისამდე აკავშირებს, შესაბამისად, მერსისაიდელებს შანსი აქვთ, ის სარფიანად გაყიდონ. ცხადია, **ბრენდან როჯერსი** და კომპანია ბრედ ჯონსის იმედად ვერ დარჩებიან. შესაბამისად, რეინას ღირსეული შემცვლელია მოსაძებნი. ყველაზე რეალური ფრანგული ლიგა 1-ის "აიაჩოდან" 27 წლის მექსიკელის **გილერმე ოჩოას** შეძენაა. კორსიკელები მას 10 მილიონ ევროდ აფასებენ, რაც მისი კლასის მეკარისთვის ძვირი სულაც არ არის. ოჩოას გარდა სელექციონერთა ყურადღებას იპყრობენ **ასმირ ბეგოვიჩი** (ბოსნია, 25 წლის, "სტოკ სიტი"), **მარკ-ანდრე ტერ შტეგენი** (გერმანია, 20 წლის, "მიონხენგლადბახი"), **ჯეკ ბატლანდი** (ინგლისი, 19 წლის, "ბირმინგემი"), **რონ-რობერტ ცილერი** (გერმანია, 23 წლის, "ჰანოვერი").

### რეკორდსმენი სტარიჯი

**დენიელ სტარიჯის** კარიერა "ლივერპულში" ჯერ სულ რაღაც 3 თამაშს მოიცავს, მაგრამ მას მომდევნო თამაშშივე შეუძლია პირველი რეკორდის დამყარება. მოგეხსენებათ, დებიუტი 23 წლის თავდამსხმელს "მანსფილდთან" (2:1) ასოციაციის თასის მე-3 ეტაპზე ჰქონდა. მან გოლი მე-7 წუთზე შეაგდო; ამას მოჰყვა პირველი მატჩი ჩემპიონატში. ამჯერად ის შეცვლაზე შევიდა და "მანჩესტერ იუნაიტედის" კარი ზუსტად 12 წუთში დალაშქრა. სტარიჯს "ნორვიჩთან" გოლის გასატანად 59-ე წუთი დასჭირდა. რაც შეეხება რეკორდს: 39 წლის წინ დებიუტანტმა **რეი კენედიმ** "ლივერპულის" მაისურით პირველ სამ შეხვედრაში შეძლო თავის გამოჩენა, "ჩელსისა" და "ტოტენჰემთან" ჩემპიონატში, "ბრენტფორდთან" ინგლისის ლიგის თასზე. მეოთხედ მანჩესტერის "მეინ როუდზე" "სიტის" წინააღმდეგ ის ამაოდ დაშვრა. სტარიჯს კი თავის გამოჩენის შესანიშნავი შანსი აქვს. 27 იანვარს მას ოლდჰემის "ბანდარი პარკზე" ადგილობრივი "ატლეტიკის" წინააღმდეგ მოუწევს თამაში. ლიგა ერთის ერთ-ერთი აუტსაიდერის წინააღმდეგ გატანილი ბურთი სტარიჯს "ლივერპულის" ისტორიაში მიუჩენს ადგილს.

● ამბები

### ზღაპარი ეშლი კოულისთვის



"ჩელსის" 32 წლის მარცხენა მცველ **ეშლი კოულსა** და ხელმძღვანელებს შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობაზე იმდენი იწერებოდა, რომ თავდაპირველად "დეილი მეილის" მიერ უქმეებზე გავრცელებული ინფორმაცია, ვეტერანი კლუბთან ახალ ერთწლიან ხელშეკრულებას აფორმებსო, ხუმრობა გვეგონა, მაგრამ ეს ამბავი კლუბშიც დაადასტურეს. ტაბლოიდი ირწმუნება, რომ "ჩელსის" "სტემფორდ ბრიჯზე" ნამყვანი უკანახაზელის დატოვება ძალიან ძვირი უჯდება, კვირაში 200 ათასი ფუნტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კოული მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მცველი ხდება. მოსალოდნელია, რომ მხარეები ხელმოწერის ცერემონიალს ხვალ, "სუონსისთან" ლიგის თასის განმეორებით 1/2-ფინალურ მატჩამდე გამართავენ.

### რამირესმა აღიარა

"ჩელსის" 25 წლის ბრაზილიელმა ცენტრალურმა ნახევარმცველმა **რამირესმა** აღიარა, რომ "არსენალთან" შეხვედრისას **ფრანსის კოკლენთან** ორთაბრძოლაში თამაშის წესები უხეშად დაარღვია. შეგახსენებთ, რომ ამ ეპიზოდს მასპინძელთა ელვისებური კონტრშეტევა და **ხუან მატას** გოლი მოჰყვა. *"ჩელსისთვის" ძალიან მნიშვნელოვანი იყო გოლის გატანა დებიუტშივე, რათა შემდგომ თავი უფრო მშვიდად გვეგრძნო. პირველ ტაიმში ძალიან კარგად ვითამაშეთ, "არსენალის" კართან უამრავი მომენტი შევქმენით, თუმცა მეორეში ცოტა გაგვიჭირდა. რაც შეეხება პირველ გოლს, უნდა ვაღიარო, რომ იქამდე, ვიდრე პასს სესარ ასპილიკუეტას გადავცემდი, ბურთი წესის დარღვევით მოვიპოვე,"* – განუცხადა ბრაზილიელმა Sky Sports-ს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

### ინგლისი

**პრემიერლიგა. XXIII ტური**

**საუთჰემპტონი–ევერტონი 0:0**

**საუთჰემპტონი** (4-2-3-1): ბორუცი – შოუ, ჰოიველდი, იოშიდა, კლაინი – შნაიდერლინი, კორკი – დო პრადო (62. როდრიგესი), პანჩეონი (87. დე რიდერი), რამირესი (71. ს. დევისი) - ლამბერტი

**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი – კოულმენი (58. ანიჩებე), იაგიელკა, დისტენი, ბეინსი – ნევილი, ოსმანი, ნეისმიტი, პიენაარი – იელავიჩი (67. მირალიაში), ფელაინი

**გაფრთხილება:** ჰოიველდი, შნაიდერლინი - ოსმანი

**კარში დარტყმა:** 8-7 (5-5) **კუთხური:** 10-6 **თამაშგარე:** 0-2 **ჯარიმა:** 15-11 **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 28 359

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 23 | 18 | 2 | 3 | 57-30 | 56 |
| 2. სიტი | 23 | 15 | 6 | 2 | 45-19 | 51 |
| 3. ჩელსი | 23 | 13 | 6 | 4 | 47-22 | 45 |
| 4. ტოტენჰემი | 23 | 12 | 5 | 6 | 40-28 | 41 |
| 5. ევერტონი | 23 | 9 | 11 | 3 | 35-26 | 38 |
| 6. არსენალი | 22 | 9 | 7 | 6 | 41-26 | 34 |
| 7. ლივერპული | 23 | 9 | 7 | 7 | 40-28 | 34 |
| 8. ვესტ ბრომვიჩი | 23 | 10 | 4 | 9 | 33-32 | 34 |
| 9. სუონსი | 23 | 8 | 9 | 6 | 34-27 | 33 |
| 10. სტოკ სიტი | 23 | 6 | 11 | 6 | 22-27 | 29 |
| 11. სანდერლენდი | 23 | 7 | 7 | 9 | 27-31 | 28 |
| 12. ვესტ ჰემი | 22 | 7 | 6 | 9 | 25-28 | 27 |
| 13. ნორვიჩი | 23 | 6 | 8 | 9 | 24-39 | 26 |
| 14. ფულჰემი | 23 | 6 | 7 | 10 | 33-40 | 25 |
| 15. საუთჰემპტონი | 23 | 5 | 8 | 10 | 30-40 | 23 |
| 16. ნიუკასლი | 23 | 5 | 6 | 12 | 28-41 | 21 |
| 17. ასტონ ვილა | 23 | 4 | 8 | 11 | 19-44 | 20 |
| 18. რედინგი | 23 | 4 | 7 | 12 | 28-43 | 19 |
| 19. უიგანი | 23 | 5 | 4 | 14 | 25-43 | 19 |
| 20. ქუინზ პარკი | 23 | 2 | 9 | 12 | 18-37 | 15 |

**ბომბარდირები:** 18 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), 16 - ლუის სუარესი (ლივერპული), 14 - დემბა ბა (ნიუკასლი/ჩელსი).

● 20-წლამდელთა კოპა ამერიკა. ფინალური ჯგუფი. I ტური



ნიკოლას ლოპესმა ზედიზედ მეხუთე შეხვედრაში გაიტანა

# ბევრი გოლი და ბევრი წითელი

**ჩილე–პარაგვაი 1:3**

**გოლები:** 1:0 ნ. კასტილიო (9), 1:1 დერლის გონსალესი (60), 1:2 მ. პერესი (77), 1:3 ლუსენა (81).
**გაძევება:** ლიჩნოვსკი (27) – გ. გომესი (22).

**პერუ–ურუგვაი 1:3**

**გოლები:** 0:1 ფორმილიანო (13), 1:1 რეინა (43), 1:2 ნ. ლოპესი (68), 1:3 როლანი (88).
**გაძევება:** დესა (27) – ე. ველასკესი (33).

**კოლუმბია–ეკვადორი 2:1**

**გოლები:** 1:0 ხ. ნიეტო (50), 2:0 კინტერო (70), 2:1 პარალესი (85).

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პარაგვაი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 2. ურუგვაი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 3. კოლუმბია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 4. ეკვადორი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 5. პერუ | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| 6. ჩილე | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |

**ბომბარდირები:** 5 – ნ. ლოპესი (ურუგვაი); 4 – როლანი (ურუგვაი), დერლის გონსალესი (პარაგვაი); 3 – ნ. კასტილიო (ჩილე), ბორხა (კოლუმბია), ჯ. კორდობა (კოლუმბია), რეინა (პერუ), მ. პერესი (პარაგვაი), კინტერო (კოლუმბია).

**მომდევნო ტური** (24 იანვარი): ჩილე-ეკვადორი, პერუ-პარაგვაი, კოლუმბია-ურუგვაი.

**არგენტინაში** მიმდინარე ახალგაზრდულ კოპა ამერიკაზე ფინალური ჯგუფური ეტაპის, პირველი ტურის მატჩები გაიმართა. მაყურებელმა ბევრი გოლი და ასევე ბევრი წითელი ბარათი იხილა.

თავიდან მოედანზე ჩილეს და პარაგვაის ნაკრები გუნდები გამოვიდნენ. ეს გუნდები ერთმანეთს პირველ ჯგუფურ ეტაპზეც შეხვდნენ და იმ შეხვედრაში გამარჯვება ჩილეს დარჩა (3:2). ამჯერად, პარაგვაელებმა რევანში შეძლეს, მაგრამ პირველი ტაიმი ჩილემ, გუნდის ერთ-ერთი ლიდერის, **ნიკოლას კასტილიოს** გოლით მოიგო. შეხვედრა ძალიან უხეში გამოდგა, რაზეც არბიტრის მიერ ფეხბურთელებისთვის ნაჩვენები 10 ყვითელი და 2 წითელი ბარათი მეტყველებს.

მეორე ტაიმში უპირატესობას პარაგვაი დაეუფლა, რაც სამ გოლში გამოიხატა. მორიგი ბურთი გაიტანა **დერლის გონსალესმა**, ვისაც უკვე 4 გოლი აქვს გატანილი. "ბენფიკას" ფეხბურთელმა, 81-ე წუთზე საგოლე პასიც ჩაიწერა და საკუთარი გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა.

პირველი მატჩის მსგავსად, პირველ ჯგუფურ ეტაპზე ერთმანეთს პერუ და ურუგვაიც შეხვდნენ. ის მატჩი ფრედ, 3:3 დასრულდა, გუშინ კი გამარჯვება ურუგვაის დარჩა. მორიგი გოლები გაიტანეს **დიეგო როლანმა** და **ნიკოლას ლოპესმა**. როლანმა, ხუთი მატჩიდან მხოლოდ ეკვადორს ვერ გაუტანა, ნიკოლას ლოპესმა კი თავი ურუგვაის მიერ ჩატარებულ ხუთივე შეხვედრაში გამოიჩინა – "რომას" უნიჭიერესი შემტევი, უდავოდ ტურნირის ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელია.

ბოლო, მესამე შეხვედრა კი კოლუმბიას და ეკვადორს შორის შედგა. ზემოთ ჩამოთვლილ ფეხბურთელებთან ერთად, ამ კოპა ამერიკის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი კოლუმბიელი **ხუან კინტეროც** გახლავთ – "პესკარას" ფეხბურთელი სხვებს არ ჩამორჩა და თავისი გოლი მანაც გაიტანა. საბოლოოდ, კოლუმბიამ 2:1 მოიგო და პირველი სამი ქულა ჩაიწერა.

აღსანიშნავია, რომ ტურნირზე შემორჩენილი 6 გუნდიდან, ახალგაზრდული კოპა ამერიკა მხოლოდ სამს აქვს მოგებული. ეს გუნდებია: ურუგვაი (7-გზის ჩემპიონი, ბოლოს 1981 წელს), კოლუმბია (2-გზის ჩემპიონი, ბოლოს 2005 წელს) და პარაგვაი (1971 წელს).

● ამბები

## სირიგუ ლამას მიუახლოვდა

"ბორდოსთან" მშრალად შენახული კარის შემდეგ, **სალვატორე სირიგუს** მშრალი სერია 685 წუთამდე გაგრძელდა. იტალიელი მეკარე, "პარი სენ ჟერმენის" ლეგენდარული კიპერის, **ბერნარ ლამას** რეკორდს მიუახლოვდა. 1996/97 წლების სეზონში, ლამამ საკუთარი კარი მშრალად 699 წუთის განმავლობაში შეინახა, ასე რომ, თუ შაბათს "ლილთან" სირიგუ პირველ 15 წუთში გოლს არ გაუშვებს, ის პარიზული გუნდის ახალი რეკორდსმენი გახდება.

## ინსუა გრემიოში გადადის

პორტუ ალეგრის "გრემიო" კოპა ლიბერტადორესზე სათამაშოდ ემზადება. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიის ჩემპიონატის მესამეადგილოსანს კენჭისყრაში არ გაუმართლა და ლიბერტადორესის თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე, მეტოქედ ეკვადორის ერთ-ერთი გრანდი, "ლდუ კიტო" შეხვდა.

გუნდის გაძლიერების მიზნით, "გრემიოს" ხელმძღვანელებმა უკვე შეიძინეს ვეტერანი მეკარე **დიდა**, "ლიონის" და "გალათასარაის" ყოფილი მცველი **კრისი** და "სან პაულოს" ყოფილი ფორვარდი **ვილიან ჟოზე**, გარდა ამისა, "გრემიომ" "ნაპოლიდან" იჯარით **ედუარდო ვარგასი** აიყვანა.

პორტუგალიური პრესის ცნობით, ბრაზილიური კლუბი ამაზე გაჩერებას არ აპირებს და უახლოეს დღეებში, გუნდში **ემილიონი ინსუა** ჩაირიცხება. "ლივერპულის" ყოფილი ფეხბურთელი, რომელიც ამჟამად ლისაბონის "სპორტინგში" თამაშობს, ბრაზილიაში დღეს უნდა ჩავიდეს. 24 წლის არგენტინელი მარცხენა მცველის შეძენა "გრემიოს" 3 მილიონი ევრო დაუჯდება.

ემილიანო ინსუა, წლების განმავლობაში, არგენტინის 20-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იყო, მაგრამ ეროვნულ გუნდში დამკვიდრება ვერ მოახერხა – 2009 წლიდან მოყოლებული, ინსუას "ალბისელესტეში" სულ 4 თამაში აქვს ჩატარებული.

● ბრაზილია. შტატების ჩემპიონატები. პაულისტა და კარიოკა

# ბრაზილიაში პაულისტა და კარიოკა დაიწყო

**ბრაზილიაში** შტატების ჩემპიონატები დაიწყო. მოგეხსენებათ, ბრაზილიაში ერთიანი პირველობა 1971 წლამდე არ ჰქონდათ და გუნდები ერთმანეთს მხოლოდ შტატების პირველობებზე ეჯიბრებოდნენ, შესაბამისად, ამ ტურნირებს, გულშემატკივართა დიდი ნაწილი უფრო დიდ ყურადღებას აქცევს, ვიდრე ეროვნულ პირველობას.

ყველაზე დიდი პოპულარობით, რა თქმა უნდა, ორი ყველაზე დიდი შტატის პირველობა სარგებლობს. ჩვენც მხოლოდ კარიოკას (რიოს შტატის ჩემპიონატი) და პაულისტას (სან პაულოს შტატის ჩემპიონატი) გავაშუქებთ...

### ისტორია

სან პაულოს შტატის პირველი ჩემპიონატი 1902 წელს გაიმართა. ყველაზე ტიტულოვანი გუნდი "კორინთიანსი" გახლავთ, რომელიც 26-გზის ჩემპიონია. მეორე ადგილზე, 22 ტიტულით "პალმეირასია", "სან პაულოს" და "სანტოსს" კი 20-20 ტიტული აქვთ. 11-გზის ჩემპიონია "პაულისტანო", მაგრამ ამ გუნდმა ბოლო ტიტული 1929 წელს მოიპოვა.

ცნობილი გუნდებიდან, "პაულისტა" მოგებული აქვთ: "პორტუგეზას" (სამჯერ), "ბრაგანტინოს" (ერთხელ) და "სან კაეტანოს" (ერთხელ).

რიო-დე-ჟანეიროს ჩემპიონატი 1906 წლიდან იღებს სათავეს. ტიტულების მიხედვით "ფლამენგო" ლიდერობს, რომელიც 32-გზის ჩემპიონია, მოერეზეა "ფლუმინენსე", 31 ტიტულით, შემდეგ მოდიან: "ვასკო და გამა" (22-გზის ჩემპიონი) და "ბოტაფოგო" (19-გზის ჩემპიონი). ამ გუნდების გარდა, კარიოკა მოგებული აქვთ: "ამერიკა" (7-ჯერ), "ბანგუ" (2-ჯერ), "სან კრისტოვაო" (ერთხელ) და "პაისანდუ" (ერთხელ).

### სტრუქტურა

სან პაულოს და რიოს ჩემპიონატები განსხვავებული სისტემით იმართება. სან პაულოს შტატის პირველობა 3 დივიზიონისგან შედგება, თითოეულში 20-20 გუნდია. უმაღლეს ლიგაში, წრიული სისტემით, 19 ტური იმართება. პირველ რვა ადგილზე გასული გუნდები ასპარეზობას პლეი ოფში აგრძელებენ, ხოლო ბოლო ოთხ ადგილზე გასული გუნდი ლიგიდან ვარდება. აღსანიშნავია, რომ "პორტუგეზა", რომელიც ბრაზილიის ჩემპიონატში სერია A-ს ბინადარია, სან პაულოს პირველობაზე მეორე დივიზიონში თამაშობს.

კარიოკა ორ ეტაპად იმართება. პირველ ეტაპს "ტაკა გუანაბარა" ჰქვია, მეორეს კი "ტაკა რიო". ორივე ტურნირი ერთნაირი სისტემით იმართება: 16 გუნდი ორ ჯგუფშია განაწილებული, ოღონდ "ტაკა გუანაბარას" დროს, კლუბები მეორე ჯგუფის გუნდებს ეთამაშებიან (სულ 8 ტური), ხოლო "ტაკა რიოს" დროს, საკუთარი ჯგუფის გუნდებს (სულ 7 ტური). პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები პლეი ოფის ეტაპზე გადიან, სადაც ტურნირის გამარჯვებულს არკვევენ. საბოლოოდ, "ტაკა გუაბანაბარას" და "ტაკა რიოს" გამარჯვებულები ერთმანეთს ფინალში ხვდებიან და ამ მატჩის გამარჯვებული რიო დე ჟანეიროს შტატის ჩემპიონი ხდება. თუ ორივე ტურნირი ერთმა გუნდმა მოიგო, ფინალური მატჩი, რა თქმა უნდა, აღარ იმართება.

### პაულისტა 2013. I ტური

**სან პაულო-მირასოლი 2:0**
**გოლები:** 1:0 ლუიშ ფაბიანო (12), 2:0 ჟადსონი (81).

**სან ბერნარდო-სანტოსი 1:3**
**გოლები:** 0:1 ნეიმარი (20), 1:1 ნალდინიო (22), 1:2 მირალიესი (79), 1:3 ნეიმარი (90-პენ).

**პაულისტა-კორინთიანსი 1:1**
**გოლები:** 0:1 ჯოვანი (59), 1:1 ჟოაო ენრიკე (80).

| | |
|---|---|
| **პალმეირასი-ბრაგანტინო** | 0:0 |
| **უნიაო ბარბარ-XV დე პირაკიკაბა** | 1:1 |
| **ლინენსე-გუარანი** | 2:1 |
| **ატლ. სოროკაბა-სან კაეტანო** | 1:2 |
| **პენაპოლენსე-იტუანო** | 3:0 |
| **პონტე პრეტა-მოჯი მირიმი** | 0:0 |
| **ბოტაფოგო (სპ)-ოესტე** | 2:0 |

"პაულისტას" პირველ ტურში ერთი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა, რომლის ავტორიც... "პაულისტა" იყო. ამ გუნდმა, რომელიც ბრაზილიის ჩემპიონატში საერთოდ არ მონაწილეობს (!), მოახერხა და არ წააგო კოპა ლიბერტადორესის მოქმედ გამარჯვებულ "კორინთიანსთან". მართალია, **ტიტეს** გუნდს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა, მაგრამ გასამართლებელ საბუთად ეს არ გამოდგება.

სხვათა შორის, "პაულისტა" ძალიან საინტერესო გუნდია. ეს კლუბი 1909 წელს არის დაარსებული და ისტორიის განმავლობაში ერთადერთი ტიტული, ბრაზილიის თასი (2005 წელს) აქვს მოგებული. ამის გამო, 2006 წელს კლუბმა კოპა ლიბერტადორესზე ითამაშა, სადაც ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა, მაგრამ 6 ქულის მოგროვება კი მოახერხა, თანაც ამ გუნდმა, საკუთარ მოედანზე "რივერ პლეიტი" (!) დაამარცხა. ასეთი რამ მხოლოდ სამხრეთ ამერიკაშია შესაძლებელი: კლუბი ეროვნული პირველობის არც ერთ დივიზიონში არ იყოს (ბრაზილიაში სულ 4 დივიზიონია), მიუხედავად ამისა კონტინენტის მთავარ საკლუბო ტურნირზე მოხვდეს და იქ, მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდს მოუგოს.

"კორინთიანსის" მსგავსად ვერ მოიგო "პალმეირასმაც", მაგრამ ერთი რომ ეს გუნდი უკვე სერია B-ს წევრია და თანაც, მისი მეტოქე "პაულისტაზე" გაცილებით ძლიერი "ბრაგანტინო" იყო.

სამაგიეროდ, გამარჯვებით დაიწყეს ტურნირი "სან პაულომ" და "სანტოსმა". **ნეი ფრანკოს** გუნდმა სერია D-ს "მირასოლი" დაამარცხა, ხოლო "სანტოსმა", **ნეიმარის** დუბლის და **ესეკილ მირალიესის** გოლით, ასევე მხოლოდ სან პაულოს ჩემპიონატში მოთამაშე, "სან ბერნარდოს" სძლია.

### კარიოკა 2013. ტაკა გუანაბარა. I ტური

**ფლამენგო-კისამა 2:0**
**გოლები:** 1:0 ერნანი (3), 2:0 ერნანი (84).

**ბოავიშტა-ვასკო 0:3**
**გოლები:** 0:1 კარლოს ალბერტო (16), 0:2 ედერ ლუიში (27), 0:3 ბერნარდო (72).

**ნოვა იგუასუ-ფლუმინენსე 0:3**
**გოლები:** 0:1 ვაგნერი (82), 0:2 ვაგნერი (90).

**ბოტაფოგო-დუკე დე კაშიასი 3:0**
**გოლები:** 1:0 ანდრეზინიო (27), 2:0 ბოლივარი (30), 3:0 ანტონიო კარლოსი (37).

| | |
|---|---|
| **ოლარია-აუდაქს რიო** | 0:0 |
| **ფრიბურგენსე-ბანგუ** | 2:1 |
| **რესენდე-მადურეირა** | 1:1 |
| **მაკაე-ვოლტა რედონდა** | 1:2 |

"კარიოკას" პირველ ტურში ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა: რიოს ოთხივე გრანდმა მოიგო. "ფლამენგომ" **ერნანის** დუბლის წყალობით "კისამას" მოუგო. ეს გუნდიც, ზემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი კლუბის არ იყოს, ბრაზილიის ჩემპიონატში არ მონაწილეობს და ამასთან ერთად, "კარიოკას" უმაღლესი ლიგის დებიუტანტიც არის.

მოიგო "ვასკო და გამამ", რომელმაც სტუმრად "ბოავიშტა" გაანადგურა. პირველი გოლი, "პორტუს" და "ვერდერის" ყოფილმა ნახევარმცველმა **კარლოს ალბერტომ** გაიტანა, რასაც "ბენფიკას" ყოფილი ფეხბურთელის **ედერ ლუიშის** და **ბერნარდოს** გოლები მოჰყვა.

გაუჭირდა ბრაზილიის ჩემპიონს, რომელმაც "ნოვა იგნასიუს" გოლები მატჩის ბოლო 10 წუთში გაუტანა – დუბლით თავი **ვაგნერმა** გამოიჩინა. იოლი 3 ქულა ჩაიწერა "ბოტაფოგომ", ვინც **ანდრეზინიოს**, "ინტერნასიონალიდან" გადმოსული **ბოლივარის** და **ანტონიო კარლოსის** გოლებით იმარჯვა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**



ნეიმარმა პირველივე შეხვედრაში დუბლი შეასრულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ლიგა. ვალენსია–რეალის გამოხმაურება



ბევრის აზრით, კვირის მატჩის პირველი ტაიმი საუკეთესო იყო ჟოზე მოურინიოს მადრიდულ კარიერაში

# რეალის არაჩვეულებრივი გამოფენა მესტალიაზე

## კასილიასის მშრალი სერია 4 მატჩზე ავიდა

„რეალის“ გამოფენა „მესტალიაზე“, - ასე დაასათაურა „სამეფო კლუბის“ ოფიციალურმა საიტმა ლა ლიგის მე-20 ტურის შეხვედრა „ვალენსიას“ წინააღმდეგ. ეს უდავოდ სეზონის საუკეთესო მატჩი იყო **ჟოზე მოურინიოს** გუნდის შესრულებით. თამაში, რომელმაც შარშანდელი სეზონი გაგვახსენა, როდესაც „რეალმა“ ჰანდიკაპით მოუგო „ბარსელონას“ ჩემპიონატი. ზოგი უფრო შორს მიდის და მიიჩნევს, რომ „ვალენსიასთან“ პირველი ტაიმი (ყველა, 5 გოლი მასპინძელთა კარში მაშინ გავიდა) საუკეთესო იყო მოურინიოს ფორმაციის „რეალის“ შესრულებით.

**კრიშტიანო რონალდომ** დუბლი შეასრულა და ბომბარდირთა დავაში რადამელ ფალკაოს დაეწია (18-18 გოლი). **ანხელ დი მარიამ** დუბლი შეასრულა და მერე თქვა, ამით ბევრს ჩავაკმენდინე ხმაო (შესაძლოა, საკუთარ მწვრთნელსაც კი გულისხმობდა), გონსალო იგუაინმა კი 11 მატჩში მე-8 გოლი გაიტანა, შესანიშნავი შედეგიანობაა.

2013 წელი თეთრებმა დიდებულად დაიწყეს, 5 მატჩი გამართეს, აქედან 4 მოიგეს და ერთი ფრედ დაასრულეს. ოთხი მატჩია, **იკერ კასილიასის** კარში გოლი არ გასულა.

### მატჩის შემდეგ

**ერნესტო ვალვერდე** (ვალენსია): *„მეტოქემ ძალიან მაღალი ტემპი შემოგვთავაზა. ჩვენ კი, მგონი, ტაქტიკური შეცდომები დავუშვით. 0:5 საშინელი შედეგია, მაგრამ ჩვენ წაგებაზეც უნდა ვისწავლოთ. იმედი მაქვს, სათასო შეხვედრას რევანშისთვის გამოვიყენებთ. „რეალი“ ესპანეთის ჩემპიონია, გუნდი ფანტასტიკურად თამაშობს კონტრშეტევებზე, პირველი გოლის შემდეგ მეტოქის ყოველი კონტრშეტევა საგოლე საფრთხის შემცველი იყო. რაც შეეხება მსაჯობას, მე ამ საკითხს არ განვიხილავ“.*

**აიტორ კარანკა** (რეალი): *„ასეთი წაგების შემდეგ „ვალენსია“ უფრო საშიშია, ის შეეცდება თავისი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაციას სათასო მატჩში. ვფიქრობ, „რეალმა“ ის ელემენტები შემოგვთავაზა, რაც გუნდს შარშანდელ სეზონში ახასიათებდა, როცა ესპანეთის ჩემპიონები გავხდით. ჩვენ ზუსტად ეს უნდა შევინარჩუნოთ და რა თქმა უნდა, საკუთარი ძალების რწმენა არ დავკარგოთ“.*

ამბები

## ვილიას ბარსადან წასვლა სურს

ესპანური პრესა ირწმუნება, რომ 31 წლის **დავიდ ვილიამ** „ბარსელონას“ თავკაც **ტიტო ვილანოვას** უთხრა, რომ გუნდიდან წასვლა სურს.

შეგახსენებთ, რომ ახლახან „ბარსელონამ“ უარყო ხმები „ელ გუახეს“ „ბარსადან“ წასვლის შესახებ, ვილიას ვილანოვამ გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელი უწოდა.

წყაროს ცნობით, ვილიამ მწვრთნელს ალალად უთხრა, რომ გაჩერება აღარ სურს, რადგან საკმარისი სათამაშო პრაქტიკა „ბარსელონაში“ არ აქვს. ამასთან, მისით ერთ-ერთი ინგლისური კლუბია დაინტერესებული. ფეხბურთელს არც ის დაუმალავს, რომ ამჟამად რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფება.

## სერი 20 წლის ზაჰაში 20 მილიონ ევროს იხდის

სერ **ალექს ფერგიუსონმა** ნიჭიერი ფორვარდისთვის ბრძოლა **არსენ ვენგერს** მეტი ფულის წყალობით მოუგო. როგორც ჩანს, ორი ინგლისური გრანდის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ და „არსენალის“ ბრძოლა ნიჭიერი გარემარბის, 20 წლის **უილფრიდ ზაჰას** ხელში ჩასაგდებად, „მანიუს“ გამარჯვებით დასრულდება.

როგორც ინგლისური მედია იუწყება, კვირას სერ ალექს ფერგიუსონი პირადად შეხვდა ზაჰას, შემდეგ კი ხელმძღვანელობასთან ახალი წინადადება შეათანხმა - „მანჩესტერ იუნაიტედი“ ზაჰას სანაცვლოდ „კრისტალ პალასს“ 20 მილიონ ევროს შესთავაზებს. ეს კი ის თანხაა, რომლის გადახდის თავიც „არსენალს“ არ აქვს.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირაში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „კრისტალ პალასს“ 7 მილიონ ევროზე ოდნავ მეტი შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო.

ახლახან ზაჰას ინგლისის ეროვნულ ნაკრებში დაუძახეს. ზაჰა კოტ დიუარში დაიბადა, ქალაქ აბიჯანში. ის 4 წლის იყო, როცა ოჯახი ლონდონში გადავიდა საცხოვრებლად.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტრანსფერი

# გადაწყდა: სნეიდერი გალაში ითამაშებს




ვესლი სნეიდერს „გალათასარაის“ ფორმა უკვე მოარგეს

**ვესლი სნეიდერი** კარიერას „გალათასარაიში“ გააგრძელებს, ეს უკვე ოფიციალურად დადასტურებული ინფორმაციაა. 28 წლის ჰოლანდიელი ნახევარმცველი მილანურ გრანდში ოთხი წლის განმავლობაში ასპარეზობდა და ამ პერიოდში, პრაქტიკულად ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. იტალიური სპორტული პრესის ცნობით, თურქული კლუბი ვესლის სანაცვლოდ 8 მილიონ ევროს გადაიხდის, ფეხბურთელის წლიური გასამრჯელო კი 6.5 მილიონი ევრო იქნება. თავად სნეიდერმა თურქულ პრესას უკვე მისცა პირველი კომენტარი:

*„ბედნიერი ვარ, რომ შეთანხმება შედგა და სულ მალე, „გალათასარაის“ ფორმას მოვირგებ. ვფიქრობ, კარიერას ამ გუნდში დავასრულებ, რადგან მოგზაურობის სურვილი აღარ მაქვს. ვიცი, რომ საოცარი გულშემატკივრები გვყავს და ჩემს გადაწყვეტილებაში ამან დიდი როლი ითამაშა. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ ფათიჰ თერიმთან მომიწევს მუშაობა, თურქული ფეხბურთისთვის ეპოქალური მნიშვნელობის მწვრთნელთან. მასზე ბევრი რამ მსმენია და დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს კარგად გავუგებთ“.*

**ლაშა წიკლაური**

შტუტგარტი. მოსალოდნელი ტრანსფერები

# იტალიელები შტუტგარტში?

## ლაბადიას მაკედა და აკვაფრესკა მოსწონს

გასულ შაბათს, ბუნდესლიგის მე-18 ტურში გამოჩნდა, რომ „შტუტგარტს“ წინა ხაზზე უჭირს. შვაბები ვოლფსბურგში 0:2 დამარცხდნენ, მთავარმა მწვრთნელმა **ბრუნო ლაბადიამ** კი წაგების მთავარ მიზეზად ბოსნიელი ფორვარდის, **ვედად იბიშევიჩის** არყოფნა დაასახელა. ცხადად გამოჩნდა, რომ „შტუტგარტს“ მისი ღირსეული შემცვლელი ან მეწყვილე არ ჰყავს. „კიკერის“ ცნობით, „შტუტგარტის“ მენეჯერმა **ფრედი ბობიჩმა**, რომელიც თავად გახლდათ ბრწყინვალე თავდამსხმელი, ორ იტალიელ ცენტრფორვარდს დაადგა თვალი და მუშაობასაც შეუდგა.

*„სამწუხაროდ, ვედოს სრულფასოვანი შეცვლა არ შეგვიძლია,“* - აღიარებს ბობიჩი „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. პრობლემა ისაა, რომ ახლა **კაკაუს** ტრავმა აქვს და შაბათს შვაბთა თავკაცი **ბრუნო ლაბადია** იძულებული გახდა, ცენტრფორვარდად **შინჯი ოკაზაკი** გაემწესებინა, რომელიც გარემარბია და ცენტრალური თავდამსხმელის რანგში ვერაფერი გააწყო.

„კიკერის“ ცნობით, **დუვიერ რიასკოსის** (26 წლის, „ტიხუანა“) ტრანსფერის ჩაშლის შემდეგ, ბობიჩი ორ ტრანსფერზე მუშაობს. ორივე იტალიელია: 21 წლის **ფედერიკო მაკედა** და 25 წლის **რობერტ აკვაფრესკა**. მაკედა „მანჩესტერ იუნაიტედში“ დაბრუნდა, თუმცა **სერ ალექს ფერგიუსონის** გუნდის ძირითად შემადგენლობაში თავის დამკვიდრების შანსი არ აქვს. ფედერიკოს აგენტი კი ადასტურებს, „შტუტგარტთან“ მოლაპარაკებები მართლაც მიმდინარეობსო. აკვაფრესკა კი წლებია, სერია A-ში თამაშობს, 2011 წლიდან კი „ბოლონიაში“ ირიცხება - ხან ჯოკერია, ხანაც სასტარტოში ათამაშებენ. აღსანიშნავია, რომ პირველ წრეში მას ტრავმის გამო ბევრი გაუცდა და არც ახლაა ბოლომდე გამოჯანმრთელებული.

**გოტფრიდ ლენცი**




### ესპანეთი

**ლა ლიგა. XX ტური**

| ბეტისი–ბილბაო | 1:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 რ. კასტრო (2-პენ), 1:1 ადურისი (41)

**ბეტისი (4-3-3):** ადრიანი - ანხელი, ამაია, მარიო (46. პაულაუ), ჩიკა - სევილია (39. ნონო), კანიასი (67. რ. პერესი), ბენიატი - კემპბელი, მოლინა, რ. კასტრო.

**ბილბაო (4-3-3):** ირაისოსი - ირაოლა, ლაპორტე, ეკიზა, დე მარკოსი - გურპეგი (46. აურტენეჩე), იტურასპე, ანდერი - სუსაეტა, ადურისი, მუნიაინი (79. ი. გომესი).

**გაფრთხილება:** კემპბელი, ბენიატი, ამაია, კანიასი, პერესი - ირაისოსი, გურპეგიიტურასპე

**კუთხური: 5-8; ჯარიმა: 14-12; თამაშგარე: 0-1; კარში დარტყმა: 7-12 (2-5); ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 42 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 20 | 18 | 1 | 1 | 66-23 | 55 |
| 2. ატლეტიკო | 20 | 15 | 2 | 3 | 42-18 | 47 |
| 3. რეალი | 20 | 12 | 4 | 4 | 50-20 | 40 |
| 4. ბეტისი | 20 | 11 | 2 | 7 | 31-30 | 35 |
| 5. მალაგა | 20 | 9 | 5 | 6 | 30-17 | 32 |
| 6. ვალეკანო | 20 | 10 | 1 | 9 | 27-36 | 31 |
| 7. ვალენსია | 20 | 9 | 3 | 8 | 27-32 | 30 |
| 8. ლევანტე | 20 | 9 | 3 | 8 | 24-29 | 30 |
| 9. სოსიედადი | 20 | 8 | 5 | 7 | 31-27 | 29 |
| 10. ვალიადოლიდი | 20 | 8 | 4 | 8 | 29-25 | 28 |
| 11. ხეტაფე | 20 | 7 | 5 | 8 | 25-31 | 26 |
| 12. სევილია | 20 | 6 | 5 | 9 | 24-29 | 23 |
| 13. სარაგოსა | 20 | 7 | 1 | 12 | 21-30 | 22 |
| 14. ბილბაო | 20 | 6 | 4 | 10 | 24-40 | 22 |
| 15. ესპანიოლი | 20 | 5 | 6 | 9 | 23-32 | 21 |
| 16. გრანადა | 20 | 5 | 5 | 10 | 18-29 | 20 |
| 17. სელტა | 20 | 5 | 4 | 11 | 20-25 | 19 |
| 18. ოსასუნა | 20 | 4 | 6 | 10 | 16-21 | 18 |
| 19. მალიორკა | 20 | 4 | 5 | 11 | 20-36 | 17 |
| 20. დეპორტივო | 20 | 3 | 7 | 10 | 24-42 | 16 |

**ბომბარდირები:** 29 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 18 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო), კრიშტიანო რონალდო (რეალი)

ტრავმა



# ატლეტიკომ ფალკაო 3 კვირით დაკარგა?

ესპანეთის ჩემპიონატის მე-20 ტურის მატჩში, რომელშიც „ატლეტიკომ“ 2:0 მოუგო „ლევანტეს“ და „ბარსას“ 8 ქულამდე მიუახლოვდა, ტრავმა მიიღო მადრიდელთა 26 წლის ლიდერმა **რადამელ ფალკაომ**.

კოლუმბიელი თავდამსხმელი **დიეგო სიმეონემ** მე-2 ტაიმში გამოცვალა. მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე არგენტინელმა თავკაცმა განაცხადა, რომ ფალკაო დაახლოებით 3 კვირით გამოეთიშა გუნდს. ასე რომ, ფორვარდმა შეიძლება გამოტოვოს ევროპალიგის 1/16 ფინალის პირველი მატჩი ყაზანის „რუბინის“ წინააღმდეგ. თუმცა ბოლო ცნობებით, შესაძლოა, ტრავმა არც ისეთი სერიოზული იყოს, როგორც თავიდან ივარაუდეს.

აფრიკის თასი. სამხრეთ აფრიკა 2013. ჯგუფური ეტაპი.

# ჩემპიონმა ეთიოპიას ვერ მოუგო

### C ჯგუფი

| ზამბია–ეთიოპია | 1:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 მბესუმა (45), 1:1 ადანე გირმა (65).
**გაძევება:** ტასევი (35. ეთიოპია).
**გამოუყენებელი პენალტი:** ს. საიდი (25. ეთიოპია)

| ნიგერია–ბურკინა ფასო | 1:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ემენიკე (23), 1:1 ტრაორე (90+4).
**გაძევება:** ამბროზე (74. ნიგერია).

აფრიკის თასზე პირველი მატჩი ტურნირის მოქმედმა ჩემპიონმა, ზამბიამ ჩაატარა და პროგნოზების საპირისპიროდ, ეთიოპიის დამარცხება ვერ შეძლო, არადა, მათი მეტოქე, შეხვედრის 35-ე წუთიდან მოყოლებული კაცნაკლული იყო.

როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, გოლის გატანის პირველი შანსი ეთიოპიელებს ჰქონდათ, მაგრამ **სალადინ საიდმა** პენალტი ვერ გამოიყენა (25-ე წუთზე), ამ მომენტიდან ზუსტად 10 წუთში, შეხვედრის არბიტრმა ეთიოპიელთა მეკარე, **ჯემალ ტასევი** გააძევა და აუტსაიდერად მიჩნეული გუნდი მოედანზე 10 კაცით დატოვა. აფრიკის ჩემპიონმა მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა მსაჯის მიერ დამატებული წუთებზე შეძლო – გოლი “ორლანდო პაირეტსის” ფორვარდმა, **კოლინს მბესუმამ** გაიტანა.

შეხვედრის მეორე ტაიმში, ეთიოპიამ ანგარიშის გათანაბრება მოახერხა. გოლამდე და გოლის შემდეგაც, უპირატესობას ზამბიელები ფლობდნენ, მაგრამ მეტოქის კარის აღება ვერაფით მოახერხეს. აღსანიშნავია, რომ ზამბიელთა მთავარმა მწვრთნელმა, ადამიანმა ვინც ამ გუნდს შარშან აფრიკის თასი მოაგებინა, **ერვე რენარმა**, ძირითად შემადგენლობაში არც **ჯეიკობ მულენგა** დააყენა და არც **ემანუელ მაიუკა** – ორი ყველაზე ცნობილი ზამბიელი ფორვარდი. როგორც ჩანს, მწვრთნელს ეთიოპია იოლად წასაქცევი მეტოქე ეგონა, რის გამოც დაისაჯა კიდეც.

აქვე ვთქვათ, რომ ძირითადში იყო ზუგდიდის “ბაიას” ყოფილი ფეხბურთელი **ჩისამბა ლუნგუ**, რომელმაც მინდორზე 90 წუთი გაატარა და ყვითელი ბარათი მიიღო.

**ტატო ბაციკაძე**



ჩისამბა ლუნგუმ და მისმა პარტნიორებმა ეთიოპიას ვერაფერი დააკლეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XVIII ტურის შეჯამება

# AND THE WINNER IS...

## მარიო, ოღონდ ხორვატი!



მარიო მანჯუკიჩმა „ფიურტთან“ დუბლი შეასრულა და პეპ გვარდიოლას თავი მოაწონა

**დიეგოს და დიტერ ჰეკინგს ერთმანეთი შეუყვარდათ, ხუანანმა თავით საკუთარი მეკარე „გადირკა“, ტიმ ვიზემ კარი ბოლოს და ბოლოს მშრალად შეინახა, მაგრამ საფეხბურთო გერმანიაში მთავარ სალაპარაკო თემად ისევ ხოსეპ გვარდიოლა რჩება. თუმცა ამჯერად პეპზე წერას არ ვაპირებთ...**

### მშრალი ვიზე

გერმანიის ჩემპიონატის მე-18 ტურის გამოხმაურებას **ხოსეპ გვარდიოლათი** ნაღდად არ დავიწყებთ - საკმარისია, რაც ამ დღეებში ვწერეთ იმ მწვრთნელზე, რომელიც „ბაიერნს“ ზაფხულიდან ჩაიბარებს. ყველაზე დიდი გმირობა ამ ტურში ნაღდად **ტიმ ვიზემ** ჩაიდინა - „ჰოფენჰაიმის“ მეკარემ თავისი კარი ბოლოს და ბოლოს მშრალად შეინახა! თუკი ვიზე ასე გააგრძელებს და მომავალში მისი თანაგუნდელებიც რამეს მოახერხებენ, იქნებ „ჰოფემ“ მართლაც გაიბრძოლოს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის - როგორც ამას ვიზე სეზონის წინ გვპირდებოდა.

მანამდე არაფერი გეტკინოთ!

### მონდომებული ჰოლტბი

დეკემბრის მიწურულს **ლუის ჰოლტბიმ** თქვა, „შალკესთან“ ახალ კონტრაქტს არ გავაფორმებო, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს საკმაოდ ნიჭიერი ფეხბურთელი გელზენკირხენულ კლუბს ზაფხულში უფასოდ დატოვებს, თუმცა იანვრის ბოლომდე დრო ჯერ კიდევ არის და შეიძლება, ახლავე წავიდეს, „შალკემ“ კი მისი გაშვებით ფინანსური ხეირის ნახვა მაინც მოახერხოს. მოკლედ, ჰოლტბის ამბავის გარკვევის შემდეგ გერმანიაში არავის ეგონა, რომ ლუისი მეორე წრეს ასეთი შემართებით დაიწყებდა: „ჰანოვერთან“ გოლუხვ მატჩში (5:4) მან ორი საგოლე პასი გააკეთა და გადამწყვეტი გოლი შეაგდო, რის გამოც, შეცვლის დროს „ფელტინს არენა აუფ შალკეს“ პუბლიკამ დიახაც ტაშით გააცილა. მოგვიანებით ლუისმა თქვა, აქედან ისე არ წავალ, ჩემი კვალი არ დავტოვოო. სერიოზული კვალის დატოვების რა მოგახსენოთ, ის კი ფაქტია, რომ ამ მატჩის შემდეგ ჰოლტბის ფასმა აიწია.

### მანჯუკიჩი გვარდიოლას თავს აწონებს

გვესმის, რომ „ბაიერნის“ ბოსებს ეს ძალიან არ მოსწონთ, მაგრამ **ული ჰიონესი** და **კარლ-ჰაინც რუმენიგე** უნდა შეეგუონ იმას, რომ ამიერიდან სადაც „ბაიერნს“ ახსენებენ, იქ არც ხოსეპ გვარდიოლას გვარი გამორჩება ვინმეს. რეკორდმაისტერის ფეხბურთელებმა იციან, რომ სადღაც ნიუ იორკში ზის ერთი ადამიანი, რომელიც მალე მათი დამრიგებელი გახდება და რომელიც მიუნხენური კლუბის ყველა თამაშს უყურებს. შესაბამისად, ამ ხუთ თვეში იმ საოცარ კაცს ბაიერნელებმა თავი უნდა მოაწონონ. პეპის ამბავის გარკვევის შემდეგ ჩატარებულ პირველ თამაშში ესპანელს ფაქტობრივად მარტო **მარიო მანჯუკიჩი** მოეწონებოდა - „ბაიერნმა“ „ფიურტს“ ხომ სწორედ ხორვატი ცენტრფორვარდის დუბლით მოუგო, სხვებმა კი თავი ვერაფრით გამოიჩინეს.

### ნაციის ბომბარდირი შტეფანი

„ლევერკუზენის“ თავდამსხმელმა **შტეფან კისლინგმა**, ამას წინათ, „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა, ბავშვობაში მზარეულობა მინდოდაო. როგორც ჩანს, მერე კარგად დაფიქრდა და მიხვდა, რომ მზარეულობას ფეხბურთელობა სჯობდა - კარგადაც გამოიძინებდა, საუკეთესო ავტომობილები ეყოლებოდა და სვირინგებიც ექნებოდა. მისი ბავშვობის ოცნებებზე საუბარი დიდხანს რომ არ გაგვიგრძელდეს, პირდაპირ საქმეზე გადავალთ და შეგახსენებთ, რომ 2012 წელს ბუნდესლიგაში ყველაზე მეტი გოლი სწორედ კისლინგმა გაიტანა, ახლა კი, მეორე წრის პირველ ტურში საქმე ძველებური შემართებით გააგრძელა: „აინტრახტთან“ პრინციპულ მატჩში ერთი გოლი და ერთიც საგოლე პასი მიითვალა.

შტეფანი ამბობს, იმ საღამოს ყველაზე კარგი ის იყო, რომ სტადიონზე თვით **იოახიმ ლიოვი** იმყოფებოდაო. გერმანიის ნაკრების თავკაცი შტეფანით კმაყოფილი დარჩებოდა და სერიოზულად დაფიქრდებოდა „ნაციის ახალი ბომბარდირის“ ბუნდესგუნდში დაბრუნებაზე.

### მარიო და მარადონა

ბრწყინვალე **მარიო გიოტცემ** არანაკლებ ბრწყინვალე **მარკო როისთან** ერთად ბრემენის „ვერდერი“ საშვილიშვილოდ შეარცხვინა („ვერდერი“-“დორტმუნდი“ 0:5), მაგრამ გიოტციიომ ამის პარალელურად საკუთარ იმიჯს ავნო. მან უკვე მეორედ სცადა **დიეგო მარადონას** ლეგენდარული „ღმერთის ხელის“ გამეორება და ეს ისევ არ გამოუვიდა - მსაჯმა დაინახა, რომ ხელით ითამაშა და ყვითელი ბარათი აუფრიალა. მომხდარის გამო გიოტცეს ნამეტანი კრიტიკა არ ღირს, რადგან ჯერაც ბავშვია და ალბათ მშობლებიც ურჩევენ, რომ უმჯობესია, მარადონას ან საერთოდ არ მიჰბაძოს, ანაც მხოლოდ მისი ფინტების გამეორებას ეცადოს ხოლმე.

### ნურის ექვსი წუთი

გადალმა მყოფი გვარდიოლას გარდა, ბუნდესლიგის ამ ტურის მთავარი თემა **ნური შაჰინიც** იყო, რომელიც დორტმუნდის „ბორუსიაში“ დაბრუნდა. თურქმა თქვა, ჯერ კიდევ კარგად მახსოვს, როგორ და რა მიმართულებით დარბიან ხოლმე **მარსელ შმელცერი** და **ლუკაშ პიშჩეკიო**, მაგრამ **იურგენ კლოპმა** ის მოედანზე მხოლოდ მატჩის მიწურულსღა შეუშვა. მიუხედავად ამისა, შაჰინს საყვედური, რა თქმა უნდა, არ დასცდენია და არც დასცდება, მომდევნო ათ შეხვედრაშიც შეცვლაზე რომ ათამაშონ. თუმცა კლოპი რაღაცას მოიფიქრებს და არც ის გაგვიკვირდება, ნური მალე ისევ „ბორუსიას“ ძირითადი შემადგენლობის განუყოფელი ნაწილი რომ გახდეს.

### ხუანანი

ფეხბურთში რა აღარ გვინახავს: როგორ ეჯახება ორი თანაგუნდელი ერთმანეთს მოედნის ცენტრში, როგორ გადის მეკარის თავიდან ასხლეტილი ბურთი მის კარში, როგორ ახვედრებს ცარიელ კართან დარჩენილი თავდამსხმელი ბურთს ძელს... კიდევ ბევრი უცნაური ეპიზოდის გახსენება შეიძლება. აი, ისეთი რამ, რაც კვირას „ფორტუნასა“ და „აუგსბურგის“ მატჩში მოხდა, ნაღდად არასდროს გვინახავს და ალბათ ვერც ველარასოდეს ვნახავთ: მცველის თავიდან ასხლეტილი ბურთი მეკარეს ფეხებშუა გაუძვრა და მეტოქე გუნდის თავდამსხმელ **კევინ მიოლდერსს** მიუვიდა. ის „ბედნიერი“ „ფორტუნას“ უკანახაზელი **ხუანანი** გახლდათ...

### დიეგო და დიტერი

„ვოლფსბურგში“ ყველაფერი კარგადაა - მეტიც, ყველაფერი გენიალურადაა. ამბიციურმა და მდიდარმა „ფოლკსვაგენის“ გუნდმა მეორე წრე „შტუტგარტის“ დამარცხებით (2:0) დაიწყო, საუკეთესო „მგელი“ კი **დიეგო** გახლდათ - ერთი გოლი თვითონ გაიტანა, ერთიც ექს-თავკაც **ფელიქს მაგათის** მიერ ჩამოწერილ **მადლუნგს** გაატანინა. უნდა გენახათ, რა ხდებოდა მატჩის შემდეგ: ბრაზილიელი გამთამაშებელი და „ვოლფსბურგის“ ახალი მთავარი მწვრთნელი **დიტერ ჰეკინგი** ერთმანეთს სიყვარულს უხსნიდნენ და საუკეთესო ეპითეტებით ამკობდნენ.

დიტერი გენიალური მწვრთნელიაო, ამბობდა დიეგო.

ეს თამაში დიეგომ მოგვაგებინაო, ირწმუნებოდა ჰეკინგი.

მათ ინტერვიუებს ფონად **უიტნი ჰიუსტონის** ან თუნდაც **ბიონსეს** მუსიკა მოუხდებოდა. ყვავილებით ხელდამშვენებული ბავშვებიც...

### საშას გოლები

ბუნდესლიგის მე-18 ტურში ყველაზე ულამაზო გოლები „აუგსბურგის“ თავდამსხმელმა **საშა მიოლდერსმა** გაიტანა - მან ორჯერ დალაშქრა „ფორტუნას“ კარი და „აუგსბურგს“ დიუსელდორფიდან სამი ქულა წაალებინა. და რაკი გოლი, ლამაზიც და მახინჯიც, გოლია, „აუგსბურგი“ „ფორტუნას“ სამი ქულით მოშორდა და „ჰოფენჰაიმს“ მიუახლოვდა.

### შააფის ექსპერიმენტი

„ვერდერის“ მწვრთნელმა **თომას შააფმა** დორტმუნდის „ბორუსიასთან“ მატჩისთვის სპეციალური ტაქტიკური და სტრატეგიული გეგმა შეიმუშავა. ამ გეგმას ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა „შააფის ესპანური ექსპერიმენტი“ უწოდეს, რომელიც 0:5 ჩაფლავდა. ამრიგად, „ვერდერმა“ 1987 წლის მარტის (1:7 „გლადბახთან“) შემდეგ ყველაზე დიდი ანგარიშით წააგო. რაც შეეხება უშუალოდ ექსპერიმენტის რაობას: თომასმა კლასიკურ ცენტრფორვარდზე უარი თქვა, გუნდი 4-3-3 სქემით განალაგა და ყველაზე წინ, ცენტრში, საყრდენი ნახევარმცველი **კევინ დე ბრუინი** გაამწესა.

*„მატჩი 0:5 დამთავრდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ექსპერიმენტი ჩაიშალა,“* - გამოსცრა მატჩის შემდეგ ბრემენელთა ლიდერმა **აარონ ჰანტმა**. თავად შააფმა კი თავი იმართლა, ეს მარცხი ტაქტიკის ბრალი არ ყოფილა, პირველ ტაიმში საკმაოდ კარგად ვითამაშეთო. ცნობისათვის, პირველი ტაიმი „დორტმუნდმა“ 2:0 მოიგო და ამ ლოგიკით მართლაც ისე გამოდის, რომ „ვერდერმა“ პირველ ნახევარში უფრო უკეთ ითამაშა, ვიდრე მეორეში, მაგრამ საქმე ისიცაა, რომ 57-ე წუთიდან შააფმა გუნდი ისევ ნაცად სქემაზე, 4-1-4-1-ზე გადააწყო...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



გახარებული ლევერკუზენელები და აინტრახტის დამწუხრებული მეკარე კევინ ტრაპი

**საუკეთესო ფეხბურთელები**

XVIII ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | შეფასება | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 13 | 2.12 |
| 2. კევინ ტრაპი | აინტრახტი | 18 | 2.28 |
| 3. რენე ადლერი | ჰამბურგი | 18 | 2.31 |
| 4. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 16 | 2.54 |
| 5. აარონ ჰანტი | ვერდერი | 16 | 2.59 |
| 6. სებასტიან როდე | აინტრახტი | 18 | 2.67 |
| 7. დიეგო ბენალიო | ვოლფსბურგი | 18 | 2.69 |
| 8. თომას მიულერი | ბაიერნი | 17 | 2.75 |
| 9. რაფაელ შეფერი | ნიურნბერგი | 15 | 2.77 |
| 10. ფაბიან გიფერი | ფორტუნა | 18 | 2.78 |

**გოლს პლუს პასის რეიტინგი**

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თომას მიულერი | ბაიერნი | 17 | 9 | 10 | 19 |
| 2. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 18 | 13 | 5 | 18 |
| 3. ჟაბოლჩ ჰუშტი | ჰანოვერი | 16 | 7 | 9 | 16 |
| 4. რობერტ ლევანდოვსკი | ბორუსია (დ) | 17 | 11 | 4 | 15 |
| 5. მარკო როისი | ბორუსია (დ) | 18 | 7 | 7 | 14 |
| 6. ვედად იბიშევიჩი | შტუტგარტი | 15 | 10 | 3 | 13 |
| 7. ალექსანდერ მაიერი | აინტრახტი | 18 | 12 | 1 | 13 |
| 8. ტონი კროოსი | ბაიერნი | 18 | 6 | 6 | 12 |
| 9. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 16 | 11 | 1 | 12 |
| 10. შტეფან აიგნერი | აინტრახტი | 18 | 6 | 5 | 11 |

**XVIII ტურის გმირი**

### ლუის ჰოლტბი (შალკე)



**ლუის ჰოლტბის** „შალკედან“ „ტოტენჰემში“ გადასვლა დროის ამბავია და 22 წლის ნიჭიერი ნახევარმცველი გელზენკირხენულ კლუბს იდეალურად ეთხოვება. გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების კაპიტანმა „აინტრახტთან“ გოლითა და ორი საგოლე პასით „შალკეს“ პუბლიკას ტაში დააკვრევინა და მატჩის შემდეგ „ხუმარების“ ახალ თავკაც იენს კელერს კიდევ ერთხელ ათქმევინა, ჰოლტბის წასვლა ჩვენთვის დიდი დანაკლისი იქნებაო.

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A XXI ტურის შეჯამება

# საიუვენტუსე ტური

## უკმაყოფილო მონტელა და შეშფოთებული კონტე

**XXI ტური „რომა“-“ინტერის“ შეხვედრამ დახურა და რადგან ეს მეტად საინტერესო დაპირისპირება, კვირას გვიან ღამით დასრულდა, ტურის მიმოხილვაში მასზე არაფერი გვითქვამს. ამიტომ, ჯერ სწორედ რომაულ ჯახზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა...**



ფრანჩესკო ტოტიმ ანგარიში თერთმეტმეტრიანით გახსნა

### ზემანი რომასგან მეტს ითხოვს

მომენტების აღწერას აღარ მოვყვებით და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ თამაში თანაბარი გამოდგა. ტერიტორიულ უპირატესობას რომაელები ფლობდნენ, „ინტერი“ მეტწილად კონტრშეტევებით ცდილობდა ფონს გასვლას, მომენტები კი ორივე კართან დაახლოებით თანაბარი რაოდენობით შეიქმნა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ წინასამატჩოდ **ანდრეა სტრამაჩონი** გაცილებით უფრო რთულ მდგომარეობაში იყო, ვიდრე **ზდენეკ ზემანი.** „ინტერს“ **ანტონიო კასანო** და **დიეგო მილიტო** აკლდა, რამაც მილანელებს შეტევაში სერიოზული პრობლემები შეუქმნა. შედეგად, სტრამაჩონიმ **როდრიგო პალასიოს** ახალგაზრდა **მარკო ლივაია** შეუწყვილა, რომელიც ნიჭიერი კია, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ გაფუჭებული მომენტებით გვამახსოვრებს თავს. რაც შეეხება ზემანს, მან შეტევაში ტრადიციული ტრიო გაამწესა **ფრანჩესკო ტოტის, ერიკ ლამელასა** და **პაბლო ოსვალდოს** შემადგენლობით. ძირითადში დააყენა **დანიელე დე როსი,** მაგრამ შესვენებაზე შეცვალა, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ზემანსა და დე როსის შორის ყველაფერი რიგზე ვერ არის. ანგარიში თერთმეტმეტრიანი დარტყმით ფრანჩესკო ტოტიმ გახსნა, გამათანაბრებელი კი **ფრედი გუარინის** შესანიშნავი თამაშის შედეგად, როდრიგო პალასიომ გაიტანა. ფრე სამართლიანი შედეგი გახლდათ, ამის შესახებ ორივე მწვრთნელმა განაცხადა...



ანტონიო კონტეს საკადრო პრობლემები შეექმნა

**ანდრეა სტრამაჩონი (ინტერი):** *„პირველ ნახევარ საათში „რომამ“ წნეხის ქვეშ მოგვაქცია, თუმცა შემდეგ, ვიპოვეთ ჩვენი თამაში და მეტოქის ნახევარზეც გადავედით. „ჯალოროსის“ საკუთარ მოედანზე უდიდესი პოტენციალი აქვს და ვიცოდი, რომ მძიმე ბრძოლის გადატანა მოგვიწევდა. ვფიქრობ, თამაში თანაბარი იყო და შესაბამისად, შედეგი ლოგიკური დაფიქსირდა. ერთი კია, მთელი მატჩის განმავლობაში იგრძნობოდა, რომ თავდასხმაში გვიჭირდა, რამაც ძალიან გაგვირთულა მდგომარეობა. კასანო და მილიტო რომ ყოფილიყვნენ, მოგების გაცილებით მეტი შანსი გვექნებოდა“.*

**ზდენეკ ზემანი (რომა):** *„შეგირდთა გარჯით მეტნაკლებად კმაყოფილი ვარ, აი შედეგი კი ნამდვილად არ მახარებს. საკუთარ მოედანზე ყოველთვის სამი ქულისთვის ვთამაშობთ და სხვა ყველაფერი - ჩვენთვის მიუღებელია. მეტი სიზუსტე გვმართებს დამაგვირგვინებელ ფაზაში და ამას უკვე დიდი ხანია გავიძახი. „ინტერმა“ ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ჩაატარა მიმდინარე სეზონში და მინდა მეტოქეს კომპლიმენტები ვუძღვნა. ჩვენ მეტი გვმართებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამეულში მოხვედრა აუხდენელ ოცნებად დაგვრჩება“.*

### იუვეს თავდასხმა შეუთხელდა

„იუვენტუსმა“ „უდინეზეს“ კი გადაურბინა, მაგრამ როგორც **ანტონიო კონტე** აცხადებს, ტრიუმფი მის გუნდს ძვირად დაუჯდა. იტალიის თასის ნახევარფინალური მატჩის წინ, რომელიც „ვეკია სენიორამ“ „ლაციოსთან“ უნდა გამართოს, კონტეს განკარგულებაში ერთადერთი ფორვარდია: **ალესანდრო მატრი:**

*„სებასტიან ჯოვინკო, მირკო ვუჩინიჩი და ნიკლას ბენდტნერი ტრავმირებულნი არიან, ფაბიო კვალიარელას კი დისკვალიფიკაცია აქვს. გამოდის, რომ ჩემს განკარგულებაში ერთადერთი თავდამსხმელი, ალესანდრო მატრია. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ტრავმირებულთა ზუსტი დიაგნოზი ჯერ არ ვიცი და ვერც იმას გეტყვი, როდის დაგვიბრუნდებიან. მოკლედ, „უდინეზესთან“ მატჩი ძვირად დაგვიჯდა“,* - აცხადებს „იუვეს“ თავკაცი.

### მონტელა: უნდა გამოვფხიზლდეთ!

პირველად მიმდინარე სეზონში, **ვინჩენცო მონტელამ** ღიად გამოთქვა უკმაყოფილება შეგირდთა თამაშით და განაცხადა, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება. არადა, „ფიორენტინას“ თვით „ნაპოლი“ სტუმრობდა და საყაიმო შედეგი წესით არ უნდა ყოფილიყო ფლორენციელთათვის ტრაგიკული - მონტელა წაგებული მატჩების შემდეგ იცავდა თავის ფეხბურთელებს, ამჯერად კი სხვაგვარად მოიქცა:

*„2013 წელი მართლაც საშინლად დავიწყეთ და სამწუხაროდ, ჩავარდნა ჯერ კიდევ გრძელდება. თუ ვინმეს უნდა მოეგო, ეს „ნაპოლი“ გახლდათ და გამოდის, რომ კიდევ ერთ მარცხს გადავურჩით. უნდა გამოვფიზლდეთ, თორემ სეზონის პირველ ნახევარში მოპოვებულ ქულებს და ავტორიტეტს წყალში გადავყრით. შემდეგ ტურში, სულ სხვა „ფიორენტინას“ ნახვა მსურს და ვნახოთ, როგორ გამიმართლებენ შეგირდები“.*

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 21 | 15 | 3 | 3 | 45-14 | 48 |
| 2. ნაპოლი | 21 | 13 | 4 | 4 | 41-19 | 43 |
| 3. ლაციო | 21 | 13 | 4 | 4 | 31-20 | 43 |
| 4. ინტერი | 21 | 12 | 3 | 6 | 33-23 | 39 |
| 5. ფიორენტინა | 21 | 10 | 6 | 5 | 38-25 | 36 |
| 6. მილანი | 21 | 10 | 4 | 7 | 38-28 | 34 |
| 7. რომა | 21 | 10 | 3 | 8 | 43-35 | 33 |
| 8. კატანია | 21 | 9 | 5 | 7 | 29-27 | 32 |
| 9. პარმა | 21 | 8 | 7 | 6 | 29-27 | 31 |
| 10. უდინეზე | 21 | 7 | 9 | 5 | 32-31 | 30 |
| 11. ტორინო | 21 | 6 | 9 | 6 | 25-24 | 26 |
| 12. კიევო | 21 | 7 | 4 | 10 | 22-34 | 25 |
| 13. ატალანტა | 21 | 7 | 4 | 10 | 19-31 | 23 |
| 14. ბოლონია | 21 | 6 | 3 | 12 | 26-28 | 21 |
| 15. სამპდორია | 21 | 6 | 4 | 11 | 22-29 | 21 |
| 16. კალიარი | 21 | 5 | 5 | 11 | 20-37 | 20 |
| 17. პესკარა | 21 | 6 | 2 | 13 | 17-39 | 20 |
| 18. ჯენოა | 21 | 4 | 5 | 12 | 21-33 | 17 |
| 19. პალერმო | 21 | 3 | 7 | 11 | 18-34 | 16 |
| 20. სიენა | 21 | 5 | 5 | 11 | 20-31 | 14 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

*ნაპოლის დაუბრუნდა 2 ქულა*

ბომბარდირები: 17 - კავანი (ნაპოლი); 14 – ელ შაარავი (მილანი), დი ნატალე (უდინეზე); 10 - კლოზე (ლაციო), ლამელა (რომა), ოსვალდო (რომა), პაცინი (მილანი); 8 - მილიტო (ინტერი), იოვეტიჩი (ფიორენტინა), ჯილარდინო (ბოლონია), ერნანესი (ლაციო).

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




მილანი

# სუპერტრანსფერების მოლოდინში

## კვირის ბოლომდე: ჯერ კაკა, მერე ბალოტელი!

იტალიურ სპორტულ პრესაში „მილანის“ გარშემო დიდი აურზაურია... აპენინელი ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ ლომბარდიული გრანდის მესვეურები უახლოეს დღეებში გულშემატკივრებს დიდ საჩუქარს უმზადებენ. მაგალითად, „კორიერე დელო სპორტი“ წერს, რომ „როსონერიში“ ორი ვარსკვავის გადაბარგება პრაქტიკულად გადაწყვეტილია - ერთი 22 წლის **მარიო ბალოტელი** გახლავთ, ხოლო მეორე 30 წლის **რიკარდო კაკა.**

ამ ამბავს ადასტურებს „გაძეტა დელო სპორტიც“ და დასძენს, რომ ორივე ტრანსფერი კვირის ბოლოს დადასტურდება. ბუნებრივია, აღნიშნულ საკითხზე ჟურნალისტები „მილანის“ მესვეურებსაც შეეხმიანენ და ამ შემთხვევაშიც, ყველაფერი ზემოთქმულს ადასტურებს. აი, რა განაცხადა **ადრიანო გალიანიმ:**



რიკარდო კაკა და მარიო ბალოტელი „მილანთან“ ახლოს არიან

*„ვადასტურებ, რომ კაკასთან დაკავშირებით მოლაპარაკება აქტიურ ფაზაშია გადასული. ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს, რომ რიკარდო დავიბრუნოთ და მან კვლავ მოირგოს „როსონერის“ მაისურა. ჩემი აზრით, ბრაზილიელი დღემდე ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში, უბრალოდ, მას მადრიდში სათანადოდ არ აფასებენ. ჩვენ გვახსოვს რიკი და ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ დავაბრუნოთ. რა შანსებია, რომ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდეს? - საკმაოდ დიდი, ყველაფერი სწორედ აკეთკენ მიდის. რაც შეეხება მარიო ბალოტელის, მასზე დღეს ბევრს ვერაფერს გეტყვით და უმჯობესია, ცოტა მოვიცადოთ“.*

ბალოტელის შესახებ კომენტარის გაკეთება არც **სილვიო ბერლუსკონიმ** ისურვა, სამაგიეროდ, კაკას გამოუტყდა სიყვარულში: *„რიკი ჩვენს გულებშია და იმედია, მალე დავიბრუნებთ. მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს და არა მგონია, რაიმე პრობლემა შეიქმნას. კაკა ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მოთამაშეა, რომელიც ოდესმე მინახავს და რაც მთავარია, ბრწყინვალე ადამიანია“.*

გალიანის და ბერლუსკონის სიტყვები პრაქტიკულად დადასტურებაა იმის, რომ დიდი ალბათობით, კაკა „მილანში“ გააგრძელებს კარიერას. მარიო ბალოტელის შესახებ ლომბარდიელები არაფერს ამბობენ, მაგრამ ესეც რაღაცის ნიშანია... თუ აქამდე „როსონერის“ მესვეურები კატეგორიულად გამორიცხავდნენ ახალგაზრდა ფორვარდის შესაძლო გადაბირებას, დღეს დუმილს ამჯობინებენ. „კორიერე“ ირწმუნება, რომ ბალოტელის „მილანში“ გადასვლაც პრაქტიკულად გადაწყვეტილია, ტრანსფერის ღირებულება კი 24 მილიონი ბრიტანული ფუნტი სტერლინგი იქნება. აქამდე, ‘მანჩესტერ სიტის“ მესვეურები მარიოს 31 მილიონად აფასებდნენ, თუმცა ფასი დააგდეს, რამაც როგორც ჩანს, მილანელთა გააქტიურება განაპირობა. არც 24 მილიონი ფუნტია დაბალი ფასი, მით უმეტეს, ბოლო წლებში მილანელები მუდმივად ფინანსურ კრიზისზე საუბრობენ, მაგრამ ეტყობა, ბერლუსკონიმ ჯიბეზე ხელის გაკვრა განიზრახა. მოკლედ, „მილანი“ ორ ხმაურიან ტრანსფერთან ძალიან ახლოსაა - ყოველ შემთხვევაში, იტალიური პრესა ასე იწერება.

## უცხოური ფეხბურთი

● ტოტენჰემი

# ვილაშ ბოაში არ გამორიცხავს...

„ტოტენჰემის“ 35 წლის პორტუგალიელი მთავარი მწვრთნელი **ანდრე ვილაშ ბოაში** აცხადებს, რომ მის გუნდს კიდევ ერთი თავდამსხმელი სჭირდება და თანაც რაც შეიძლება სწრაფად. მიზეზი ყველასთვის ნათელია: „დეზები“ პრაქტიკულად მთელი სეზონია, ერთი შემტევის იმედად არიან. **ემანუელ ადებაიორს** მოსამზადებელი შეკრება გუნდთან ერთად არ გაუვლია, რადგან ლონდონელები „მანჩესტერ სიტისთან“ საიჯარო ხელშეკრულებაზე ვერ თანხმდებოდნენ, მერე 28 წლის ტოგოელი დიდხანს ტრავმირებული იყო, ბოლოს კი უხეშობის გამო დისკვალიფიკაცია მიიღო, მოედანზე დაბრუნებულმა თავდამსხმელმა ფიზიკური კონდიციები ვერა და ვერ აღიდგინა. ახლა ადებაიორი აფრიკის ეროვნებათა თასზე თამაშობს. ალბათ არ გაგიკვირდებათ თუ გეტყვით, რომ მთელი სეზონის განმავლობაში ემანუელის ანგარიშზე ორი გოლია. შარშანდელისგან განსხვავებით წელს ადებაიორი ვერც საგოლე გადაცემებით გამოირჩევა. აი, რას ამბობს ვილაშ ბოაში „ტოტენჰემის“ ოფიციალურ ვებგვერდზე: *„ზუსტად იმ მდგომარეობაში ვართ, როგორც სეზონის სტარტზე, როცა ადებაიორი ტრავმის გამო ვერ გვეხმარებოდა. მაშინ იძულებული ვიყავით, რომ ჯერმეინ დეფოსთვის თავდასხმაში კლინტ დემპსი შეგვეწყვილებინა. ამ ფეხბურთელებმა ერთმანეთს იდეალურად გაუგეს, რაც მშვენივრად გამოჩნდა „ოლდ ტრეფორდზე“ მოგებულ შეხვედრაშიც. მიუხედავად იმისა, რომ შედეგი მივიღეთ, ეს ყველაფერი ძალიან რთული იყო. ამ სიტუაციაში რაღაც გამოსავალი უნდა მოვნახოთ. იანვრის სატრანსფერო ბაზარზე ფეხბურთელის შეძენა ცოტა სარისკოა, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვენი ნაბიჯები რაც შეიძლება უკეთ გავთვალოთ“.*

„ტოტენჰემის“ მთავარმა მწვრთნელმა კონკრეტული კანდიდატურების დასახელებისგან თავი შეიკავა.

**ლევან ბიბილაშვილი**




ანდრე ვილაშ ბოაში

● ამბები

### ინგლისელი სამიზნე

„სელტიკს“ ჩემპიონშიპის „ბარნსლიდან“ 23 წლის ინგლისელი თავდამსხმელის **ჩარლი ოსტინის** შეძენა სურს. ფეხბურთელი მიმდინარე სეზონში შთამბეჭდავად გამოიყურება. ჩემპიონატის 24 შეხვედრაში მის ანგარიშზე 19 გოლი და 3 საგოლე გადაცემაა. „კელტების“ მთავარი მწვრთნელის **ნილ ლენონის** თამაშემწემ, შვედმა **იოჰან მიალბიუმ** ინფორმაცია დაადასტურა, თუმცა იქვე დაამატა, რომ ტრანსფერზე კლუბი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყებს მუშაობას, თუკი „სელტიკს“ **გარი ჰუპერთან** მოუწევს გამოთხოვება. უკანასკნელს ინგლისის პრემიერლიგიდან რამდენიმე კლუბი ეპატიჟება. ყველაზე მეტად მათ შორის „ნორვიჩი“ აქტიურობს. იანვარში თუ არა, ოსტინის გაყიდვა „ბარნსლის“ სეზონის დასრულების შემდეგ მაინც მოუწევს, რადგან პერსპექტიულ თავდამსხმელს კონტრაქტის ვადა 2014-ის ზაფხულზე ეწურება, მის გაგრძელებაზე კი ის აქედანვე ცივ უარს ამბობს. ჩარლი 5 მილიონ ფუნტად არის შეფასებული. *„ოსტინი ჩვენს სიაში ფიგურირებს, მაგრამ ის იქ ერთადერთი თავდამსხმელი არ არის. ჩვენი უმთავრესი მიზანი ამ ეტაპზე ჰუპერის შენარჩუნებაა,“* – აცხადებს მიალბიუ.

### ახალი კანდიდატურა აბრამოვიჩისთვის

**პეპ გვარდიოლას** მიერ მიუნხენის „ბაიერნთან“ 3-წლიანი კონტრაქტის გაფორმებამ ყველაზე მეტად თავგზა ინგლისურ გრანდებს აურია. „ჩელსიშიც“ და „მანჩესტერ სიტიშიც“ იმედი ჰქონდათ, რომ 42 წლის ესპანელ სპეციალისტს დაითანხმებდნენ, მაგრამ... როგორც ჩანს, **რომან აბრამოვიჩმა** უკვე გააკეთა არჩევანი, თუ ვინ ესახება „ჩელსის“ მომავალ მთავარ მწვრთნელად. ინგლისური პრესის მტკიცებით, რუსი მილიარდერის რჩეული **დევიდ მოიესია.** 49 წლის შოტლანდიელი 2002 წლიდან „ევერტონში“ მუშაობს და შეზღუდული ფინანსური თუ საკადრო რესურსის პირობებში მაინც ახერხებს სოლიდური ამოცანების გადაჭრას. ჩემპიონობისთვის რბოლაში მონაწილეობას მას არავინ სთხოვს, ევროპული ტურნირებისთვის კი ის რეგულარულად იბრძვის. მოიესის კონტრაქტს ლივერპულურ კლუბთან ვადა სეზონის დასრულებისთანავე გასდის, მაგრამ მისტერ დევიდი ახალ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას არ ჩქარობს. ის კლუბის გადაწყვეტილებას ელოდება **ლეიტონ ბეინსსა** და **მარუან ფელაინისთან** დაკავშირებით. თუკი ხელმძღვანელობა ლიდერებს გაასხვისებს, ის „გუდისონ პარკიდან“ წავა. ალბათ ბედის ირონიაა, რომ ფელაინის გადაბირებით ყველაზე მეტად „ჩელსია“ დაინტერესებული. ასე რომ, მომავალი სეზონისთვის ფელაინიცა და მოიესიც შესაძლოა „სტემფორდ ბრიჯის“ გზას დაადგნენ.

**ლევან ბიბილაშვილი**

## ქართული სპორტი

● ჩოგბურთი.




სოფიო ქვაცაბაია

# მეორე ადგილს დასჯერდა

თურქულ ანტალიაში გუშინ დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირი, რომლის ფინალში გააღწია **სოფიო ქვაცაბაიამ.** გადამწყვეტ პაექრობაში იგი უნგრელ რეკა-ლუკა იანის დაუპირისპირდა. შეჯიბრება კვირას უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ წვიმამ ორგანიზატორებს გრაფიკი შეაცვლევინა და ქვაცაბაიასაც ხელი შეუშალა, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასულიყო: საქმე ის არის, რომ გადადებული მატჩის გამო ქართველი ჩოგბურთელი კვირას ორჯერ გავიდა კორტზე: ჯერ ბელგიელ ელინ ბოიკენსს სძლია - 7:5, 7:6, ნახევარფინალში კი ტურნირის რეიტინგფავორიტ ალექსანდრა დულგნერუ (რუმინეთი) ჩამოიშორა გზიდან - 6:4, 6:2. გადამწყვეტი პაექრობისთვის ძალების აღდგენა ვერ მოასწრო და დასვენებულ იანისთან გუშინდელი მატჩი ორ სეტში დათმო - 0:6, 1:6.

ქვაცაბაიას 28 იანვრიდან ეილათის 75.000-იან ტურნირში უნდა ეასპარეზა, მაგრამ დროის სიმცირის გამო ვიზის გაფორმებას ვერ ასწრებს, ამიტომ საქართველოს ნაკრების წევრებთან ერთად გაემგზავრება ისრაელს, სადაც 6-9 თებერვალს ფედერაციის თასზე ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში ითამაშებს.

**ვაჟა დანელია**

● ტყვიის სროლა

# დააფინანსეს და წავიდნენ

ქართველ ტყვიის მსროლელებს გუშინ საჭირო თანხა გამოუყვეს და ამ დილით გამთენიისას ისინიც მიუნხენში გაფრინდნენ, სადაც 24-26 იანვარს ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ. მწვრთნელ **ვახტანგ სალუქვაძის** ხელმძღვანელობით იქ უფროსთაგან **ნინო სალუქვაძე** და **ლევან ქადაგიძე** გაემგზავრნენ, ახალგაზრდებიდან კი ოთხი მსროლელი წაიყვანეს - **ვლადისლავ მაიოროვი, ლიზი კილაძე, მარიამ ბლუაშვილი** და **მარიამ მაღრაძე.** ისინი მიუნხენში დღესვე ჩაფრინდებიან, ხვალ ოფიციალური ვარჯიშია, ასპარეზობა კი ზეგ იწყება. პირველ დღეს სალუქვაძე და ოთხივე ახალგაზრდა მსროლელი ისვრის. უმცროსთა კვარტეტი მეორე დღესაც იასპარეზებს, ოღონდ მაშინ მათ უფროსებიდან მხარს ქადაგიძე დაუმშვენებს, 26-ში კი სალუქვაძე და ქადაგიძე ერთად დადგებიან ცეცხლის ხაზზე.

ამ შეჯიბრებით ჩვენები 25 თებერვლიდან 3 მარტამდე დანიურ ოდენსეში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის იწყებენ მზადებას, სადაც აღნიშნული ექვსეულიდან მხოლოდ ბლუაშვილი და მაღრაძე არ გამოვლენ. ევროპის პირველობისთვის მოსამზადებლად გუნდი მიუნხენიდან დაბრუნების შემდეგ ერთ შეკრებასაც გამართავს - 7 თებერვალს ერევანში გაემგზავრებიან. იქ ვახტანგ სალუქვაძის განკარგულებაში კვლავაც ეს ექვსეული იქნება.

**ირაკლი თავაძე**

აწმყო შობილი წარსულისაგან...

# ეილათის საჯილდაო ქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სოფიო შაფათავა

**დაიბადა** 1989 წლის 12 იანვარს თბილისში. ჩოგბურთს თამაშობს 1999 წლიდან. ვარჯიში დაიწყო **ადა პოლოსოვასთან** „განთიადის“ კორტებზე. შემდეგ **ალექსანდრე ყარანგოზიშვილთან** და **ვიქტორ ბაკშისთან** მეცადინეობდა. ბოლო 11 წელიწადია, **მარინე მალაციძესთან** და **მაია სხიერელთან** იმაღლებს ოსტატობას.

**შედეგები.** საქართველოს ორ-ორგზის ჩემპიონი ერთეულებსა და წყვილებში, 14-წლიანებში ევროპის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი, 2008 წლის მოსკოვის 50.000-იანი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული წყვილებში (ქსენია პალკინასთან ერთად) და ერთეულთა თანრიგის ფინალისტი. სულ, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ერთეულთა თანრიგის ფინალში 11-ჯერ ითამაშა, 13-ჯერ წყვილებში გაიმარჯვა. რეიტინგში ამჟამად 285-ეა, საუკეთესო შედეგი კი 230-ე ადგილია.

**უყვარს** კალათბურთი და ფეხბურთი. გულშემატკივრობს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს და მადრიდის „რეალს“.

**გატაცებულია** კლასიკური მუსიკით, დამთავრებული აქვს მუსიკალური ათწლედი.

**ჰობი.** წიგნების კითხვა. საყვარელი მწერლები - შექსპირი და რემარკი.

**კერპი.** როჯერ ფედერერი, კიმ კლაისტერსი.

**მიზანი.** მსოფლიოს რეიტინგის 50 საუკეთესოში მოხვედრა.



სოფიო შაფათავა

გუშინ **სოფიო შაფათავას**, რომელიც ეილათში ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასზე საქართველოს ნაკრებში პირველ ნომრად იქნება, „ოლიმპიკის“ კორტებზე მორიგი ვარჯიშის შემდეგ ვესაუბრეთ.

- შარშანდელი სეზონისთვის ცუდი მოსამზადებელი პერიოდი მქონდა - ელემენტარული პირობებიც არ იყო, ორი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთი კვირა ვივარჯიშე, ამიტომაც ამერიკაში 25.000-იანი ტურნირების სერიაში სუსტად ვიასპარეზე: 9 შეჯიბრების ყველა ერთეულთა თანრიგს სტარტზევე გამოვეთიშე, მხოლოდ ეკატერინე გორგოძესთან ერთად წყვილებში ერთი 25-ათასიანი ტურნირი მოვიგე კალიფორნიაში. სწორედ იმ პერიოდში შეიქმნა სახელოვანი ჩოგბურთელის - ალექსანდრე მეტრეველის სახელობის ჩოგბურთის ალორძინების ფონდი, რომელიც დღემდე მაფინანსებს. ამ ფონდის დამსახურებაა, რომ ჩოგბურთს შემოვრჩი.

**- რატომ, თავის დანებებას აპირებდი?**

- როგორც გითხარით, სეზონი ცუდად დავიწყე, თანაც შეჯიბრებებზე საკუთარი სახსრებით მივდიოდი, სავარჯიშო თანხა აღარ მრჩებოდა, მოუმზადებლად თამაშს კი აზრი არ ჰქონდა, რაც ამერიკის ტურნემაც დაადასტურა. აპრილიდან მეტრეველის ფონდი წამომეშველა: სრულად მიფინანსებენ სამწვრთნელო პროცესს და შეჯიბრებებზე გასამგზავრებლადაც მეხმარებიან.

**- ამერიკის ტურნირების შემდეგ რა შეიცვალა?**

- ბოლო ორ შეჯიბრებაზე ჩემმა მწვრთნელმა მარინე მალაციძემ ჩამომისწრო. რადგანაც ორჯერვე პირველივე შეხვედრები წავაგე, ის 14 დღე აქტიური წვრთნისთვის გამოვიყენეთ. ამიტომაც კაიროში ფედერაციის თასზე კარგად ვითამაშე. საერთოდაც, გუნდმა შესანიშნავი შედეგი აჩვენა: ჯგუფში დავამარცხეთ ლატვია (2:1), თურქეთი (3:0), ნორვეგია (3:0), ხოლო პლეი ოფში ჩერნოგორია ჩამოვიშორეთ გზიდან (3:0) და ევროაფრიკული მეორე ზონიდან პირველში გადავინაცვლეთ. პირადად ოთხი შეხვედრა გავმართე და ყველა პაექრობაში გავიმარჯვე. არც საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირების სერიაში მიასპარეზია ცუდად - ორი შეჯიბრების მეოთხედფინალში გავაღწიე. განსაკუთრებით ასტანის 100.000-იანი ტურნირი დამამახსოვრდა, სადაც ზედიზედ შვიდი ორთაბრძოლა მოვიგე: სამი - საკვალიფიკაციოში და ოთხი - ძირითად ბადეში. ნახევარფინალი რუს მარტა სიროტკინასთნა წავაგე. თელავში 50.000-იანი ტურნირის მეოთხედფინალი დავთმე სერბ ალექსანდრა კრუნიჩთან. მანამდე მასთან ერთი მოგება მქონდა. ალბათ, აქაც შეიძლებოდა წარმატების მიღწევა, მაგრამ წინა დღეს სამსეტიანი მატჩი შვეიცარიელ კონი პერინთან თითქმის 4 საათს გაგრძელდა და გვიან დამთავრდა. მეორე დღისთვის ძალების აღდგენა ვერ მოვასწარი.

**- შარშან ოქტომბრის ინდოეთის ტურნირის შემდეგ არსად გითამაშია...**

- დიახ, სერიოზული ტრავმა მქონდა. თვენახევარი ვიმკურნალე ისე, რომ ამ ხნის განმავლობაში არც მივარჯიშია. 20 დეკემბერს განვაახლე წვრთნა „ოლიმპიკის“ დახურულ კორტებზე მალაციძისა და სხიერელის ხელმძღვანელობით. თავიდან ოქსანა კალაშნიკოვასთან, შოთა მეფარიძესა და გიორგი ჯავახიშვილთან ერთად ვმეცადინეობდი. ახლა, რადგანაც ფედერაციის თასზე სათამაშოდ ვემზადებით, კორტი მთლიანად ქალთა ნაკრებს დაეთმო. ნაყოფიერად ვვარჯიშობ, თუმცა ჩვეული სპორტული ფორმიდან ჯერ ისევ შორს ვარ.

**- როგორც ვიცი, ეილათში ფედერაციის თასამდე 75.000-ათასიანი ტურნირი გაიმართება.**

- დიახ. მე და ჩახნაშვილი უნდა წავსულიყავით, მაგრამ მაკა საფრანგეთის ტურნირისას მოიწამლა და თავს სუსტად გრძნობს, შესაძლოა, ფედერაციის თასამდე ისრაელში წამოსვლაზე თავი შეიკავოს. მე კი ეილათის ტურნირში საკვალიფიკაციო ბადიდან ჩავებმები, რადგან ძლიერი შემადგენლობა იყრის თავს. როგორც ვთქვი, სამი თვეა, არ მიასპარეზია და სათამაშო პრაქტიკა მაკლია. ამიტომ, რაც მეტ წრეს გავივლი, მით უკეთესი. ფორმის აღდგენაში დამეხმარება.

**- ფედერაციის თასის გათამაშებაზე რას იტყვი?**

- ჩვენი ნაკრების მთავარი მიზანი ამჯერად პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. ანა ტატიშვილი რომ იყოს გუნდში, მიზნის მიღწევა უფრო გაგვიადვილდებოდა. ნილისყრამ ძლიერი მეტოქეები გვარგუნა. ჯგუფიდან პლეი ოფში გასასვლელად ჩვენთან ერთად იბრძოლებენ ბელარუსი, ხორვატია და ავსტრია. სლავებს, ცხადია, აზარენკა არ ეყოლებათ, მაგრამ პირველ ნომრად ოლგა გოვორცოვა ითამაშებს, რომელიც ამჟამად რეიტინგში 58-ეა. ხორვატებს პეტრა მარტიჩი უწინამძღოლებს, ის კლასიფიკაციაში 62-ეა, ავსტრიის ნაკრების პირველი ნომერია ივონ მეისბურგერი. ის კი 135-ეა. ამ გვარების ჩამოთვლითაც კარგად ჩანს, ეილათში ვისთან გვექნება საქმე. ყოველივეს მიუხედავად, ცხადია, ფარ-ხმლის დაყრას არ ვაპირებთ - მიზნის მისაღწევად არაფერს დავიშურებთ.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

## 51 ქვეყანა, 55 დიდოსტატი

გიბრალტარში დღეს დაიწყება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი, რომლის მთავარ ტურნირში 51 ქვეყნის 246 წარმომადგენელი, მათ შორის - 55 დიდოსტატი, იასპარეზებს. შეჯიბრების გამარჯვებული 20.000 ევროთი დაჯილდოვდება, მეორე-მეხუთე ადგილებზე გასულნი, შესაბამისად, თოთხმეტ, თორმეტ, ათ და ექვს ათას ევროს დაიმსახურებენ (სულ 12 პრიზი გაიცემა). ქალებში უძლიერესი 12.000 ევროს მიიღებს, მეორე ადგილზე გასული - ოთხი ათასით ნაკლებს, მე-3 პრიზიორს 5.000 ერგება (აქ 10 საუკეთესოზე გაიცემა პრიზები). ტურნირზე შვეიცარიული სისტემით 10 ტური გათამაშდება.

გიბრალტარში საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ 2700-იანთა კლუბის წევრები: ვლადიმირ კრამნიკი (უკრაინა, 2758), გატა კამსკი (აშშ, 2740), მაიკლ ადამსი (ინგლისი, 2725), რადოსლავ ვოიტაშეკი (პოლონეთი, 2723), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2711), დავიდ ნავარა (ჩეხეთი, 2710), ალექსეი შიროვი (ლატვია, 2708), ლე ქუანგ ლიემი (ვიეტნამი, 2705).

ფესტივალში საქართველოდან ორი მოჭადრაკე ჩაებმება. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული **ნანა ძაგნიძე** (2555) და **სალომე მელია** (2403) დაიცავენ. ისინი ვაჟებთან ერთად ქალთა მსოფლიო რეიტინგის პირველი ათეულის წევრებს - ანა მუზიჩუკს (სლოვენია, 2582), ჟაო სიუს (ჩინეთი, 2554), მარი სებაგს (საფრანგეთი, 2530), ორგზის ევროპის ჩემპიონ პია კრამლინგს (შვედეთი, 2518), ასევე, მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონს, შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტ ანტოანეტა სტეფანოვას (ბულგარეთი, 2516), ჰარიკა დრონავალის (ინდოეთი, 2514), ევროპის ჩემპიონებს - ვიქტორია ჩმილიტეს (ლიტვა, 2515), ვალენტინა გუნინას (რუსეთი, 2490) და სხვებს დაუპირისპირდებიან. ასე რომ, ბრძენთა თამაშის მოყვარულთ საინტერესო პაექრობები ელით.

**ვაჟა დანელია**

სუმო. ჰაცუ ბაშო. 13-27 იანვარი



## ქართველთა 6–3 და 3–6

ტოკიოს სახელგანთქმულ დარბაზ „რიოგოკუ კოკუგიკანში“ ახალი წლის ბაშოს მე-9 დღის ორთაბრძოლები გაიმართა. დღე წარმატებული გამოდგა ქართველთათვის, ორივე ჩვენებურმა მოიგო - ახლა **ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი)** 6-3 ბალანსი აქვს, ხოლო **თეიმურაზ ჯუღელს (გაგამარუ)** - 3-6.

ტოჩინოშინის მეტოქე **კიტატაიკი** (სქელი ხე) იყო, ქართველმა მისთვის სასურველი პოზიცია მიიღო და მაყურებელთა დარბაზში მოისროლა მეტოქე. გაგამარუმ **ტაკეკაძე** დოჰიოს რკალიდან ერთი ამოსუნთქვით გააგდო.

მე-10 დღეს ტოჩინოშინის მეტოქე ვეტერანი **ვაკანოსატოა** (ურთიერთშეხვედრებში ქართველი 4:2-ს იგებს), ხოლო გაგამარუ **ტოიონოშიმას** შეხვდება, რომელსაც 4-ჯერ შეხვდა და 4-ჯერვე წააგო.

ახალი წლის ბაშოს კვლავ დიდი ჩემპიონი **ჰარუმაფუჯი** ლიდერობს - მონღოლმა 9 შეხვედრა მოიგო.

**IX დღე**

**(მნიშვნელოვანი ბრძოლები):** ჰაკუჰო-ბარუტო (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-გოეიდო (ჰატაკიკომი), კისენოსატო-ტოიონოშიმა (იორიკირი), კაკურიუ-კოტოოშუ (იორიკირი), კოტომოგიკუ-კაისეი (ცუკიოტოში), ტოჩიოძანი-ამინიშიკი (ჰიკიოტოში), მიოგირიუ-შოჰოზანი (ცუკიოტოში), კიოკუტენჰო-იკიოი (უვატენაგე), **გაგამარუ**-ტაკეკაძე (ოშიდაში), **ტოჩინოშინი**-კიტატაიკი (იორიტაოში).

**სატურნირო მდგომარეობა**

**9-0:** ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა).
**8-1:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), ტაკარაფუჯი (მაეგაშირა 14)... **6-3:** ტოჩინოშინი (მ 6)... **3-6:** გაგამარუ (მ 4).

**IX დღე**

**(მნიშვნელოვანი წყვილები):** ჰარუმაფუჯი-ბარუტო, ჰაკუჰო-გოეიდო, კაკურიუ-კაისეი, კოტოოშუ-კიოკუტენჰო, კისენოსატო-კოტოშოგიკუ, შოჰოზანი-ამინიშიკი, ტოჩიოძანი-მიოგირიუ, **გაგამარუ**-ტოიონოშიმა, ტოიოჰიბიკი-ტაკეკაძე, **ტოჩინოშინი**-ვაკანოსატო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

თარიღები და მოვლენები

## 22 - 23 იანვარი

**22. 1973 წ.** დაიბადა **მუხრან ვახტანგაძე** - ბ/რ ჭიდაობა.

**22. 1976 წ.** დაიბადა **დავით ჩალაძე** - ფეხბურთი.

**23. 1958 წ.** დაიბადა **ზაურ სვანაძე** - ფეხბურთი.

**23. 1962 წ.** დაიბადა **გურამ გედეხაური** - ბ/რ ჭიდაობა.

**23. 1968 წ.** დაიბადა **გიორგი ხიდეშელი** - ფეხბურთი.

**23. 1972 წ.** დაიბადა **ბადრი ჯანიაშვილი** - სამბო.

**23. 1990 წ.** დაიბადა **ელენე გედევანიშვილი** - ფიგურული ციგურაობა.

**23. 2004 წ.** დსთ-ს ჩემპიონთა თასზე ფეხბურთში თბილისის „დინამომ“ „შერიფს“ (მოლდოვა) 2:1 მოუგო და ფინალში გავიდა.

**23. 2009 წ.** ფეხბურთში ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად **კახა ცხადაძე** დაინიშნა.

**23. 2010 წ.** ფიგურულ ციგურაობაში ტალინში ევროპის ჩემპიონატზე **ელენე გედევანიშვილმა** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**22. 2011.** ჭადრაკში საქართველოს ჩემპიონი **მაია ლომინეიშვილი** გახდა.

**23. 2011. კალათბურთში** მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალი თსუ-მ მოიგო.

**22. 2011.** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად **ზვიად სიჭინავა** აირჩიეს.

თავისუფალი ჭიდაობა. მეტოქე

# ისევ ერთმანეთის პირისპირ!

## მინდორაშვილი VS აბდუსალამოვი: უკვე მწვრთნელის რანგში

**ერთი თვეც არაა, რაც საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად რევაზ მინდორაშვილი დაინიშნა, ამ დღეებში კი ანალოგიური ცნობა გავრცელდა მისი ერთ-ერთი დასამახსოვრებელი მეტოქის, ტაჯიკი იუსუპ აბდუსალამოვის შესახებ, რომელიც პოლონეთის ნაკრებში მიიწვიეს. შეგახსენებთ, რომ მინდორაშვილმა ის პეკინის ოლიმპიადის ფინალში დაამარცხა. თუმცა მოგებასაც გააჩნია - ჩვენებურმა მეტოქე ისე მოღალა, დარბაზიდან პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს.**

პოლონეთის ნაკრებში აბდუსალამოვმა ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტ **ლუკა კურტანიძის** ერთ-ერთი სტრატეგიული მეტოქე, ევროპის ორგზის ჩემპიონი და მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი **მარეკ გარმულევიჩი** შეცვალა. პოლონელებს ბოლო წლებში მის ხელში შედეგები არ ჰქონდათ, თუმცა გათავისუფლებისგან აქამდე თუ კიდევ იკავებდნენ თავს, ოლიმპიადაზე წარუმატებელმა გამოსვლამ მოთმინების ფიალა პირთამდე აუვსოთ.

ოლიმპიადისა და მსოფლიოს ვიცეჩემპიონი, აზიური პირველობის გამარჯვებული აბდუსალამოვი ტაჯიკეთის სახელით კი გამოდის, მაგრამ სინამდვილეში, დაღესტნელია, ეროვნებით ავარელი. პოლონელებისთვის ის ნაცნობი კადრია - გარმულევიჩი ხშირად იწვევდა სპარინგებზე, საპასუხოდ კი აბდუსალამოვი მათ ნაკრებს დაღესტანში მასპინძლებთან ერთობლივი შეკრების გავლას უგვარებდა.

### პოლონური გაკვეთილი ქართველებისთვის

ავარელის პოლონეთში დანიშვნას სხვა დროს ყურადღებას არც მივაქცევდით, რომ არა მთავარი მწვრთნელის შერჩევის პროცედურა, რაც, ვფიქრობ, მაგალითად და გაკვეთილად შეიძლება გამოგვადგეს.

როგორც დაღესტნურ სპორტულ საიტზე გამოქვეყნებული აბდუსალამოვის ინტერვიუდან შევიტყვეთ, მწვრთნელის შესარჩევად თურმე კონკურსი გამოცხადდა, კანდიდატურები კი საგანგებოდ შერჩეულმა კომისიამ გაცხრილა. ძალზე საინტერესოა ამ კომისიის შემადგენლობა - მასში თურმე ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად პოლონეთის სპორტის სამინისტროს წარმომადგენელიც შედიოდა! კიდევ ერთი სერიოზული, ქართული რეალობისთვის ფრიად საინტერესო დეტალი - კონკურსში მონაწილე უცხოელი მწვრთნელისთვის სავალდებულო ყოფილა პოლონური ენის ცოდნა! თავდაპირველად კომისიაში 6 განაცხადი შესულა (მათ შორის - თავად გარმულევიჩისაც). აქედან აბდუსალამოვის გარდა კიდევ ორი უცხოელი ყოფილა - ბულგარელი და გერმანელი, მაგრამ ისინი კონკურსს პირველივე ტურიდან გამოთიშვიან სწორედ პოლონური ენის არცოდნის გამო! დარჩენილებიდან გარმულევიჩს მეორე ტურში მოუხსნია კანდიდატურა აბდუსალამოვის სასარგებლოდ, იმ სამ პრეტენდენტს შორის კი კომისიას იოლად გაუკეთებია არჩევანი ავარელზე.

ამ დროს რა მოხდა საქართველოში, როგორ გადაირჩიეს მწვრთნელები, კარგად მოგეხსენებათ. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ცვლილებები არ უნდა განხორციელებულიყო - პირადადაც ბევრჯერ დამიწერია, რომ ჩვენ ჩამოვრჩით მთელ რიგ საწვრთნელ ასპექტებში; რომ ჭიდაობაც ვითარდება და სიახლეებია საჭირო, თუმცა ამ ფორმით შეცვლას ვერაფრით მოვიწონებთ. ასევე არ ვაყენებთ საკითხს იმგვარად, რომ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციასთან ვინმეს მართლაც ჭიდაობა და ხელების გადაგრეხვა უნდა დაეწყო ამ ცვლილებების წინააღმდეგ; უნდა მისცემოდა თუ არა მას საკადრო რეფორმების განხორციელების საშუალება - ეს ფედერაციის პრეროგატივაა, მაგრამ აქ ლაპარაკია ამ ცვლილებების განხორციელების თანამედროვე, დასავლურ, ცივილურ მეთოდზე, რაც ყველა კითხვას გამორიცხავდა და რისი მაგალითიც პოლონეთში ვიხილეთ... ყურადღება იმასაც მიაქციეთ, რომ იქ სახელმწიფო სამინისტროს მეშვეობით რაღაც ფორმით ჩაერია ფედერაციის მუშაობაში, რასაც ჩვენთან კატეგორიულად გამორიცხავენ... რატომ, განა პოლონეთზე დემოკრატიული სახელმწიფო გვაქვს? იქ თუა ეს შესაძლებელი, ჩვენთან რატომ გაურბიან ზედამხედველობას? მართალია, აღნიშნულ ინტერვიუში აბდუსალამოვი არ აკონკრეტებს სამინისტროს წარმომადგენლის კონკრეტულ ფუნქციებს კომისიაში, მაგრამ, ვფიქრობთ, მისი როლი კანონიერების, დემოკრატიული პრინციპების დაცვაზე მეთვალყურეობა იქნებოდა და არა დიქტატი - წინააღმდეგ შემთხვევაში მას სასამართლოს ძალით ან სხვა გზით გაიწვევდნენ კომისიიდან და უფლებების გადამეტებისთვის პასუხსაც მოსთხოვდნენ. ამის თქმის საფუძველს თავად დასავლური მიდგომები გვაძლევს, რომელიც სახელმწიფოსგან სწორედ ამგვარ კონტროლს ითვალისწინებს და არა უშუალო ჩარევა-მითითებებს... ვფიქრობთ, სახელმწიფო რეგულირება აუცილებელია და ყველა ნორმალურ ქვეყანაში ასეც ხდება. ალბათ, არც ჩვენთან იქნება ურიგო, სამინისტრო ფედერაციების დებულებებს თუ გადახედავს და მათ დემოკრატიასთან შესაბამისობაში მოყვანას მოითხოვს. ამის აუცილებლობა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დავინახეთ, როცა ძიუდოს ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა ერთპიროვნულად მოხსნა უკლებლივ ყველა მწვრთნელი და ფარად დებულება მოიშველია, ამის უფლებას მაძლევსო. მოჭიდავეთა მაგალითზე უკვე მეორედ ვიხილეთ მსგავსი პრეცედენტი და ალმასკომის იგნორირება. საინტერესოა, რომ ორივე პრეზიდენტმა განაცხადა, ალმასკომმა წინააღმდეგობა რომც გამიწიოს, ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას მივიღებ და ჩემსას მაინც გავიტანო... ეს ძალიან ცუდი პრეცედენტია, რომელიც, ეტყობა, მომავალში კიდევ იჩენს თავს. არადა, ამას დემოკრატიასთან არაფერი აქვს საერთო, ხოლო პროცესები რაც უფრო მეტად მოექცევა დასავლურ ჩარჩოებში, მით ნაკლები კითხვა და პრეტენზია გაჩნდება საზოგადოებაში.

ვფიქრობ, ჩვენთვის ისიც საყურადღებოა, რომ მწვრთნელობის უცხოელ კანდიდატებს პოლონური ენის ცოდნას სთხოვდნენ. ჩვენთან ქართულის სწავლა მოვთხოვოთ კი არა, საქართველოში ჩამოსვლას არ ვაძალებთ. თან - ეს იმ დროს, როცა ის ცხვირაბზუებული მწვრთნელები იმაზე ბევრად მეტს ილებდნენ ჩვენთან, ვიდრე ამის შანსი საკუთარ სამშობლოში ექნებოდათ.

### მინდორაშვილიდან გარმულევიჩამდე

პოლონურ მაგალითში კიდევ ერთი საინტერესო დეტალია: მართალია, აბდუსალამოვთან კონტრაქტი 11 იანვარს დადეს, მაგრამ გარმულევიჩი ჯერ არ მოუხსნიათ და ის კვლავაც აგრძელებს ნაკრებთან მუშაობას. მეტიც - ევროპის ჩემპიონატამდე დააცლიან, რათა უკეთ მოამზადოს გუნდი, აბდუსალამოვი კი მხოლოდ ამის შემდეგ გადაიბარებს სადავეებს. ესეც მართებული მიდგომაა - თბილისში 19-24 მარტს გასამართ კონტინენტის პირველობამდე ბევრიც არაფერი დარჩა, ახალმა მწვრთნელმა ძირეული ცვლილებები რომ განახორციელოს. ამ ფონზე ძალზე ცუდ დღეშია მინდორაშვილი - როგორც მასთან ინტერვიუსას დავრწმუნდი, ის სერიოზულად ნერვიულობს ევროპის პირველობის გამო. ისიც საინტერესოა, რომ პოლონელებმა აბდუსალამოვს კონტრაქტი ოლიმპიადის დამთავრებამდე დაუდეს, მინდორაშვილს კი ერთწლიანი ხელშეკრულება გაუფორმეს - ესეც დამატებითი ფსიქოლოგიური ტვირთია მისთვის, რადგან ერთი წელიწადი გუნდის ასაშენებლად ძალზე მცირე დროა...

**ირაკლი თავაძე**



## კალათბურთი

### ლეგიონის კვირა



მანუჩარი ვენეციაში

# ევროცხრიანები

გუშინ სამმა ჩვენიანმა ითამაშა, **ვიქტორ სანიკიძემ, გიორგი შერმადინმა** და **ზაზა ფაჩულიამ**. ყველაზე ადრე „ოლიმპიაკოსის" მატჩი დაიწყო - „პეტრასთან" გასვლითი შეხვედრის განაცხადში მე-9 ნომერი ვერ აღმოვაჩინეთ. კიდევ ერთხელ გადავამოწმეთ, როგორ იწერება შერმადინის გვარი ელინთა ენაზე. მაგრამ მაინც არ აღმოჩნდა.

ბერძნულ საიტებზე მისი უთამაშებლობის მიზეზით დავინტერესდით და აღმოჩნდა, რომ იგი საქართველოში გამომგზავრებულა. აი, რა წერია gazeta.gr-ზე:

*„ოლიმპიაკოსი" პატრაში სათამაშოდ გიორგი შერმადინის გარეშე ჩავა. როცა მასთან კონტრაქტს ეწერებოდა ხელი, მაშინვე ცნობილი იყო, რომ ერთი-ორი დღით შერმადინს სამშობლოში დაბრუნება მოუწევდა, რათა სავიზო საკითხები მოეწესრიგებინა".*

გიორგი საქართველოდან საბერძნეთში დღეს დილას გაფრინდა და „ოლიმპიაკოსთან" ერთად მეტად საპასუხისმგებლო მატჩისთვის მზადებას შეუდგა - პირეოსელები 24 იანვარს შერმადინის ყოფილ გუნდ „მაქაბის" თელ-ავივში დაუპირისპირდებიან.

იმასაც შეგახსენებთ, რომ გასულ პარასკევს „ოლიმპიაკოსმა" ვიქტორ სანიკიძის „მონტეპასკისთან" შინ მოულოდნელი მარცხი იწვნია. ამ შეხვედრის შესახებ გიორგის ინტერვიუში წაიკითხავთ, აქ კი ერთ დეტალზე გავამახვილებთ ყურადღებას: განვლილ კვირაში ევროტურნირებზე სამმა ქართველმა ითამაშა (**ცინცაძემ**, სანიკიძემ და შერმადინმა). სამივემ 9-9 ქულა მიითვალა და დამთხვევათა ჯაჭვის უწყვეტობისთვის კარგი იქნებოდა ყველას გაემარჯვა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რადგან როგორც მოგახსენეთ, ევროლიგაზე სანიკიძის გუნდი სწორედ შერმადინის კლუბს ეთამაშებოდა...

ცინცაძის „ბუდიველნიკი" მხოლოდ ევროთასით შემოიფარგლა და უკრაინის ჩემპიონატში დაისვენა, ხოლო სანიკიძის „მონტეპასკიმ" გუშინ გვიან ღამით იტალიის ჩემპიონატში ითამაშა. შეხვედრა თბილისის დროით 23:30 საათზე დაიწყო და მისი შედეგის ხილვა ცხრილში შეგიძლიათ.

■ ■ ■

იტალიაში წარუმატებელი გამოდგა მე-16 ტური **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუსთვის". ლომბარდიელებმა თავიდან კარგად შეცურეს ვენეციაში, მაგრამ მათ „გონდოლაში" წყალი მატჩის ბოლო წუთებზე შეიპარა და „ვენეციამ" 83:79 გაიმარჯვა.

მანუჩარმა პირველი ტაიმი 2 ქულით ჩაამთავრა, მესამე პერიოდში კი 10 ბალი მიითვალა და მატჩი 12 ქულით დაასრულა. მან 8-დან 3 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 4-დან 3 საჯარიმო გამოიყენა. კანტუელთა მარცხი უმთავრესად ორი ვენეციელის ბრალია: **იაკუბუ დიავარამ** 29 ქულა ჩააგდო, **შიმონ შევჩიკმა** - 21 (11-დან 10 ორქულიანი). ეს უკანასკნელი პოლონელი წინახაზელია და მასზე ყურადღება იმიტომაც გავამახვილეთ, რომ ევრობასკეტზე საქართველოს ნაკრების პირველი მეტოქე სწორედ პოლონეთი იქნება.

იტალიის ქვედა ლიგაში (ნაციონალე 1) მესამე მატჩი ითამაშა და მესამედ მოიგო **ნიკა მეტრეველმა**. მან ამჯერად ორმაგი დუბლი ვერ შეასულა, თუმცა „ომენას" გამარჯვებაში დიდი წვლილი რომ შეიტანა, ამას ნიკას მიერ მოგროვილი 10 მოხსნაც მოწმობს. ხაზგასასმელია, რომ მეტრეველს ბურთი არ აუცილებია - 2-დან 2 ორქულიანი და 1-დან 1 სამიანი ჩააგდო.

■ ■ ■

**ბექა ბურჯანაძის** „კახასოლმა" ესპანეთის ჩემპიონატში ზედიზედ ორი გასვლითი შეხვედრა ჩაატარა და ორივე მოიგო. სევილიელებმა „უნიკახას" „მურსია" მიაყოლეს (81:73) და საპლეი-ოფო ზონას მიუახლოვდნენ. ესპანეთის ჩემპიონატის მეოთხედფინალში 8 გუნდი გადის. ტოპ-რვაეულთან „კახასოლს" ორი მოგებაღა აშორებს.

მწვრთნელმა ბურჯანაძე 3 წუთი ათამაშა. „კახასოლის" ბომბარდირი კი ჩეხი **ტომას სატორანსკი** გახდა - 16 ქულა. სხვათა შორის, ჩეხეთიც საქართველოს საევრობასკეტო მეტოქეა.

ვაჟა სიმონიშვილი

### ინტერვიუ

# ისევ ოლიმპიაკოსი-მონტ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო ასპარეზზე ქართველთა დაპირისპირება ყოველდღიური ამბავი არ არის. ამიტომ, ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს, როგორი შთაბეჭდილებებით იხსენებს „ოლიმპიაკოსი"-"მონტეპასკის" საევროლიგო მატჩს **გიორგი შერმადინი**.

აქვე გეტყვით, რომ გიორგის ეფექტური ჩატენვა ტოპ-16-ის მეოთხე ტურის საუკეთესო ათ ეპიზოდს შორის მეშვიდე ადგილზე გავიდა. პირველი პოზიცია კი „მონტეპასკის" გამთამაშებელ **ბობი ბრაუნს** ერგო, რომელმაც მატჩის ბოლო წამებზე გამარჯვების მომტანი დრიბლინგი ორქულიანით დააგვირგვინა (74:72).

- სასიამოვნოა საკუთარი მომენტის ტოპ-ათეულში ხილვა, თუმცა მეგონა უფრო დაფარებას გამოარჩევდნენ (ბენჟამინ ეზეს დაუფარა - ავტ), - აღნიშნა შერმადინმა.

**- ზოგადად, მატჩის შესახებ რისი თქმა შეიძლება?**

- დასანანი მარცხი განვიცადეთ. მაშინ, როცა ყველას გვეგონა, გავიმარჯვებდით, სიტუაცია ჩვენს საწინააღმდეგოდ შეტრიალდა... არადა, ორი ქულა ჩვენ უფრო გვჭირდებოდა. „მონტეპასკის" მანამდე სამივე მატჩი მოგებული ჰქონდა და პირეოსში მოპოვებული გამარჯვებით მომდევნო ეტაპისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. ჩვენ კი ტოპ-16-ში ერთი მოგება გვაქვს და მომდევნო ეტაპზე გამსვლელ კვარტეტში მოხვედრა იოლი არ იქნება. თუმცა ამის შესრულება ნამდვილად შეგვიძლია.

**- ქართველთა დაპირისპირება ყოველთვის საინტერესო სანახავია. მით უმეტეს ევროლიგაზე: როცა ვიქტორი იყო მოედანზე „მონტეპასკის" ვქომაგობდი, როცა შენ - „ოლიმპიაკოსს".**

- როცა ორივე ერთად ვთამაშობდით?

**- ფრეს. მინდოდა მატჩი ოვერტაიმში გადასულიყო, შენ და სანიკიძეს მეტი სათამაშო დრო გრგებოდათ.**

- დამატებით დროსთანაც ახლოს ვიყავით, მაგრამ უფრო რეალური გამარჯვება იყო - ბოლო წამებზე ბურთი რომ არ დაგვეკარგა...

ვაჟა სიმონიშვილი



პირეოსული მატჩის ყველაზე სასარგებლოები: მარხცნიდან - ბობი ბრაუნი, გიორგი შერმადინი და ვიქტორ სანიკიძე

### საქართველოს 14-წლამდელთა ჩემპიონატი

# 14-წლამდელებმაც დაიწყეს

20 იანვარს საქართველოს 14-წლამდელთა ჩემპიონატის პირველი მატჩები გაიმართა. 1999 წელს დაბადებულთა პირველობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რამეთუ ეს ის ასაკია, რომლის წარმომადგენლებმაც 2015 წელს თბილისში გასამართ ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველოს სახელი უნდა დაიცვან.

შეგახსენებთ, რომ ამ ასაკის კალათბურთელთა შარშანდელმა ჩემპიონატმა საინტერესოდ ჩაიარა, რომელიც **ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის** გაწვრთნილი „ჰიუნდაის" გამარჯვებით დასრულდა. ჰიუნდაელებმა ფინალში „კარდინალები" 47:40 დაამარცხეს და ეს გუნდები 2013 წლის გათამაშებაშიც ფავორიტებად მიიჩნევიან.

ამჯერად მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა: ახალ ჩემპიონატში 16 გუნდი მონაწილეობს, საიდანაც 5 რეგიონების წარმომადგენელია - გორი, ხაშური, რუსთავი, ქუთაისი და ფოთი. დანარჩენი 11 გუნდი თბილისურია.

გათამაშების ფორმატის თანახმად, გუნდები 2 ჯგუფში არიან განაწილებულნი, რომლებიც ერთმანეთში 2 წრედ ითამაშებენ და პლეი ოფში თითო ჯგუფიდან 4 საუკეთესო გავა. ისინი მეოთხედფინალში „ჯვარედინი სისტემით" დაწყვილდებიან: პირველადგილოსანი მეორე ჯგუფის მეოთხე გუნდს შეხვდება და ა.შ. ფინალამდე პლეი ოფი ერთ გამარჯვებამდე იქნება, ხოლო საჩემპიონო სერიაში გამარჯვებული 2 მოგებით გამოვლინდება.

წარმოგიდგენთ ტურნირში მონაწილე გუნდებს:

„ა" ჯგუფი: „კარდინალი-ორბი", „აკადემია", „ჰიუნდაი 2", „რუსთავი", „დინამო", „გორი", „ვესტა", „ნიკეა".

„ბ" ჯგუფი: „ჰიუნდაი", „I ექსპერიმენტალური", „აკადემია 2", „ქუთაისი", „ბასტიონი", „მართვე", თსსუ, „ფოთი", „ხაშური".



**I ტური**

**აკადემია-ჰიუნდაი 74:51**

**აკადემია:** ზურაბაშვილი (26ქ, 17მ), აბულაძე (11ქ, 15მ).
**ჰიუნდაი:** ცაგარეიშვილი (10ქ), გოგიტაშვილი (8ქ, 14მ).

**ვესტა-კარდინალები 54:78**

**ვესტა:** ფიფია (29ქ, 20მ).
**კარდინალები:** ყირიმელი (28ქ).

**ნიკეა-რუსთავი 20:101**

**ნიკეა:** ნადარეიშვილი (5ქ, 9მ).
**რუსთავი:** გაფრინდაშვილი (25ქ, 14მ), ცერცვაძე (15ქ).

**ჰიუნდაი-ხაშური 146:22**

**ჰიუნდაი:** ბითაძე (27ქ, 15მ), ჯანელიძე (23ქ, 11მ), მეგენეიშვილი (16ქ, 16მ), ლაჩავა (15ქ, 12მ).
**ხაშური:** ჩადუნელი (6ქ, 4მ).

**დინამო-გორი 34:64**

**დინამო:** მელანია (8ქ, 8მ).
**გორი:** მდივანი (35ქ), პაპიაშვილი (7ქ, 27მ).

**მართვე-ბასტიონი 83:21**

**მართვე:** გობოხია (23ქ, 19მ), დვალაძე (11ქ, 13მ).
**ბასტიონი:** ბალათელია (6ქ, 8მ).

**აკადემია 2-ფოთი 60:69**

**აკადემია 2:** კუჭავა (11ქ, 16მ), შარაძე (11ქ, 10მ), მგელაძე (9ქ, 13მ).
**ფოთი:** პერტაია (27 ქულა, 16 მოხსნა; ხურცილავა 17 ქულა, 12 მოხსნა.

www.superleague.ge

| მოთამაშე | გუნდი | თარიღი | შეჯიბრება | VS | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა (NBA) | 14.01 | NBA | ჩიკაგო VS | 97:58:00 | 19 | 4 | 6 | 1 | 1 | 0 |
| | | 16.01 | NBA | VS ბრუკლინი | 109:95 | 39 | 13 | 11 | 8 | 1 | 0 |
| | | 18.01 | NBA | ბრუკლინი VS | 94:89 | 25 | 4 | 6 | 2 | 1 | 0 |
| | | 19.01 | NBA | VS სან ანტონიო | 93:98 | 28 | 4 | 9 | 1 | 0 | 0 |
| | | 21.01 | NBA | VS მინესოტა | 104:96 | 16 | 2 | 0 | 3 | 0 | 0 |
| თორნიკე შენგელია | ბრუკლინი (NBA) | 15.01 | NBA | VS ტორონტო | 113:106 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 16.01 | NBA | ატლანტა VS | 109:95 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 18.01 | NBA | VS ატლანტა | 94:89 | არ უთამაშია | | | | | |
| მანუჩარ მარკოიშვილი | კანტუ (იტ) | 20.01 | იტალიის ჩემპ. | ვენეცია VS | 83:79 | 23 | 12 | 2 | 2 | 1 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტ) | 18.01 | ევროლიგა | ოლიმპიაკოსი (საბ) VS | 72:74 | 20 | 9 | 8 | 0 | 0 | 1 |
| | | 21.01 | იტალიის ჩემპ. | VS რეჯო ემილია | 64:49 | 27 | 6 | 10 | 6 | 0 | 0 |
| ნიკა მეტრეველი | ომენა (იტ) | 19.01 | იტალიის ჩემპ. | VS მატერა | 61-44 | 29 | 7 | 10 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი შერმადინი | ოლიმპიაკოსი (საბ) | 18.01 | ევროლიგა | VS მონტეპასკი (იტა) | 72:74 | 14 | 9 | 7 | 0 | 1 | 3 |
| | | 21.01 | საბერძნეთის ჩემპ. | აპოლონი VS | 69:88 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ცინცაძე | ბუდიველნიკი (უკრ) | 16.01 | ევროთასი | ტრიუმფი (რუს) VS | 84:85 | 31 | 9 | 2 | 3 | 1 | 0 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი (ესპ) | 20.01 | ესპანეთის ჩემპ. | მურსია VS | 73:81 | 3 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| სერგო ათუაშვილი | ეშტელალი (ირანი) | 17.12 | ირანის ჩემპ. | პეტროჩიმი VS | 76:74 | 38 | 9 | 17 | 1 | 1 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ურჯუკაშვილის ლელო, მალაღურაძისა და კვირიკაშვილის 14-14 ქულა

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში მე-13 ტურის შეხვედრების ნაწილი დიდთოვლობის გამო გადაიდო. გამართულთაგან კი, უმრავლესობაში ქართველ მორაგბეთა გუნდებმა წარმატებით იასპარეზეს. დღესდღეობით პლეი ოფისთვის ბრძოლას შვიდი „ქართული გუნდი" განაგრძობს.**



თედო ზიბზიბაძე (ცენტრში)

A ჯგუფში ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან ლიდერთა შორის, ვისაც შემდეგ ეტაპზე გასვლის რეალური შანსი აქვს, ჩვენებურთა სამი გუნდია - „მაკონი", „შალონი" და „ვიენი". **შოთა მელიქიძისა** და **ავთანდილ კოპალიანის** „მაკონი" მე-13 ტურში შინ ეთამაშა „ბობინის" და 27:3 მოუგო. შედეგად მაკონელებმა 43 ქულა დააგროვეს და მესამე ადგილზე არიან.

მელიქიძე სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 61-ე წუთიდან ჩაერთო, კოპალიანს არ უთამაშია.

„მაკონს" 12 ქულით ჩამორჩება და მეოთხე ადგილზეა **გიორგი ჯაშიტაშვილის** „შალონი", რომელმაც შინ დაამარცხა უახლოესი მდევარი, **ზერო პეტრიაშვილის** „ვიენი" - 14:3. ჯაშიტაშვილი თამაშში 59-ე წუთიდან ჩაერთო, პეტრიაშვილი მოედანზე ორი წუთის შემდეგ გამოჩნდა.

**ელიზბარ ყუფარაძისა** და **რეზო გიგაურის** „მონლუსონმა", რომელიც 26 ქულით მე-6 ადგილზეა, შინ დაამარცხა ერთ-ერთი აუტსაიდერი „დიჟონი" - 15:13. ყუფარაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 77-ე წუთზე შეცვალეს, გიგაური თამაშში ერთი წუთით ადრე ჩაერთო.

## ფედერალ 1

### A ჯგუფი

**შალონი-ვიენი 14:3, მაკონი-ბობინი 27:3, მონლუსონი-დიჟონი 15:13, სტრასბური-სენტ ეტიენი (გადაიდო), ლილი-ბურგ ან ბრესი (გადაიდო).**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბურგ ან ბრესი - 49 ქულა, 2. ლილი - 49, 3. მაკონი - 43, 4. შალონი - 31, 5. ვიენი - 27, 6. მონლუსონი - 26, 7. ბობინი - 23, 8. სენტ ეტიენი - 23, 9. დიჟონი - 22, 10. სტრასბური - 1.**

### XIV ტური

**ბურგ ან ბრესი-მაკონი, ბობინი-შალონი, ვიენი-სტრასბური, სენტ ეტიენი-მონლუსონი, დიჟონი-ლილი.**

B ჯგუფში დიდთოვლობის გამო ხუთი მატჩიდან ოთხი გადაიდო. ერთში კი **თენგიზ გელანტიასა** და **ბექა ურჯუკაშვილის** „ობენა" სტუმრად დამარცხდა პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტ „აგდისთან" - 18:22. ურჯუკაშვილმა 59-ე წუთზე ლელო გაიტანა და ერთ წუთში შეცვალეს, გელანტია განაცხადში არ იყო.

ამ ჯგუფში პლეი ოფში მოხვედრის ყველაზე კარგი შანსი ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან **ირაკლი ნინიძის** „რომანს" აქვს, რომელიც 29 ქულით მესამე ადგილზეა.

### B ჯგუფი

**აგდი-ობენა 22:18, ბურგუნი-ვალანსი, ლა სეინი-შატორენარი, ლავორი-ბლანიაკი, რომანი-როდეზი (ყველა გადაიდო)**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბურგუენი - 51 ქულა, 2. ვალანსი - 35, 3. რომანი - 29, 4. ლავორი - 28, 5. აგდი - 28, 6. ლა სეინი - 26, 7. ობენა - 26, 8. ბლანიაკი - 25, 9. შატორენარი - 23, 10. როდეზი - 21.**

### XIV ტური

**ბლანიაკი-ბურგუენი, ვალანსი-ლა სეინი, შატორენარი-რომანი, როდეზი-აგდი, ობენა-ლავორი.**

C ჯგუფში ლიდერთა შორის ორი ქართული გუნდია, „სენ ნაზერი" და „პერიგო". **ბაჩუკი გუჯარაიძისა** და **შოთა ცხოვრებაშვილის** „სენ ნაზერი" მე-13 ტურში სტუმრად დაუპირისპირდა „სენ ჟან დანჟელის" და დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური სხვაობით დაამარცხა - 20:19.

გუჯარაიძე სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 49-ე წუთიდან ჩაერთო, ცხოვრებაშვილს არ უთამაშია. „სენ ნაზერს" ახლა 44 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა.

სენნაზერელებს ერთი ქულით ჩამორჩება და მესამე ადგილზეა **თედო ზიბზიბაძის** „პერიგო", რომელმაც სტუმრად მოუგო **ნიკოლოზ მალალდაძისა** და **ირაკლი ჩომახაშვილის** „მარმანდს" - 16:6. მალალდაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე ჩომახაშვილმა შეცვალა, ზიბზიბაძე მოედანზე 61-ე წუთიდან გამოჩნდა.

„მარმანდი" ამ მარცხის შემდეგ სატურნირო ცხრილში 18 ქულით ბოლოსწინა, მეცხრე ადგილზეა.

### C ჯგუფი

**მარმანდი-პერიგო 6:16, აგეტმო-ნუარი 23:6, ტიროსი-ლანჟონი 14:0, სენ ჟან დანჟელი-სენ ნაზერი 19:20, ვანი-სენ ჟან დე ლუზი 22:21.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ტიროსი - 57 ქულა, 2. სენ ნაზერი - 44, 3. პერიგო - 43, 4. ვანი - 33, 5. სენ ჟან დე ლუზი - 30, 6. ლანჟონი - 29, 7. აგეტმო - 23, 8. სენ ჟან დანჟელი - 19, 9. მარმანდი - 18, 10. ნუარი - 14.**

### XIV ტური

**პერიგო-აგეტმო, ნუარი-ვანი, ლანჟონი-მარმანდი, სენ ნაზერი-ტიროსი, სენ ჟან დე ლუზი-სენ ჟან დანჟელი.**

D ჯგუფში ქართველ მოარგბეთა ორივე გუნდმა მოიგო, თუმცა ორივე ისევ სახიფათო ზონაში იმყოფება. **მერაბ კვირიკაშვილისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „სენ ჟუნიენმა" შინ დაამარცხა „ლურდი" - 19:8. კვირიკაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა და გუნდს 14 ქულა მოუტანა (ოთხი საჯარიმო და ერთი გარდასახვა), მჭედლიშვილი 63-ე წუთზე შეცვალეს.

„სენ ჟუნიენი" ახლა 22 ქულით ბოლოსწინა, მეცხრე ადგილზეა. ასევე 22 ქულა აქვს და მერვე ადგილზეა **სიმონ მაისურაძის, ლაშა მალაღურაძისა** და **ლადო გუნიავას** „ბაგნერე", რომელმაც საკუთარ მოედანზე „ლიმოჟს" სძლია 19:9. მალაღურაძე მგეზავის პოზიციაზე თავიდან ბოლომდე გაისარჯა და „მეკოს" მსგავსად გუნდს 14 ქულა მოუტანა (ოთხი საჯარიმო და ერთი გარდასახვა), მაისურაძე, რომელიც 53-ე წუთზე შეცვალეს, არბიტრამა 30-ე წუთზე სინბინში გაუშვა, გუნიავას არ უთამაშია.

### D ჯგუფი

**ბაგნერე-ლიმოჟი 19:9, სენ ჟუნიენი-ლურდი 19:8, ნევერი-ოლორონი 35:10, ლანამეზანი-სენ მედარი (გადაიდო), კასტანე-მონტობანი (გადაიდო).**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. მონტობანი - 49 ქულა, 2. ნევერი - 48, 3. ოლორონი - 31, 4. კასტანე - 30, 5. ლიმოჟი - 30, 6. ლურდი - 27, 7. ლანამეზანი - 23, 8. ბაგნერე - 22, 9. სენ ჟუნიენი - 22, 10. სენ მედარი - 15.**

### XIV ტური

**ოლორონი-ლანამეზანი, ლიმოჟი-სენ ჟუნიენი, ლურდი-ნევერი, მონტობანი-ბაგნერე, სენ მედარი-კასტანე.**

**ბესიკ ჯანგავაძე**



ბურთით სიმონ მაისურაძე

აღიარება



მამუკა გორგოძე

# გორგოძე ისევ სიმბოლურ ნაკრებში

საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „მონპელიეს" ლიდერი **მამუკა გორგოძე** „ჰაინეკენის თასის" გათამაშების ჯგუფური ეტაპის ბოლო, მეექვსე ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელეს. „მონპელიემ" ბოლო ტურში შინ პირველადგილოსანი „ტულონი" დაამარცხა და, თავის ისტორიაში პირველად, მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

გორგოძე ამ მატჩში გუნდის კაპიტანი იყო და მეორე ხაზში ითამაშა. აი, რას წერს მასზე სარაგბო ვებგვერდი Planetrugby:

*„მონპელიეს" ქართველმა თილისმამ „ტულონის" წინაალმდეგ შესანიშნავად ითამაშა. მისი გარღვევები მეტოქის დაცვას ბევრ თავსატეხს უჩენდა. გორგოძე ამ შთამბეჭდავი გუნდის ცენტრალური ფიგურაა. მას შემდეგ, რაც წარბი გაუსკდა და მოედანზე თავშეხვეული დაბრუნდა, ნათლად გამოჩნდა, რამდენად მნიშვნელოვანი ფიგურაა ის ამ გუნდისთვის".*

### სიმბოლური ნაკრები

**15. სტიუარტ ჰოგი (გლაზგო), 14. კრის ეშტონი (სარასენზი), 13. სირელი ნაგალევუკი (ექსეტერი), 12, ჯეიმზ დუეინი, 11. საიმონ ზებო (ორივე-მანსტერი), 10. ნიკ ევანსი (ჰარლიქვინზი), 9. ბენუა პეიოგი (მონპელიე). 1. კიან ჰილი (ლენსტერი), 2. ავგუსტინ კრევი (მონპელიე), 3. მეთ სტივენსი (სარასენზი), 4. ჯეფ პერლინგი (ლესტერ ტაიგერზი), 5. მამუკა გორგოძე (მონპელიე), 6. ჟულიენ ბონერი (კლერმონი), 7. შონ ობრაიანი (ლენსტერი), 8. ლუი პიკამოლი (ტულუზი).**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ოფიციოზი

# სტუმრად IRB-ში

**9-13 იანვარს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე და სანაკრებო კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა ხურციძე ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ ირლანდიაში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, რაგბის საერთაშორისო საბჭოში შეხვედრების გამართვა, ხოლო მეორე მხრივ - „Emerald Cultural Institute"-სთან ერთად დუბლინის სარაგბო კოლეჯების მონახულება და მათთან თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვა.**

მიღწეული შედეგებიდან აღვნიშნავთ შემდეგს:

საბოლოოდ დამტკიცდა საქართველოს რაგბის კავშირისათვის გამოყოფილი სანაკრებო გრანტის ოდენობა, რომელიც წელიწადში 150 000 გირვანქა სტერლინგით გაიზარდა. შეთანხმებისამებრ, ეს თანხები მოხმარდება ეროვნული სარაგბო აკადემიისთვის უცხოელი ფიზმომზადების მწვრთნელისა და ფიზიოთერაპევტის მთელი წლით მოწვევას; ასევე საშუალება გვექნება საქართველოში ჩამოვიყვანოთ უცხოელი მსაჯები, შევიძინოთ ვიდეოანალიზის და მონაცემთა ბაზების სამართავი პროგრამები და ტექნიკური აღჭურვილობა

დადასტურდა ჩვენთვის ელიტური დონის რაგბის კავშირის სტატუსის მონიჭებაც (იმ პირობით, რომ ამ სტატუსს საქართველოს რაგბის კავშირი შეინარჩუნებს მხოლოდ იმ ოთხწლეულში, როდესაც მისი ეროვნული ნაკრები მსოფლიოს თასზე გადის).

გადაწყდა თბილისში ყოველწლიური საერთაშორისო ტურნირის ჩატარება. 2013 წელს ეს ახალი ტურნირი გაიმართება 3-17 ივნისს (სათამაშო დღეები: 7, 11 და 16 ივნისი; 2 თამაში დღეში; მონაწილე გუნდები: საქართველო, ირლანდია A, იტალია A, პორტუგალია ან ესპანეთი).

გარდა ამისა, შედეგი გამოიღო რაგბის კავშირის მრავალწლიანმა მცდელობამ და გადაწყდა, რომ ნაკრების მაისურზე დასატანი სპონსორების ლოგოების რაოდენობა იზრდება, რაც საშუალებას მოგვცემს მეტი სპონსორი მოვიზიდოთ ქართულ რაგბში.

ძალიან ნაყოფიერი იყო შეხვედრა ირლანდიის რაგბის კავშირში; შედგა მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ ირლანდიის რაგბის კავშირი იღებს ვალდებულებას შეიმუშავოს საქართველოში მსაჯობის სფეროს განვითარების სპეციალური პროგრამა და რამდენიმე წლის განმავლობაში ამ პროგრამის კურირებას განახორციელებს და ვალდებულებას იღებს: მოავლინოს ჩვენთან თავისი სპეციალისტები, მოამზადოს ქართველი მსაჯები, ხოლო მოკლევადიან პერსპექტივაში - წლევანდელი ჩემპიონატის დაწყებისთანავე დაეხმაროს საქართველოს რაგბის კავშირს უცხოელი არბიტრების მოზიდვის საქმეში, რომლებიც იმსაჯებენ და იმავდროულად აამაღლებენ ადგილობრივ მსაჯთა კვალიფიკაციას.

„Emerald Cultural Institute" მოაწყო საქართველოს რაგბის კავშირის წარმომადგენელთა ვიზიტი დუბლინის 6 სარაგბო კოლეჯში. ეს შეხვედრები მეტად საინტერესო გამოდგა; დაისახა თანამშრომლობის პერსპექტივა რამდენიმე მაღალი დონის სარაგბო კოლეჯთან. ოქტომბერში ST. Michaes's college-ს 19-წლამდელთა გუნდი ეწვევა თბილისს და გამართავს მატჩს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებთან. ასევე განიხილება სხვა ერთობლივი პროექტებიც.

**რაგბის კავშირის პრესსამსახური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. ჰაინეკენის თასი



# ჩემი კლუბი შენსას სჯობია

ჰაინეკენის თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპი დასრულდა. მეოთხედფინალში გასული რვა გუნდიდან ორი ირლანდიურია, სამი ფრანგული და ამდენივე ინგლისური. მოწინავეთა შორის ვერ მოხვდნენ უელსური, შოტლანდიური და იტალიური კლუბები

ცხადია, ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა გარკვეული ტენდენციის მაჩვენებელია. შარშან ამავე ეტაპზე უელსური და შოტლანდიური კლუბებიც თამაშობდნენ. მეტიც, მაშინ „ედინბურგმა“, რომელსაც საქართველოს ნაკრების ყოფილი დამრიგებელი **მაიკ ბრედლი** წვრთნის, კლუბის ისტორიაში პირველად ნახევარფინაში გააღწია.

წლეულს ასევე პირველად გავიდა პლეი ოფში ფრანგული „მონპელიეც“, რომელშიც სამი ქართველი მორაგბე **მამუკა გორგოძე, მიხეილ ნარიაშვილი** და **გიორგი ჟღენტი** თამაშობს. აღსანიშნავია, რომ მეოთხედფინალში გასული სამი ფრანგული გუნდიდან სამივეში ჩვენებურები ასპარეზობენ და გუნდის წარმატებაში თავისი წვლილი შეაქვთ. სამივე მათგანმა პლეი ოფამდე გზა სრულიად განსხვავებულად განვლო.

„კლერმონმა“, სადაც **დავით ზირაქაშვილი** და **ვიქტორ კოლელიშვილი** ირჯება, ექვსი თამაშიდან ექვსივეში გაიმარჯვა და ჯგუფური ტურნირი დამაჯერებლად მოიგო. არადა ჯგუფი, რომელშიც „ვულკანები“ წილისყრის შედეგად მოხვდნენ, ყველაზე ძლიერად ითვლებოდა. ფრანგული კლუბის მეტოქეები „ჰაინეკენის“ თასის“ ამჟამინდელი მფლობელი ირლანდიური „ლენსტერი“, უელსური „ჰლანეჰლი“ და ინგლისური „ექსეტერი“ იყვნენ.

კლერმონელებმა ყველა მეტოქეს ერთი ამოსუნთქვით „გადაუარეს“ და ტურნირის პირველი ეტაპი საუკეთესო მაჩვენებლებით დაასრულეს. მათი მეტოქე მეოთხედფინალში ასევე ფრანგული „მონპელიე“ იქნება, რომელმაც E ჯგუფში ბოლომდე იბრძოლა და, როგორც საუკეთესო მეორე ადგილის მფლობელი, პლეი ოფში გავიდა. „კლერმონი“ მონპელიელებს შინ მიიღებს და, რადგან საკუთარ კედლებში „ვულკანები“, ფაქტობრივად, უძლეველნი არიან, გამარჯვებულის ვინაობის გამოცნობა ძნელი არ უნდა იყოს.

მოდით ნუ ვიჩქარებთ. მეოთხედფინალი, რომელიც ერთი მატჩისგან შედგება, აპრილის პირველ დეკადაშია დანიშნული და იქამდე ყველაფერი შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ „კლერმონი“ წლევანდელი გათამაშების ფავორიტია. ყოველ შემთხვევაში, ფინალში გასვლა ახალზელანდიელი თავკაცის **ვერნ კოტერის** სამწყსოს არ უნდა გაუჭირდეს. მით უფრო, რომ „მონპელიესთან“ გამარჯვების შემთხვევაში, „ვულკანები“ ნახევარფინალში ისევ შინ ითამაშებენ. მეტოქე აქ ინგლისურ „ჰარლიქვინზსა“ და ირლანდიურ „მანსტერს“ შორის გამარჯვებული იქნება.

ცხადია, იოლი არც ერთი მეტოქის დამარცხებაა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ჰარლიქვინზი“ ერთადერთი გუნდია, რომელმაც „კლერმონის“ მსგავსად ჯგუფური ეტაპი დაუმარცხებლად განვლო. თუმცა ფრანგულ კლუბს უფრო მეტად გაუმართლა, რადგან ფინალამდე სულ შინ უწევს თამაში.

ამ თვალსაზრისით, „კლერმონთან“ ერთად პრივილეგირებულ მდგომარეობაშია A ჯგუფის გამარჯვებული, ინგლისური „სარასენზი“, რომელიც ქვეყნის მოქმედი ჩემპიონია. ეს კლუბი მეოთხედფინალში შინ ირლანდიურ „ალსტერს“ დაუპირისპირდება, რომელიც წლეულს შესანიშნავ ფორმაშია და „კელტთა ლიგაში“ დამაჯერებლად ლიდერობს. ირლანდიელებმა „ჰაინეკენის თასის“ გათამაშების ჯგუფურ ტურნირშიც შესანიშნავად იასპარეზეს, ექვსი თამაშიდან ხუთი მოიგეს და D ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ.

„სარასენზი“ საკუთარ მოედნზე „ალსტერის“ დამარცხების შემდეგ ფრანგულ „ტულონსა“ და ინგლისურ „ლესტერ ტაიგერზს“ შორის გამარჯვებულს, ისევ შინ დაუხვდება და, ცხადია, „კლერმონის“ მსგავსად ყველაზე მეტი შანსი აქვს ფინალში გააღწიოს.

თავის მხრივ, დიდი ამბიცები აქვთ ტულონელებსაც. ამ კლუბის მულტიმილიონერმა პრეზიდენტმა **მურად ბურჯელალმა** გუნდში საპენსიო ასაკის ყველა ვარსკვლავს მოუყარა თავი და საფრანგეთის ჩემპიონობასთან ერთად, ევროთასებზე ტრიუმფალურად ასპარეზობაც დაუსახავს მიზნად.

ერთი სიტყვით, ფინალი 18 მაისს დუბლინში, „ავივა სთედიუმზე“ გაიმართება და იქ გაირკვევა, რომელი ქვეყნის საკლუბო რაგბია უკეთესი.

**1/4 ფინალი**

ჰარლიქვინზი-მანსტერი
კლერმონი-მონპელიე
ტულონი-ლესტერ ტაიგერსზი
სარასენზი-ალსტერი

ბესიკ ჯანგავაძე

კრივი

## ჰეიმ ლიცენზია დაიბრუნა

ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონმა, 32 წლის **დევიდ ჰეიმ** ბრიტანეთის კრივის ფედერაციისგან საკრივო ლიცენზია მიიღო.

შეგახსენებთ, ბრიტანელმა მოკრივემ თავისი ბოლო ბრძოლა 2012 წლის ივლისში თანამემამულე **დერეკ ჩისორას** წინააღმდეგ ლუქსემბურგის კრივის ფედერაციის მიერ გაცემული ლიცენზიით ჩაატარა.

ცნობისთვის, ჩისორა ასევე აპირებს ბრიტანული ლიცენზიის დაბრუნებას. მან და ჰეიმ ლიცენზიები მას შემდეგ დაკარგეს, რაც პრესკონფერენციაზე ერთმანეთში ხელჩართული ჩხუბი გამართეს.

გია თვალაბეიშვილი

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კობიც კი კრიზისშია

არაფერი იცვლება „ლეიკერსის“ თამაშში, უფრო სწორად, იცვლება უარესობისკენ, განსაკუთრებით დაცვაში. „ლეიკერსი“ ამჯერად „ტორონტოს“ ვერ გაუმკლავდა და ზედიზედ მეხუთედ წააგო სტუმრად. კანადელები, უბრალოდ, დასცინოდნენ მეტოქეს პირველ და მეოთხე მეოთხედებში, როცა იოლად შედიოდნენ ფარქვეშ ან ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ესროდა სამქულიანებს. **დ'ენტონის** შეგირდები ვერ ასწრებდნენ უკან დაბრუნებას და ერთი მეორეს მიყოლებით უშვებდნენ მეტოქის კონტრშეტევებს. ეს არა მარტო ზრდიდა სხვაობას, არამედ ნეგატიურად მოქმედებდა მთელ „ლეიკერსზე“. სხვათა შორის, გუნდის კრიზისი უკვე **ბრაიანტზეც** აისახება, რომელიც ბოლო ორ მატჩში თამაშიდან 31 პროცენტის სიზუსტით ისროდა და მხოლოდ ექვსი შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

ისევ დაალალატა გუნდი **დუაიტ ჰოვარდმა**, რომელიც პირველი ნახევრის ბოლოს, ორი ტექნიკური ჯარიმისთვის მოედნიდან გააძევეს. თუმცა „სუპერმენისგან“ ისედაც არანაირი ხეირი არ იყო - 17 წუთში მან სამიდან მხოლოდ ერთი ტყორცნა გამოიყენა და ორი მოხსნა აილო.

რა თქმა უნდა, „ტორონტოსაც“ ჰქონდა ჩავარდნები და ამით „ლეიკერსს“ შანსი გაუჩნდა, მაგრამ სტუმრებს ბრძოლის ჟინი არ ეტყობოდათ. შედეგად, მეოთხე მეოთხედში, „რეპტორზის“ 10:0 გაქცევის შემდეგ, მასპინძელთა უპირატესობა 19 ქულამდე გაიზარდა. ზოგს ეჭვიც კი გაუჩნდა, რომ კალიფორნიელები ასეთი თამაშით ირიბად აჩქარებენ მწვრთნელის მორიგ ცვლას.

ახლა, „ლეიკერსს“ ორი გასვლითი მატჩი აქვს „მემფისთან“ და „ჩიკაგოსთან“, რასაც მოჰყვება ათიდან შვიდი გასვლა, არადა, კალიფორნიელებმა წელს, სტუმრად 19-დან მხოლოდ ხუთჯერ მოიგეს. ბრძოლა პლეი ოფისთვის გრძელდება, შანსი არსებობს, მაგრამ ის თანდათან ქრება ყოველი ასეთი მატჩის შემდეგ.

■ ■ ■

რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს „დალასი“, ის ყოველთვის ახერხებს სტუმრად „ორლანდოს“ დამარცხებას. ეს უკვე ზედიზედ მეშვიდედ მოხდა. გარდა ამისა, „მეჯიქმა“ ზედიზედ მეშვიდედ წააგო გუნდთან, რომელსაც მოგება/წაგების უარყოფითი ბალანსი აქვს. „ორლანდომ“ კარგად დაიწყო პირველი მეოთხედი, მაგრამ გაანიავა 14-ქულიანი უპირატესობა, შემდეგ კი მეტოქეს გაქცევის საშუალება მისცა. საფინალო სირენამდე შვიდნახევარი წუთით ადრე, „მავერიქსის“ უპირატესობა 13 ქულამდე გაიზარდა, მაგრამ მასპინძლებმა იმდენი შეძლეს, რომ ორ ქულამდე დაიყვანეს ჩამორჩენა. „დალასი“ შოკში აღმოჩნდა. მის რიგებში მხოლოდ **კოლისონი** არ დაიბნა და სამქულიანი ჩააგდო, თუმცა **რედიკმა** იქვე შორეული ტყორცნით უპასუხა, მაგრამ „ჯადოქრებმა“ მეტის გაკეთება ვერ შეძლეს. **ნოვიცკიმ** საჯარიმოები გამოიყენა, რედიკმა კი მეორე სამქულიანი ააცილა.

■ ■ ■

„ბოსტონმა“ ზედიზედ სამი მატჩი წააგო და მეოთხედ დამარცხდა დეტროიტში. მთელი მატჩის განმავლობაში „კელტები“ ერთხელაც არ ყოფილან წინ და დროის დიდი ნაწილი მეტოქის დევნას მოანდომეს. მათ მოახერხეს 18-ქულიანი სხვაობის თითქმის ბოლომდე შემცირება, მაგრამ იმდენჯერ გაექცათ მეტოქე, რომ ბოლოს დაიღალნენ ამ დევნისგან. თან, „სელტიქსის“ რიგებში



ჰოვარდმა ლეიკერსი დაალალატა

ვერც ერთმა კალათბურთელმა ვერ იტვირთა ლიდერის როლი. ამის გაკეთება სცადა **რონდომ**, რომელმაც 15 პასი შეასრულა, მაგრამ ამასთან, 16 ტყორცნიდან მხოლოდ ოთხი მოათავსა კალათში.

■ ■ ■

ცენტრალური მატჩი გაიმართა დენვერში, სადაც სათამაშოდ ჩავიდა „ოკლაჰომა“. შეგახსენებთ, რომ ამ უკანასკნელმა 16 იანვარს გაანადგურა **ჯორჯ კარლის** გუნდი და აქაც მოგების იმედი ჰქონდა. მაგრამ, „დენვერი“ ერთ-ერთი ყველაზე საშინაო გუნდია ლიგაში და მის არენაზე ყოველთვის დიდი ბრძოლა იმართება. ასე იყო ამჯერადაც. მთელი მატჩის განმავლობაში 18-ჯერ იყო ანგარიში თანაბარი, რვაჯერ უპირატესობა ერთი გუნდიდან მეორესკენ გადადიოდა. ბოლოს, „დენვერმა“ თითქოს გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწია, როცა 11 ქულით გავიდა წინ, მაგრამ **დურანტის, მარტინისა** და **უესტბრუკის** სამქულიანებით „ოკლაჰომამ“ შეძლო მატჩის შემოტრიალება.

თამაში ოვერტაიმში გადავიდა. ამ სეზონში „თანდერს“ ხუთი დამატებითი დრო ჰქონდა მოგებული, „დენვერს“ – სამი. ოვერტაიმში ყველაფერი გადაწყვიტა **კოლისონის** შეცდომამ სირენამდე ექვსი წამით ადრე. „დენვერი“ 117:116 იგებდა, როცა **ფარიდმა** ორი საჯარიმო ააცილა და მეტოქეს მატჩის მოგების შესანიშნავი შანსი მისცა, მაგრამ კოლისონმა შეტევაში მიიღო პესონალური.

მასპინძლებმა ორივე ჯარიმა ჩააგდეს და კევინ დურანტს მოუმზადებელი სამქულიანის შესრულებამ მოუწია. მან ვერ შეძლო მეორე ოვერტაიმში მატჩის გადაყვანა.

უცნაური შეხვედრა ჩაატარეს „ოკლაჰომას“ ლიდერებმა. დურანტმა და უესტბრუკმა, შესაბამისად, 37 და 36 ქულა დააგროვეს და თან ძალიან ცოტა დააკლდათ სამმაგ დუბლამდე, მაგრამ ამასთან, ამ დუეტმა ჯამში 12 შეცდომა დაუშვა, და მხოლოდ 17 ტყორცნა მოათავსა კალათში 46 ცდიდან.

**ტორონტო-ლეიკერსი 108:103**

29:20, 24:29, 30:21, 25:33

**ტ:** კალდერონი (22+9 პასი), ფილდსი (18+10 მოხსნა+4 ჩაჭრა), დევისი (18+8 მოხსნა), ანდერსონი (14+8 პასი+3 ჩაჭრა).

**ლ:** ბრაიანტი (26+5 პასი), გასოლი (25+5 მოხსნა), ნეში (16+9 პასი), კლარკი (14+14 მოხსნა).

**ორლანდო-დალასი 105:111**

24:26, 24:31, 27:28, 30:26

**ო:** დევისი (24+6 მოხსნა+6 პასი), ნელსონი (20+6 მოხსნა+5 პასი), რედიკი (18), აფლალო (16+6 მოხსნა), ვუჩევიჩი (14+11 მოხსნა).

**დ:** მერიონი (20+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), კარტერი (15+6 პასი+3 დაფარება), მაიო (15), ბრენდი (14+6 მოხსნა), კამანი (13+8 მოხსნა), ნოვიცკი (12+7 მოხსნა+3 დაფარება), კოლისონი (11+9 პასი).

**დეტროიტი-ბოსტონი 103:88**

27:18, 25:30, 29:23, 22:17

**დ:** დრამონდი (16+7 მოხსნა), მონრო (15+11 მოხსნა+5 პასი), ნაითი (15+6 მოხსნა+5 პასი), ბაინუმი (15+5 პასი), პრინსი (14), სინგლერი (13+8 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა).

**ბ:** გარნეტი (16+7 მოხსნა), ლი (16+3 ჩაჭრა), გრინი (15), პირსი (10+8 მოხსნა), რონდო (8+9 მოხსნა+15 პასი+3 ჩაჭრა).

**დენვერი-ოკლაჰომა 121:118 (ო)**

25:25, 26:25, 30:29, 28:30, 12:9

**დ:** ბრიუერი (26+6 მოხსნა), გალინარი (18+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ფარიდი (16+10 მოხსნა+4 დაფარება), ჩენდლერი (12), ლოუსონი (11+5 მოხსნა+9 პასი), მილერი (11), კუფოსი (10+11 მოხსნა).

**ო:** დურანტი (37+7 მოხსნა+8 პასი), უესტბრუკი (36+8 მოხსნა+9 პასი), მარტინი (18+3 ჩაჭრა), იბაკა (16+6 მოხსნა).

გია თვალაბეიშვილი

# სუპერსონიქსი აღდგება




როგორც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი წერს, ძმები **მალუფები** დათანხმდნენ „საკრამენტო კინგზის“ მიყიდვას სიეტლელი ბიზნესმენების ჯგუფისთვის, რომელსაც სათავეში უდგას **კრის ჰანსენი**.

გარიგების თანხა 525 მილიონ დოლარს შეადგენს, რაც ლიგის ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია. თუმცა კლუბის გასხვისების პროცედურას თანხმობა უნდა მისცეს NBA-ის მმართველმა საბჭომ. ამბობენ, რომ ჰანსენი გუნდს სიეტლში გადაიტანს და მას „სუპერსონიქსს“ დაარქმევს.

შეგახსენებთ, რომ სიეტლში დაწყებულია ახალი არენის მშენებლობა, რომელზეც ითამაშებს განახლებული „სუპერსონიქსი“. არენა ექსპლუატაციაში 2015-16 წლების სეზონის დასაწყისში შევა. თავად „კინგზი“ სიეტლში 2013-14 წლების სეზონისთვის გადავა და საშინაო მატჩებს ძველ Key Arena-ზე ჩაატარებს.

„კინგზის“ ახალ მეპატრონეებს გრანდიოზული გეგმები აქვთ. მათ სურთ, განახლებული კლუბის ხელმძღვანელთა შემადგენლობაში შეიყვანონ NBA-ის ისტორიაში ყველაზე წარმატებული მწვრთნელი **ფილ ჯექსონი**, ასევე ლაპარაკია გუნდში **ლარი ბერდის** მიწვევაზე.

გია თვალაბეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი

# გერმანელებმა იძალეს



ვიქტორია რებენსბურგი

სამთო მოთხილამურეები აგრძელებენ მზადებას მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც თებერვალში გაიმართება. გასულ უქმეებზე მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპები შვეიცარიის ვენგენსა და იტალიის კორტინა დ'ამპეცოში გაიმართა.

ვენგენში კაცებმა სლალომში გაარკვიეს გამარჯვებული. წელს, ამ დისციპლინაში დომინირებს მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელი **მარსელ ჰირშერი**. ამ ეტაპამდე მას ზედიზედ სამი სლალომი ჰქონდა მოგებული და აქაც, პირველი ცდის შემდეგ, 5-მეასედ წამს უგებდა გერმანელ **ფელიქს ნოიროიტერს**, თუმცა ავსტრიელს მეორე ცდა არ გამოუვიდა და 0,25 წამი წააგო ნოიროიტერთან, რაც ეტაპის წაგებად დაუჯდა. თუმცა ჰირშერმა გაზარდა მსოფლიოს თასის გენერალურ კლასიფიკაციაში უახლოეს მდევართან, ნორვეგიელ **აქსელ-ლუნდ სვინდალთან** უპირატესობა, რომელიც ახლა, 188 ქულას შეადგენს, თან მარსელმა შეინარჩუნა ლიდერობა სლალომის ჩათვლაში.

ჰირშერის შედეგი მართლაც ბრწყინვალეა - ბოლო ორი სეზონის განმავლობაში, ის სლალომის ზედიზედ 18 ეტაპზე მოხვდა პოდიუმზე.

მესამე იყო ლეგენდარული ხორვატი **ივიცა კოსტელიჩი**, რომელიც წინა სამი წელი არავის უთმობდა პირველობას ვენგენში. შვეიცარიის ამ კურორტზე მან მე-12 პოდიუმი მოიპოვა და ამით გაუსწრო სამთო თხილამურების ლეგენდებს - **ინგემარ სტენმარკს, მარკ ჟირარდელისა** და **დიდიე კუშს**.

რაც შეეხება ნოიროიტერს, მან ამ სეზონში მეორე ეტაპი მოიგო მსოფლიოს თასზე, კარიერაში კი ეს მისი მეოთხე ტრიუმფი გახლავთ. ფელიქსისთვის ვენგენში გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან აქ 1973 და 1974 წლებში მამამისს - **კრისტიან ნოიროიტერს** მოუგია სლალომი.

**სლალომი**

1. **ფელიქს ნოიროიტერი** (გერმანია) - 1:50.53 (57.80+52.73); 2. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 1:50.74 (57.75+52.99); 3. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორვატია) - 1:50.78 (58.00+52.78); 4. **მანფრედ მოელგი** (იტალია) - 1:50.99 (58.39+52.60); 5. **სტეფანო გროსი** (იტა) - 1:51.15 (58.14+53.01); 6. **ფრიტც დოპფერი** (გერ) - 1:51.19 (58.29+52.90)...

**საერთო ჩათვლა**

1. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 935 ქულა; 2. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორვეგია) - 747; 3. **ტედ ლიგეტი** (აშშ) - 696; 4. **ფელიქს ნოიროიტერი** (გერმანია) - 646; 5. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორვატია) - 477; 5. **მანფრედ მოელგი** (იტალია) - 477...

■ ■ ■

ასევე გერმანული ტრიუმფი ვიხილეთ კორტინა დ'ამპეცოში, სადაც ორდღიან ეტაპზე ჩქაროსნულ დისციპლინებში გაიმართა სტარტები. სწრაფდაშვება ერთთვიანი შესვენების შემდეგ დაბრუნებულმა **ლინდსი ვონმა** მოიგო და მეორე დღეს, სუპერ-გიგანტშიც ფავორიტად მიიჩნეოდა, რადგან ამერიკელს ამ იტალიურ კურორტზე ბოლო სამი სუპერგიგანტი ჰქონდა მოგებული.

მონაწილეებს რთულ პირობებში მოუწიათ გამოსვლამ და ორგანიზატორებმა რვა კარით შეამცირეს დისტანცია. შემოკლებული ტრასა ვონმა არადამაჯერებლად გაიარა და მხოლოდ მეშვიდე დრო აჩვენა, რაც მას სუპერგიგანტში ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა - აქ მან პირველობა სეზონის ლიდერ **ტინა მაზეს** გადაულოცა. მაზემ მესამე ადგილი დაიკავა ეტაპზე და განიმტკიცა ლიდერობა გენერალურ კლასიფიკაციაში. ახლა, ის 718 (!) ქულას უგებს მეორე ადგილზე მყოფ გერმანელს **მარია რიშს**.

ეტაპი კი მოულოდნელად გიგანტურ სლალომში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, გერმანელმა **ვიქტორია რებენსბურგმა** მოიგო. მსოფლიოს თასზე მას ათი გამარჯვება დაუგროვდა, აქედან რვა ტრიუმფი გიგანტურ სლალომზე მოდის და მხოლოდ ორი - სუპერ-გიგანტზე.

**სუპერ-გიგანტი**

1. **ვიქტორია რებენსბურგი** (გერმანია) - 1:16.45; 2. **ნიკოლ შმიდჰოფერი** (ავსტრია) - 1:16.78; 3. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 1:16.79; 4. **კაროლინა რუის კასტილიო** (ესპანეთი) - 1:16.98; 5. **ჯულია მანკუზო** (აშშ) - 1:17.14; 6. **ლინ სმიტი** (აშშ) - 1:17.25...

**საერთო ჩათვლა**

1. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 1474; 2. **მარია რიში** (გერმანია) - 756; 3. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 644; 4. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 640; 5. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 597; 6. **ვიქტორია რებენსბურგი** (გერმანია) - 585...

ველოსპორტი

# ახალი სკანდალი იწყება

როგორც ჩანს, ველოსპორტში მორიგი დოპინგ-სკანდალი მწიფდება. ბელგიის ველომრბოლთა კავშირმა ველოგუნდ „რაბობანკის" ყოფილი ექიმის **გერტ ლეინდერსის** საქმის გამოძიება დაიწყო.

ჰოლანდიური საჯინიბოს ყოფილი ექიმის წინააღმდეგ გამოვიდა „რაბობანკის" ექს-წევრი **დანი ნელისენი** (1996-97), რომელმაც განაცხადა, რომ გუნდში დოპინგის გავრცელებას ლეინდერსი აკონტროლებდა. ამ განცხადებიდან ერთი დღით ადრე, დოპინგის გამოყენება აღიარა „რაბობანკის" კიდევ ერთმა ყოფილმა წევრმა **ტომას დეკერმა**.

*„მე ერთ ცენტსაც არ ვხარჯავდი ერითროპოეტინის შესაძენად. ყველაფერი ლეინდერსის მიერ იყო ორგანიზებული"*, - ამბობს ნელისენი.

ლეინდერსის გვარი „რაბობანკის" დოპინგ-პროგრამასთან დაკავშირებით, პირველად 2012 წლის შემოდგომაზე ამოტივტივდა, როცა **ლენს არმსტრონგის** საქმეში მოწმედ გასულმა ცნობილმა ამერიკელმა **ლევი ლაიპჰაიმერმა** აღიარა, რომ 2002-04 წლებში დოპინგს იყენებდა ჰოლანდიურ გუნდში. ნოემბერში, ჰოლანდიურმა გამოცემა AD-მა დაწერა, რომ ლაიპჰაიმერის ჩვენებაში ლეინდერსის გვარი ფიგურირებს.

ამის შემდეგ, ნელისენის ჩვენება პირველი პირდაპირი ბრალდება გახდა ბელგიელი ექიმის წინააღმდეგ, რომელიც დღემდე უარყოფს ბრალდებას.

ამ პუბლიკაციების გამოქვეყნების შემდეგ, „რაბობანკმა" დაკარგა სატიტულო სპონსორი და 2013 წლის სეზონს ახალი სახელით იწყებს - Blanco Procycling Team.

ლეინდერსი „რაბობანკის" დატოვების შემდეგ, ბრიტანულ გუნდ Sky-ში მუშაობდა, მაგრამ იქიდან დაითხოვეს მას შემდეგ, რაც ამ ექიმის გვარი ამოიკითხეს ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტოს გახმაურებულ ანგარიშში, რომელმაც ლენს არმსტრონგი ამხილა.



ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# დღე მეორე: სამი ვარსკვლავი

ეროვნულმა ჰოკეის ასოციაციამ გასული სათამაშო დღის სამი ვარსკვლავი დაასახელა.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი „ბაფალო სეიბრზის" ფორვარდმა **ტომას ვანეკმა**, რომელმაც „ფილადელფიას" კარში გატანილ ხუთივე გოლში მიიღო მონაწილეობა. „ბაფალომ" 5:2 მოიგო, ვანეკის ანგარიშზე კი ორი გოლი და სამი შედეგიანი გადაცემა მოდის.

მეორე ვარსკვლავად დაასახელეს „მინესოტას" გოლკიპერი **ჯოშ ჰარდინგი**. მან დალასელთა 24 დარტყმა მოიგერია და სეზონში პირველი „შათაუტი" შეასრულა.

„სან ხოსეს" ფორვარდმა **პატრიკ მარლომ** დუბლი შეასრულა „კალგარისთვის" მატჩში (4:1) და დღის მესამე ვარსკვლავი გახდა.

**ბაფალო-ფილადელფია 5:2**

1:0, 1:2, 3:0

**გოლები:** 1:0 ოტი-1 (პომინვილი-1, ვანეკი-1), 1:1 კუტურიე-1 (ფოსტერი-1, ვორაჩეკი-1), 1:2 ჟირუ-1 (ტიმონენი-1, სიმონდსი-1), 2:2 ვანეკი-1 (სტეფორდი-1, პომინვილი-2), 3:2 მიერსი-1 (ენისი-1, ვანეკი-2), 4:2 ჰოჯსონი-1 (ვანეკი-3, სეკერა-1), 5:2 ვანეკი-2 (პომინვილი-3).

**რეინჯერსი-პიტსბურგი 3:6**

1:3, 0:1, 2:2

**გოლები:** 0:1 ჯ. ნილი-2 (მალკინი-2, ლეტანგი-1), 1:1 კელეჰანი-1 (ბ. რიჩარდსი-1, სტეპანი-1), 1:2 ტაილერ კენედი-2 (ვიტალე-1, დესპრე-1), 1:3 ნისკანენი-1 (კროსბი-1), 1:4 დუპუი-1 (მალკინი-3, კუნიტცი-1), 1:5 ჯ. ნილი-3 (მალკინი-4, პ. მარტინი-3), 2:5 პიატი-1 (დელ ზოტო-1, ბ. რიჩარდსი-2), 3:5 ნეში-1 (სტეპანი-2), 3:6 ლეტანგი-1.

**კალგარი-სან ხოსე 1:4**

1:0, 0:3, 0:1

**გოლები:** 1:0 სტემპნიაკი-1 (ბოუმისტერი-1, ბეკლუნდი-1), 1:1 მარლო-1 (ჯ. ტორნტონი-1, კუტური-1), 1:2 ჰავლატი-1 (ვლასიჩი-1, ქლოუ-1), 1:3 მარლო-2 (ბოილი-1, პაველსკი-1), 1:4 ბოილი-1 (ჯ. ტორნტონი-2, პაველსკი-2).

**მინესოტა-დალასი 1:0**

1:0, 0:0, 0:0

**გოლი:** 1:0 პარიზე-1 (ბუშარი-1, ჰიტლი-1).

**ვანკუვერი-ედმონტონი 2:3 (ბ)**

1:0, 1:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ედლერი-2, 2:0 კასიანი-1 (დ. სედინი-2, ჰ. სედინი-2), 2:1 ებერლე-1 (ჰოლი-1), 2:2 ჰემკი-1 (სემ განიე-1, რაიან უიტნი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** სემ განიე (ედმონტონი), ჰემსკი (ედმონტონი).

**ფინიქსი-ჩიკაგო 4:6**

1:1, 1:3, 2:2

**გოლები:** 1:0 მოსი-1, 1:1 ბოლანდი-1 (კეინი-2, ლედი-2), 2:1 ვერმეტი-1 (დოუნი-1, შლემკო-1), 2:2 შარპი-1 (ბოლანდი-1, ოდუია-1), 2:3 მარიან ჰოსა-3 (როჟსივალი-1, კეინი-3), 2:4 სტალბერგი-1 (ბიკელი-1, როჟსივალი-2), 2:5 მარიან ჰოსა-4, 3:5 ჰანზალი-1 (ბოდკერი-1, მორისი-1), 4:5 დოუნი-1 (იენდლი-2, შლემკო-2), 4:6 ბოლანდი-2 (შარპი-1, ჰიალმარსონი-1).

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **აფრიკის თასი** | |
| ზამბია-ეთიოპია | 1:1 |
| ნიგერია-ბურკინა ფასო | 1:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ზაგლებე-ვარტა | 5:0 |
| იურმალა-დაუგავა | 1:2 |
| ბრაუნშვაიგი-თუნი | 2:0 |
| მიუნხენი-ჰოვერლა | 1:1 |
| დინამო (დ)-ჰაიდუკი | 0:1 |
| სტ. პაული-აუსტრია | 1:0 |
| დნიპრო-იანგ ბოიზი | 1:0 |
| ფერენცვაროში-ბაზელი | 2:2 |
| კაიზერი-მეტალურგი (ზ) | 0:0 |
| დინამო (კ)-სტიაუა | 0:2 |
| **ინგლისი** | |
| საუთჰემპტონი-ევერტონი | 0:0 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/B** | |
| პაგანეზე-აველინო | 4:1 |
| **ესპანეთი** | |
| ბეტისი-ბილბაო | 1:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| გინგამი-ანჟერსი | გადაიდო |
| **პორტუგალია** | |
| აკადემიკა-ნასიონალი | 2:1 |
| მორეირენსე-ბენფიკა | 0:2 |
| **საბერძნეთი** | |
| ვერია-ლევადია | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ერგოტელისი-პანათინაიკოსი | 2:1 |
| **თურქეთი** | |
| ახისარი-ესქისეჰირი | 1:1 |
| ორდუ-მერსინი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ბუცა-[illegible] | 0:1 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (თ-ა)-ბეითარი | 0:2 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **NBA** | |
| მემფისი-ინდიანა | 81:82 |
| ნიუ ორლეანი-საკრამენტო | 114:105 |
| შარლოტი-ჰიუსტონი | 94:100 |
| ატლანტა-მინესოტა | 104:96 |
| **საფრანგეთი** | |
| ჰავრი-შოლე | 87:68 |
| **საბერძნეთი** | |
| აპოლონი-ოლიმპიაკოსი | 69:88 |
| **იტალია** | |
| მონტეპასკი-რეჯო ემილია | 64:49 |

| ხელბურთი | |
|---|---|
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **კაცები. 1/8 ფინალი** | |
| ესპანეთი-სერბეთი | 31:20 |
| სლოვენია-ეგვიპტე | 31:26 |
| უნგრეთი-პოლონეთი | 27:19 |
| ხორვატია-ბელარუსი | 33:24 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **NHL** | |
| აილენდერსი-ტამპა ბეი | 4:3 |
| ბოსტონი-ვინიპეგი | 2:1 (ბ) |
| **კჰლ** | |
| ავტომობილისტი-ს. იულიაევი | 1:3 |
| მეტალურგი (მ)-აკ ბარსი | 1:2 |
| ტრაქტორი-ნეფტეხიმიკი | 5:4 |
| სევერსტალი-ამური | 7:1 |
| ვიტიაზი-სიბირი | 1:3 |
| დინამო (მნ)-მეტალურგი (ნ) | 6:1 |

TV პროგრამა

**22 იანვარი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ლევერკუზენი-აინტრახტი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIII ტური. საუთჰემპტონი-ევერტონი.
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური. ეინდჰოვენი-ცვოლე.
**18:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ვერდერი-დორტმუნდი.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIII ტურის მიმოხილვა.
**22:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური. აიაქსი-ფეიენოორდი.
**00:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIII ტური. ჩელსი-არსენალი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. რეალი-აიაქსი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ბრუკლინი.
**15:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. კასტრი-ალსტერი.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ვაალვაიკი.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ლეიკერსი.
**01:00** NBA ACTION.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალი. ესპანეთია-აშშ.
**15:00** სპორტ-NEWS.
**15:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. მონპელიე-ტულონი.
**17:30** სპორტ-NEWS.
**18:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. იანგ ბოიზი-ანჟი.
**20:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ნიუ იორკი.
**22:00** ჩოგბურთი. ფედერაციის თასი-2012. ფინალი. ჩეხეთი-სერბეთი.
**00:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 1 | 12 | (მზე) |
| ქუთაისი | 5 | 17 | (მზე) |
| ბათუმი | 9 | 18 | (მზე) |
| ფოთი | 8 | 18 | (მზე) |
| ზუგდიდი | 4 | 17 | (მზე) |
| გორი | 0 | 12 | (მზე) |
| თელავი | 2 | 13 | (მზე) |
| სიღნაღი | 1 | 12 | (მზე) |
| ბაკურიანი | -7 | 3 | (მზე) |
| ბორჯომი | -3 | 12 | (მზე) |
| მესტია | -5 | 5 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2075 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6598 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6339 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4784 |

ამბები

**ჩოგბურთი**

## აქაც ბიოლოგიური პასპორტები

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ანტისადოპინგო პროგრამის ხელმძღვანელმა **სტიუარტ მილერმა** განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია სერიოზულად აპირებს ჩოგბურთელებში ბიოლოგიური პასპორტების შემოღებას.

მილერის თქმით, ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ფედერაციას მხოლოდ ერთი წელი დასჭირდება სისტემის ასამუშავებლად, მაგრამ მან ასევე აღიარა, რომ პასპორტების გამოყენებაზე გადასვლა რთული იქნება როგორც ფინანსური, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

დავამატებთ, რომ ბიოლოგიური პასპორტები სპორტსმენთა სისხლში აბნორმალური მაჩვენებლების გამოვლენის საშუალებას იძლევა. ასეთი პასპორტები უკვე ფართოდ გამოიყენება ველოსპორტსა და მძლეოსნობაში.

**ფორმულა 1**

## გლოკი და მარუსია დაშორდნენ

ფორმულა 1-ის პელოტონში კიდევ ერთი ვაკანტური ადგილი გაჩნდა. რუსულმა სანიჯინბომ „მარუსიამ" და მისმა პილოტმა **ტიმო გლოკმა** ერთდროულად დაადასტურეს, რომ გერმანელი ავტომრბოლი ტოვებს გუნდს. ეს იმას ნიშნავს, რომ „მარუსიას" 2013 წლისთვის ახალი პილოტის ძებნა მოუწევს.

გლოკმა რუსული გუნდის რიგებში სამი სეზონი ჩაატარა და 91 რბოლაში მიიღო მონაწილეობა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# მეოთხედფინალების ჯერია


სლოუნ სტივენსი

**ავსტრალიის ღია პირველობაზე დასრულდა მერვედფინალური ეტაპი და დაკომპლექტდა მეოთხედფინალის ყველა წყვილი...**

## დღის გმირი

გუშინ, ოდნავ ნერვული, მაგრამ მაინც დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, პერსპექტიულ **სლოუნ სტივენსს** „დიდ სლემზე" პირველი მეოთხედფინალი ელის. ახალგაზრდა ამერიკელს მელბურნში ბადის მხრივ გაუმართლა. მას თავისი ნიჭის დამტკიცებამ მოუწია მასსავით ახალგაზრდა ჩოგბურთელებთან **- სიმონა ჰალეპთან, კრისტინა მლადენოვიჩთან, ლორა რობსონთან** და გუშინ, **ბოიანა იოვანოვსკინსთან.** ეს ოთხეული ვერას გახდა რეიტინგის TOP40-ის წევრთან, რომელმაც დაამტკიცა, რომ შემთხვევით არ ასულა კლასიფიკაციაში ასე ზემოთ.

გუშინდელი მატჩის მოგების შემდეგ, სლოუნმა საკუთარ ტყავზე გამოსცადა, თუ რას ნიშნავს „დიდი სლემის" სატურნირო ბადეში ასე შორს გასვლა. როგორც კი ბოიანასთან მატჩი დასრულდა, სტივენსისთვის დაიწყო ინტერვიუების ნამდვილი მარათონი. მოკლედ, ამერიკელი ნამდვილ ვარსკვლავს მოგაგონებდათ. ჟურნალისტებთან საუბარში, რატომღაც დიდი ყურადღება ეთმობოდა საპრიზო თანხებს, რომელიც სტივენსს მეოთხედფინალში გასვლისთვის ეკუთვნის. სლოუნი იცინოდა და ამბობდა, რომ ახალ ფეხსაცმელებს შეიძენდა თავისთვის და დედისთვის. ასეთი იუმორის გრძნობითა და ფართო ღიმილით, მას პუბლიკის დაპყრობის კარგი შანსი აქვს, ხოლო ხარისხიანი ჩოგბურთი მისი შესრულებით, მხოლოდ დააჩქარებს ამ პროცესს.

## დღის უნაკლობა

„მოწოდების მონსტრად" წოდებული **მილოშ რაონიჩის** წინააღმდეგ თამაში, ტრადიციულად წარმოშობს ხოლმე სერიოზულ საუბარს იმასთან დაკავშირებით, რომ მის მეტოქეს გაუჭირდება ასეთი ყაიდის მოთამაშესთან გამკლავება. კანადელთან შეხვედრის წინ, ექსპერტებმა **როჯერ ფედერერის** მიმართაც არ დაიშურეს სკეპტიკური შეფასებები. ამბობდნენ, რომ მსოფლიოს მეორე ჩოგანს გაუჭირდებოდა რაონიჩის მოწოდებისთვის ალღოს ალება. მაგრამ, ფედერერმა ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა. როჯერმა თვალნათლივ დაანახა ყველას, როგორ უნდა ითამაშო ისეთი ჩოგბურთელების წინააღმდეგ, როგორიც მილოშია. უპირველეს ყოვლისა, ეს არის საიმედო მოწოდება. სულ ფედერერმა თავის მოწოდებებზე 12 ქულა დაუთმო მეტოქეს და ერთხელაც არ მისცა მას ბრეიკთან მიახლოების შანსი. რაონიჩს ხშირად უწევდა ბადესთან თამაში, რაც ასევე პრობლემა გახდა მისთვის, რადგან შვეიცარიელის დარტყმების შემდეგ, ბურთი მაღლა არ ხტებოდა. თანაც, ფედერერმა გამორიცხა თავის თამაშში უნებლიე შეცდომები - ასეთი მას 12 დაუგროვდა მეტოქის 41-ის წინააღმდეგ.

## დღის რიცხვი

„დიდი სლემის" ტურნირების ორგზის ჩემპიონი **სვეტლანა კუზნეცოვა,** რომელსაც ტურნირის წინ არავინ უწინასწარმეტყველებდა ბადეში ასე შორს გასვლას, მეოთხედფინალში აღმოჩნდა. მისთვის ეს იქნება კარიერაში მე-13 მეოთხედფინალში „დიდი სლემის" ჩემპიონატებზე. ბოლო წლებში, რუსს ასეთი წარმატება არ ჰქონია. საკმარისია აღინიშნოს ის, რომ „დიდი სლემის" ბოლო 15 ტურნირიდან ეს მისთვის მხოლოდ მეორე მეოთხედფინალია.

## დღის მოგონება

თავის კარიერაში **რიშარ გასკე** მხოლოდ ერთხელ გასულა „მეიჯორებში" მერვედფინალზე შორს - 2007 წელს, უიმბლდონის ნახევარფინალამდე გააღწია. მაშინ მან ამ სტადიის საგზური მოიპოვა უაილდ-ქარდის მფლობელ ჩოგბურთელთან შეხვედრაში. ეს ჩოგბურთელი იყო იმ დროს რეიტინგის 110-ე ნომერი **ჟო-ვილფრიდ ცონგა.** საინტერესოა, რომ ავსტრალიის ღია პირველობაზეც ამ ჩოგბურთელთა გზები პირველად არ გადაიკვეთა. 2008 წელს, მათ ასევე ითამაშეს მერვედფინალში და ისევე, როგორც გუშინ, ცონგამ ხუთი წლის წინაც შეძლო მოგება.

## დღის ტანჯული

**გაელ მონფილსთან** ხუთსაათიანი მარათონის შემდეგ, რომლის მოგებაც **ჟილ სიმონს** ფეხის ტრავმად დაუჯდა, ფრანგი არ მალავდა, რომ **ენდი მარეისთან** შეხვედრაში მას პრაქტიკულად შანსი არ ჰქონდა. გუშინდელმა მატჩმა დაადასტურა ჟილის სიტყვები. სიმონმა მხოლოდ პირველი სეტის რამდენიმე გეიმში ითამაშა ღირსეულად, რის შემდეგაც, კორტზე ფაქტობრივად სტატისტის როლში აღმოჩნდა. თანაც, ყოველი მომდევნო გათამაშების შემდეგ, ფრანგს ტრავმა უმიზეზდებოდა, მესამე პარტიის ბოლოს კი კორტზე დადგა და უბრალოდ იგერიებდა ბურთს, თანაც პირდაპირ მარეის ჩოგანზე. შეიძლება სიმონი შევაქოთ იმის გამო, რომ ასეთი ფიზიკური მდგომარეობით გაბედა კორტზე გასვლა, მაგრამ ამან ტანჯვისა და წვალების მეტი არაფერი მოუტანა არც ჩოგბურთელსა და არც პუბლიკას.

## დღის გარღვევა

ექვსწლიანი პროფესიული კარიერის განმავლობაში, **ჟერემი შარდის** განსაკუთრებული წარმატებები არ ჰქონია, მიუხედავად იმისა, რომ საშუალოზე მაღალი დონის ჩოგბურთელად მიიჩნეოდა. მაგრამ წელს, მელბურნში ვიზიტი ფრანგისთვის ნამდვილ ტრიუმფად გადაიქცა. **ხუან მარტინ დელ პოტროს** გზიდან ჩამოცილებით, შარდი პრაქტიკულად საკუთარ თავს გადაახტა, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა და ოთხ სეტში გაუსწორდა **ანდრეას სეპის,** რითაც კარიერაში პირველად გააღწია „დიდი სლემის" მეოთხედფინალში.

## დღის რეკორდი

საათში 233 კილომეტრი სიჩქარით მოწოდებული ბურთი - 2013 წლის ავსტრალიის ღია პირველობის ახალი რეკორდია. მისი ავტორი გახდა მილოშ რაონიჩი როჯერ ფედერერთან მატჩში. კანადელმა **ერჟი იანოვიჩის** რეკორდი დაამხო.

## დღის მიღწევა

მილოშ რაონიჩის დამარცხებით, როჯერ ფედერერმა ზედიზედ ოცდამეთხუთმეტედ მოიპოვა „დიდი სლემის" ტურნირებზე მეოთხედფინალში თამაშის უფლება.

### კაცები

#### 1/8 ფინალი

**ჟერემი შარდი (საფ)**-ანდრეას სეპი (იტა, 21) 5:7, 6:3, 6:2, 6:2; **ენდი მარეი (ბრიტ, 3)**-ჟილ სიმონი (საფ, 14) 6:3, 6:1, 6:3; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 7)**-რიშარ გასკე (საფ, 9) 6:4, 3:6, 6:3, 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-მილოშ რაონიჩი (კან, 13) 6:4, 7:6(4), 6:2.

#### 1/4 ფინალი

ჯოკოვიჩი (1)-ბერდიხი (5); ფერერი (4)-ალმაგრო (10); შარდი-მარეი (3); ცონგა (7)-ფედერერი (2).

### ქალები

#### 1/8 ფინალი

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 1)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:1, 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 10) 6:2, 2:6, 7:5; **სერენა უილიამსი (აშშ, 3)**-მარია კირილენკო (რუს, 14) 6:2, 6:0; **სლოუნ სტივენსი (აშშ, 29)**-ბოიანა იოვანოვსკი (სერ) 6:1, 3:6, 7:5.

#### 1/4 ფინალი

აზარენკა (1)-კუზნეცოვა; ს. უილიამსი (3)-სტივენსი (29); ლი (6)-ა. რადვანსკა (4); მაკაროვა (19)-შარაპოვა (2).

ველოსპორტი

# ლენსის აღსარება

## არმსტრონგი: დოპინგის გარეშე ვერ მოვიგებდი

სკანდალურად ცნობილი **ლენს არმსტრონგი** საათ-ნახევარი ლაპარაკობდა **ოპრა უინფრის** შოუში. გთავაზობთ „ველოვარსკვლავის" მთავარი „თეზისების" ჩამონათვალს...

1. რატომ გადავწყვიტე აღიარება ახლა, ამდენი უარყოფის შემდეგ? ეს საუკეთესო შეკითხვაა, ყველაზე ლოგიკური. არ ვიცი, მაქვს თუ არა კარგი პასუხი. დავიწყებ იქიდან, რომ ახლა უკვე დაგვიანებულია აღიარება. ძალიან გვიანია ბევრი ადამიანისთვის და ეს არის ჩემი პრობლემა. ამ სიტუაციას განვიხილავ, როგორც ერთ დიდ ტყუილს, რომელსაც რამდენჯერმე ვიმეორებდი.

2. რაც შეეხება დოპინგის სისტემატიურ გამოყენებას US Postal-ში, ეს სისტემა მართლაც პროფესიული იყო. ის ცალსახად ძალიან დახვეწილი იყო. თუმცა, ამასთან, რისკის ფაქტორიც მაღალი გახლდათ, ამიტომაც მაქსიმალურ სიფრთხილეს ვიჩენდით. მაგრამ მართლები არ არიან ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტოს ჩინოვნიკები, როცა ამბობენ, რომ ჩვენი სისტემა მასშტაბებით აღემატებოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სადოპინგო პროგრამას, რომელიც 70-80-იან წლებში მოქმედებდა. ეს ასე არ არის.

3. დოქტორი **მიკელე ფერერი** - კარგი ადამიანია. მას ყოველთვის ასეთად აღვიქვამდი და აზრი არ შემიცვლია. მეტის თქმა არ შემიძლია, რადგან ჩემთვის უხერხულია სხვა ადამიანებზე ლაპარაკი.

4. რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი ინტერესის მხრივ, ჩემი მხრიდან დაუფიქრებელი საქციელი იყო ფერერისთან საქმის დაჭერა, მაგრამ მაშინ, ჩემს ცხოვრებაში ბევრი დაუფიქრებელი ნაბიჯი იყო. ამ სიტყვებით შეიძლება იმ პერიოდის დახასიათება.

5. აშშ-ის ანტისადოპინგო სააგენტოს ანგარიშში წერია, რომ მე დოპინგს ვიყენებდი 2009 წელს დიდ სპორტში დაბრუნების შემდეგ. ეს არ არის სიმართლე. ბოლოს აკრძალული პრეპარატი 2005 წელს მივიღე.

6. იმ ადამიანებს - ცინიკოსებსა და სკეპტიკოსებს, რომლებსაც არ სჯერათ ველოსპორტის, მინდა შემდეგი ვუთხრა: ვწუხვარ იმის გამო, რომ თქვენ არ შეგიძლიათ გქონდეთ დიდი ოცნება. სამწუხაროა, რომ თქვენ სასწაულის არ გჯერათ.

7. იმ დროს, როცა ვუარყოფდი ბრალდებას დოპინგის გამოყენების შესახებ, თავს ცუდად არ ვგრძნობდი, არ მრცხვენოდა იმის გამო, რასაც ვაკეთებდი. ამ სიტუაციას, როგორც ბრძოლის ველს, ისე განვიხილავდი.

8. რაც შეეხება ფულის შეთავაზებას ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირისთვის შვეიცარიის ტურზე აღმოჩენილი დადებითი დოპინგსინჯის სანაცვლოდ, ეს ისტორია არ შეესაბამება სინამდვილეს. მე აქ მოვედი იმისთვის, რომ ვთქვა - რა იყო და რა არა სინამდვილეში. დადებითი დოპინგსინჯი არ ყოფილა, არ მჭირდებოდა ლაბორატორიისთვის ფულის გადახდა და არც იმას დავმალავ, რომ შევხვდი ლაბორატორიის დირექტორს. მე არ ვიხდიდი ფულს სინჯის დამალვისთვის.

9. შევძლებდი თუ არა ტურ დე ფრანსის შვიდჯერ მოგებას დოპინგის გარეშე? დანამდვილებით შემიძლია გითხრათ - არა. იმ თაობაში შეუძლებელი იქნებოდა ამის გაკეთება, რადგან უკვე არსებობდა დოპინგ-კულტურა. ის მე არ შემიქმნია, მაგრამ, იმავდროულად, არც მიცდია მისი შეჩერება. და ეს იყო ჩემი შეცდომა. ეს ის არის, რასაც ვნანობ და ახლა, სპორტი იხდის ჩემი შეცდომების გამო.

10. სიმართლეა, რომ მე ფაქტობრივად გუნდ US Postal-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვიყავი. ტყუილია ის, რომ გუნდში ყველა იძულებული იყო დოპინგი მიეღო და რომ მათზე ზეწოლა ხდებოდა. ყველანი ზრდასრული ადამიანები ვიყავით და საკუთარ არჩევანს თავად ვაკეთებდით. ჩვენ გუნდში იყვნენ ადამიანები, რომლებსაც არ უნდოდათ ამაში მონაწილეობა. მე უბრალოდ, საქმის გაკონტროლებას ვცდილობდი.

11. ჩემი კარიერის დიდი ნაწილი არ არსებობდა ტურნირის მიღმა დოპინგ-კონტროლი. სახლში არავინ მოდიოდა. ამიტომაც მთავარი იყო - „კალენდრის" გონივრულად შედგენა. რბოლების წინ, დოპინგი სხეულიდან იდევნებოდა. მე არ ვარ აშშ-ის ანტისადოპინგო სააგენტოს დიდი გულშემატკივარი, მაგრამ ბიოლოგიურმა პასპორტმა ბევრი რამ შეცვალა და დოპინგის დამალვა გაცილებით რთული გახდა. მე მზად ვარ თანამშრომლობისთვის. თუ შეიქმნება კომისია, რომელიც მოინდომებს სიმართის დადგენას, პირველი მივიღებ შეთავაზებას.


ლენსი და მისი ბანდა

12. გავიზარდე ოჯახში, სადაც ყველა ბრძოლას იყო მიჩვეული. მე მებრძოლი ვიყავი, დედაჩემს ახლაც არ ჩამოუშვია ხელები. როცა „კიბოს" დიაგნოზი დამისვეს, ვთქვი, რომ ყველაფერს გავაკეთებდი გადასარჩენად. ასეთივე დამოკიდებულება მქონდა საქმისადმი, ასეთი დაუნდობლობა გადავიტანე სპორტში. და ეს ცუდია.

13. ჩემი კოქტეილი იყო მხოლოდ ერითროპოეტინი. მაგრამ ხშირად ვიყენებდი სისხლის გადასხმას. ამას ვამართლებდი ჩემი ცხოვრებისეული ისტორიით, რომელიც კიბოსთან ბრძოლას უკავშირდებოდა.

14. რა შემიძლია ითქვას ჩემს ხასიათზე? ძალიან ვარ გაფუჭებული. ვფიქრობ, ნებისმიერ ადამიანს აქვს თავისი ნაკლი.

15. ხალხისგან მრისხანებას ველოდები. მე ისინი დავალალატე. არიან ადამიანები, რომლებიც მხარს მიჭერდნენ, სჯეროდათ ჩემი და სრული უფლება აქვთ, მოტყუებულად იგრძნონ თავი. მათ მთელი ცხოვრება ბოდიშს მოვუხდი.

16. მიყვარს ველოსპორტი, ეს მართლაც ასეა. თუმცა ვიცი, როგორ აღიქვამს ხალხი ამ სიტყვებს. ისინი იტყვიან, რომ არმსტრონგმა შელახა ტურ დე ფრანსი, ყვითელი მაისურა, მთლიანად სპორტი. და მართლებიც იქნებიან.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გია თვალაბეიშვილი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**